კახეთში სახელისუფლებო ბლოკის შემდეგ მემარჯვენე ოპოზიციაა A2

მიხეილ სააკაშვილი: სწორება ხურჩაზე! A2

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 29 მარტი, 2004 წელი. №74 (623)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**"ალორძინება" დამარცხდა**

"28 მარტს აჭარისთვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც 23 ნოემბერს დანარჩენი საქართველოსთვის ჰქონდა. ბათუმის ყველა საარჩევნო უბანში "ნაციონალურ მოძრაობას" ორჯერ მეტი ხმა აქვს, ვიდრე "ალორძინებას", - ამბობს დავით ბერძენიშვილი.

A2

### ეკონომიკა

**რატომ უნდა შევამსუბუქოთ საგადასახადო წნეხი**

საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის შესანიშნავი წინადადება - შეამციროს საგადასახადო ტვირთი, ეხმიანება ახალი საგადასახადო კოდექსის შემქმნელი ჯგუფის იდეებს.

A4

### უცხოეთი

**სადამი და მისი ადვოკატი**

ერაყის ყოფილ დიქტატორს სადამ ჰუსეინს გამოჩენილი ფრანგი ადვოკატი ჟაკ ვერჟესი დაიცავს. ეს მისი ბოლო საქმე იქნება, რის შემდეგაც 79 წლის ვერჟესი კარიერის დასრულებას აპირებს.

A5

### საზოგადოება

**ერთი კეთილი საქმე**

139-ე სკოლის პედაგოგმა რიტა ჩხიკვიშვილმა მოგვარე ნინო ჩხიკვიშვილი შვილობილად ორი წლის წინათ აიყვანა. "არ მინდოდა, ნინოსაც ისეთი მოწყენილი თვალები ჰქონოდა, ბავშვთა სახლებში რომ აქვთ-ხოლმე. მოწყენილი აღარ არის, მაგრამ ორ რამეს ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე – საიდუმლოს არ მიმხელს და მხატვრული ლიტერატურის კითხვა არ უყვარს," – ამბობს ქალბატონი რიტა.

A6

### სამართალი

**საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის ზონაში სანოტარო განყოფილება გახსნა**

საქართველოს ხელისუფლებამ პირველი პრაქტიკული პოლიტიკური ნაბიჯი კონფლიქტის ზონაში – სამაჩაბლოში გადადგა. საქართველოს ხელისუფლებამ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე სახელმწიფო სტრუქტურა გახსნა.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | |
| ქუთაისი | 23 | |
| ბათუმი | 22 | |
| სოხუმი | 21 | |
| ფოთი | 23 | |
| თელავი | 21 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 19 | |
| ახმეტა | 22 | |
| ქიათურა | 20 | |
| გაგრა | 18 | |
| სამტრედია | 23 | |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0000 |
| ევრო | 2.4240 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6090 |
| რუბლი | 0.0702 |

# სუფთა ფურცელი

ნიკა იმნაიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნებს საზოგადოება ამჯერად რაიმე განსაკუთრებული მღელვარების გარეშე ელოდა (რაკი შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი), ნამდვილად არ ეგების, გავაუბრალოოთ იმის მნიშვნელობა, რაც კვირას მოხდა.

28 მარტს საქართველოში მხოლოდ ახალი პარლამენტის არჩევნები როდი გაიმართა – სინამდვილეში, გუშინ საბოლოოდ "შედგა" (ანუ, ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა და პოლიტიკურად სრულყოფილი სახე შეიძინა) ნოემბრის ლიბერალური რევოლუცია.

იგულისხმება არა იმდენად ახალი ხელისუფლების ფორმირების დასრულება (თუმცა, ამასაც, თავისთავად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა), არამედ საზოგადოების დამოკიდებულება.

მან კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დაუდასტურა მანდატი ამჟამინდელ ხელისუფლებას. თანაც, მთლიანობაში "ტრიუმვირატს": პრეზიდენტ სააკაშვილს, რომლის პიროვნული რეიტინგი, პროგნოზების მიუხედავად, ჯერჯერობით არ მცირდება, აგრეთვე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას (ზოგიერთს, რატომღაც მიაჩნია, თითქოს მთლიანობაში, ხელისუფლების პოლიტიკური რესურსის ფორმირებაში მთავრობა არ მონაწილეობს - რაც აშკარა გამარტივებაა) და პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, ვინც ნამდვილად შეინარჩუნებს პოსტს უახლოესი წლების განმავლობაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

## არჩევნები შედგა. შედეგები ჯერ ცნობილი არ არის

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, გუშინ კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა, დაახლოებით, მილიონ-ნახევარმა ამომრჩეველმა მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნები შედგა. ფაქტობრივად, ეს ერთადერთი ოფიციალური ინფორმაციაა, რომელიც არჩევნების შედეგებს ეხება. გუშინ ცესკო-ში არც ერთი წინასწარი მონაცემი არ გაჟღერებულა, თუ არ ჩავთვლით საზღვარგარეთ გახსნილი სამი უბნიდან ჩამოსულ შედეგებს, სადაც კენჭისყრაში მონაწილეობა, დაახლოებით, 200-მა ამომრჩეველმა მიიღო. სამაგიეროდ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ეგზიტპოლების თანახმად, გუშინ ერთპიროვნული გამარჯვება "ნაციონალურმა მოძრაობა – დემოკრატებმა" მოიპოვა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ გამოკითხულთა ოცმა პროცენტმა საკუთარი არჩევანის გახმოვანებაზე უარი განაცხადა. აქედან გამომდინარე, უახლოეს დღეებში არჩევნების საერთო სურათი შეიძლება შეიცვალოს და შვიდპროცენტიანი ბარიერი, სახელისუფლებო პარტიასთან ერთად, რომელიმე პოლიტიკურმა*

გაგრძელება A3 გვერდზე



*მიუხედავად პრემიერ-მინისტრის განცხადებისა, ზურაბ ჭიაბერაშვილმა არ უარყო აჭარის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.*

## 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები - ოპოზიციის საძმო სასაფლაო

გიორგი ასანიშვილი

*ვარდების რევოლუციამ ბევრი პარტიული ლიდერი პოლიტიკურ გვამად აქცია. ეს გვამები, თავისი პარტიებითურთ, ამომრჩეველმა გუშინ "საძმო სასაფლაოში" ჩაასვენა. ხალხმა სამაგიერო მიუზღო და პარლამენტს გარეთ დატოვა ისინი, ვინც ნოემბრის მღელვარე დღეებში საზოგადოების განწყობა არაფრად ჩააგდო და ხალხის ინტერესებს ანგარიში არ გაუწია. უახლოეს ხანში ცესკო თითოეული მათგანის "საფლავის ქვაზე" შესაბამის წარწერას გააკეთებს: ამა და ამ პარტიამ ("ლეიბორისტულმა", "ედპ-ტრადიციონალისტებმა", "ალორძინებამ" და ა.შ.) საპარლამენტო არჩევნებში ამდენი (0,1-დან ხუთამდე) პროცენტი მოიპოვა და მინიმუმ, ოთხი წლის განმავლობაში, პოლიტიკურ ასპარეზს გამოეთხოვა...*

ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადებამდე, როდესაც ცნობილი გახდა ეგზიტპოლის შედეგები, ოპოზიციამ ფარხმალი დაყარა და დამარცხებას შეეგუა. მართალია,

გაგრძელება A3 გვერდზე

## პატიმრებმა არჩევანი ყველანაირი ზეწოლის გარეშე გააკეთეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ისევე, როგორც აქამდე ჩატარებული არჩევნები, გუშინდელი საპარლამენტო არჩევნებიც ციხის ბინადართათვის ამნისტიასთან იყო გაიგივებული. ორთაჭალის საპყრობილეში დადგმულ საარჩევნო ყუთთან მისული პატიმრები ჟურნალისტების, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, საპყრობილის უფროსისა და იუსტიციის მინისტრის თანდასწრებით, მონდომებით აკეთებდნენ საკუთარ არჩევანს და საარჩევნო ყუთს საკუთარ ხმას ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა თუ ბლოკის სასარგებლოდ მატებდნენ.*

თუმცა, გუშინდელი არჩევნები მეხუთე საპყრობილეში, წინა არჩევნებისგან ცოტათი მაინც განსხვავდებოდა. თუკი აქამდე ჩატარებული არჩევნებისას საარჩევნო ყუთთან თავმოყრილი პატიმრები სიტყვაუხვობით გამოირჩეოდნენ და რჩეულს, რომელსაც ხმა მისც-

გაგრძელება A7 გვერდზე



*არჩევნები ციხეში.*

## მილოცვები არჩევნების დემოკრატიულად და წარმატებით ჩატარებისთვის

**"დსთ-ს დამკვირვებლებს რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა არ დაუფიქსირებიათ,"** – დსთ-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა იური იაროვმა 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების თაობაზე პირველი კომენტარი გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში, სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით გამართულ მიღებაზე გააკეთა. მისი თქმით, 28 მარტის არჩევნები არც ერთ წინამორბედ არჩევნებს არ ჰგავს და **"ქართველმა ხალხმა მართლაც დემოკრატიულად და ორგანიზებულად შეძლო არჩევნების ჩატარება."**

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრას დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი ესწრებოდნენ. ბურჯანაძემ და ჭიაბერაშვილმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისგან "არჩევნების დემოკრატიულად და წარმატებით" ჩატარების გამო მილოცვები მიიღეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციას დიალოგისკენ მოუწოდებს

**"უწინარეს ყოვლისა, მსურს მადლობა გადავუხადო საზოგადოების თითოეულ წევრს, თითოეულ ამომრჩეველს იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ პრეზიდენტის მიერ არჩეული სახელმწიფოებრივი მშენებლობის რეფორმატორული კურსის მიმართ გამოხატეს,** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 28 მარტს საქართველოს პარლამენტის არჩევნების დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, - **განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ მხარდაჭერა საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირად ძლიერი იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აჭარაში, ზოგიერთი საარჩევნო უბნიდან მეთვალყურეების გამოძევების მიუხედავად,**

გაგრძელება A2 გვერდზე

## რუსეთის პრეზიდენტის განცხადება

ამა წლის 27 მარტს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი სოჭში ჟურნალისტებს შეხვდა (სოჭში მიმდინარეობდა კავკასიის ხალხების და სამხრეთ რუსეთის პირველი ფორუმი).

საუბრისას, რუსეთის პრეზიდენტი შეეხო რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებს და საქართველოს პრობლემებს ავტონომიებთან.

პუტინი მიიჩნევს, რომ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანს.

უპასუხა რა შეკითხვას, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სავიზო რეჟიმის შესახებ, პუტინმა განაცხადა, რომ სავიზო რეჟიმი არ არის დამოკიდებული კარგ თუ ცუდ ურთიერთობებზე საქართველოს ხელმძღვანელობასთან. იგი დაკავშირებულია მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემებთან.

"საქართველოს ძველ ხელმძღვანელობასთან არ გამოგვივიდა საერთო მუშაობის აწყობა, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა, - საქართველოს ახალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი თავად, საკუთარი ინიციატივით გამოვიდა წინადადებით, რომ ანტიტერორისტულ ერთობლივ მუშაობას მიეცეს ახალი ხარისხი."

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რევიუ

B2 რეკლამა | B3 რეკლამა | B4 რეკლამა | B5 - B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სპორტი

# საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციას დიალოგისკენ მოუწოდებს

**ბათუმიდან, ქობულეთიდან, ხელვაჩაურიდან ჩვენს ხელთ არსებული ოქმების მიხედვით, საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" დიდი უპირატესობით იმარჯვებს ადგილობრივი "აღორძინების დემოკრატიული კავშირის" პოლიტიკურ ძალაზე. აჭარლების მხრივ, ეს უპრეცედენტო გამბედავი ნაბიჯია და მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო ავტონომიის თითოეულ მცხოვრებს, რადგან ამ ადამიანებს არ შეეშინდათ და გამოხატეს თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია. ეს რეგიონი ერთ-ერთია მათ შორის, სადაც ამომრჩეველთა აქტივობა ყველაზე მაღალი იყო. ამავდროულად, ჩვენ ნათლად დავინახეთ, რა სურს ხალხს - ამ კურსის გაგრძელება და ცვლილებები. საქართველოს მთავრობა ხვალიდან იწყებს ინტენსიური რეჟიმით მუშაობას, რათა ჩვენი ეკონომიკის ჭაობიდან ამოსაყვანად, ქვეყანაში სტრუქტურული ფინანსური და დემოკრატიული რეფორმები განხორციელდეს. ჩვენ უნდა დავძლიოთ სიღარიბე და ამ პრობლემას, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მოვუღოთ ბოლო."**

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ქვეყანაში თავისუფალი საარჩევნო კამპანია წარმართულიყო. მან ის არჩევნები გაიხსენა, როცა მისი პოლიტიკური პარტიის წინა მთავრობის წარმომადგენლები საარჩევნო კამპანიისთვის დევნიდნენ, ბიზნესს ხურავდნენ, პარტიის წევრებს კი ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ. ამ არჩევნების წინა პერიოდში მსგავსი შემთხვევა არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ არ დაფიქსირებულა. მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს არჩევნების ისტორიაში, დღევანდელი არჩევნები ყველაზე მაღალ დონეზე ჩატარდა. **"ამას საერთაშორისო შეფასებაც ადასტურებს,"** – ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა. ამავდროულად, პრეზიდენტი ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდებს, რომ განიხილონ ყველა დარღვევა და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტულ უბნებში მიღებული შედეგები, კანონიდან გამომდინარე, გააუქმონ.

ქვეყნის პირველი პირი შედეგით კმაყოფილია, თუმცა არც მაღალი - მას არც ის სიამოვნებს, რომ ოპოზიციას ასე ცოტა ხმები მიეცა და ის მაჩვენებლებს სერიოზულად ელოდა.

**"დღეს, როცა თითოეულმა ოპოზიციურმა პარტიამ იცის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, ხალხს ესწავლება მოსვლისაკენ მოუწოდებენ,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა, - **მე ამის არ მეშინია, მაგრამ მსურს, ვუთხრა ყველა პოლიტიკურ ძალას, ვინც გადალახა ან ვერ გადალახა ბარიერი: ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის."**

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ზოგიერთი ოპოზიციური ძალა ცალკეულ საარჩევნო უბნებზე მისი თანაპარტიელების მოსყიდვას ცდილობდა, თუმცა მოქალაქეებს და ამომრჩევლებს გრძნობით აღნიშნა, რომ ბლოკის "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" წევრების მოსყიდვა შეუძლებელია, რაც მათ საქმით დაამტკიცეს.

აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ ბევრი რამ უფრო ეფექტიანი უნდა გახადოს თავისი მუშაობა და ხალხის იმედები გაამართლოს. ეს პრეზიდენტის სააკაშვილის მოწოდება და აღნიშნა, რომ კორუფციასთან ბრძოლა და კანონის დაცვის თვალსაზრისით, ვითარების არათუ გაუარესება, არამედ ერთ დონეზე გაჩერებაც არ დაუშვებს. ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებები უნდა დაიწყოს.

**"საქართველო უნდა გაძლიერდეს და გამთლიანდეს,** - თქვა მან, - **ხალხმა, უწინარესად, ამას მისცა ხმა. ამ ყველაფერს, მე, როგორც ოქვენი ნდობის მანდატით აღჭურვილი პრეზიდენტი, ბოლომდე ვადევნებ თვალ-ყურს.**

**საქართველოს არც ერთ კუთხეში ფეოდალური ბუდეები აღარ იარსებებს. აჭარლები უნდა გათავისუფლდნენ ფეოდალური ხნისაგან - ეს ქვეყნის პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რადგან შემდეგ უფრო დიდი ამოცანა გადაწყვეტი - ქვეყნის კონსოლიდაციისა და სამშვიდობო პროცესის დაწყება, რაც აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებას ეხება."**

მიხეილ სააკაშვილის თქმით, რომ ამ ხალხს, რომელმაც იგი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხედავდა, უნდა ჰქონდეს ხელისუფლების საქმიანობის გაკონტროლების შესაძლებლობა. მან ნდობა გამოუცხადა მთავრობას და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პრეზიდენტი და მისი გუნდი ძალისხმევას არ დაიშურებს.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# მიხეილ სააკაშვილი: სწორება ხურჩაზე!

27 მარტს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდში გაემგზავრა. მთელი დღის მანძილზე მოსახლეობას მას დროშებითა და ვარდებით ხვდებოდა. სოფელ ხამისკურში ერთი საინტერესო შემთხვევაც მოხდა: ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლე გვინ ჯობავა პრეზიდენტთან შეხვედრისას დანიშნულებისამებრ, თუ როდის გახდება შესაძლებელი ქვეყანაში ვითარების უკეთესობისკენ შეცვლა. პრეზიდენტი ჯობავას მდგომარეობის გამოსწორებას დაპირდა; შემდეგ მასთან ერთად მოინახა, მისცა და უთხრა, დროის თუ ეს საათი დაიგვიანებს.

წალენჯიხაში მიხეილ სააკაშვილს მრავალრიცხოვანი შეხვედრა მოუწყვეს. პრეზიდენტმა ადგილობრივ მოსახლეობას სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა ის ხელისუფლებისთვის, რომელსაც საქართველოს გათავისუფლების შეუწყო ხელი.

- ჩატოსანს სიტყვას გაძლევთ, გაფერხოდნებით, დავყვებოდით ფეხზე და სამუშაოებიანად მოვემზადებით აფხაზეთის დასაბრუნებლად. ეს აუცილებლად მოხდება, - განაცხადა მან.

მიხეილ სააკაშვილი მოკლე ისტორიული ექსკურსი გააკეთა და აღნიშნა, რომ ოდიოდგან, საქართველოს ძლიერი მეფეები ეროვნულ ფეოდალებს სჯიდნენ.

- დროა ჩვენი ქვეყნის მტრებმს საკადრისი პასუხი მივუგოთ. ჩემი მიზანია, რომ სამეგრელოს ერთიან სახელმწიფოში ყველა რეგიონის იყოს რეგიონის ყოფნა და იქ საქართველოს გამთლიანება მოხდება. თქვენ ვეთხოვ, რომ ერთად ვიმოქმედოთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ერთი ტონალობის ფოფლი ვიყოთ და მოგვარდება, - მიმართა პრეზიდენტმა იქ ფეოდალ საზოგადოებას.

"ვარდების რევოლუცია" წალენჯიხიდან დაიწყო...

ამავე დღეს საქართველოს პრეზიდენტი გალის რაიონის მოსაზღვრე, ენგურსგაღმა სოფლის - ხურჩის მოსახლეობას შეხვდა. მან აღნიშნა, რომ ეს ყველაზე გმირული სოფელია საქართველოში და იქაურ მცხოვრებლებს მადლობა გადაუხადა სიმტკიცისა და გამძლეობისათვის, რადგან "ამ ხალხმა საკუთარი მიწა-წყალი და სახლ-კარი უმძიმეს ვითარებაშიც კი არ მიატოვა". მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოს გამთლიანება აღუთქვა და განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა მალე გახდება ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# თვისობრივი სიახლეები ქართულ პოლიტიკაში

**"საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება, პრაქტიკულად, თავიდან დაიწყება. შესაბამისად, 28 მარტს ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმ თვალსაზრისით, რომ იგი ახალ პოლიტიკურ პროცესებს დაუდებს სათავეს,"** - აცხადებს ექსპერტი დავით უსუფაშვილი.

მისივე თქმით, ქართული პოლიტიკური სპექტრი დღემდე საკმაოდ ჩაკეტილი იყო, ვინაიდან არ არსებობდა თავისუფალი პოლიტიკური კონკურენცია. თუმცა, უსუფაშვილი იქვე აღნიშნავს, რომ პარტიების სავარაუდო გამსხვილება ბევრს ვერაფერს მოიტანს, თუ არენაზე ახალი სახეები და ლიდერები არ გამოჩნდნენ.

ექსპერტი ვარაუდობს, რომ საინტერესო პროცესებია მოსალოდნელი ახალი პარლამენტის შიგნითაც: **"მიუხედავად იმისა, რომ ახლადარჩეული საკანონმდებლო ორგანო, კონსტიტუციური თვალსაზრისით, ძალიან დასუსტებული იქნება, იგი საკმაოდ იაქტიურებს როგორც კანონშემოქმედებითი, ისე პოლიტიკური აზრის განვითარების მხრივ."**

პარლამენტში მმართველი პარტიის დომინანტობა უსუფაშვილს ოდნავაც არ აშინებს, რადგან **"ამ პარტიის შიგნით არიან ისეთი ინდივიდები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში მორჩილი უმრავლესობის შექმნას არ დაუშვებენ."**

**"საფუძველი ჩაეყრება ისეთ ცივილურ ურთიერთობებს, როგორიც პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის უნდა არსებობდეს. ის ფაქტი, რომ ორივე სახელისუფლებო შტოში ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები იქნებიან, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გაგრძელდება ძველი ტრადიციები, როდესაც უმრავლესობა მორჩილად იძლეოდა თანხმობას ყველაფერზე, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებას სურდა,"** - დასძენს დავით უსუფაშვილი.

*24 საათი*

# პრეზიდენტმა არჩევნებზე მისვლა დააგვიანა



*პრეზიდენტი ხმას აძლევს.*

"შატილის ასულო, ლერწამო ტანითა..." – ეს სიმღერა ჩონგურებით "შეიარაღებულმა" ბავშვთა ანსამბლმა პრეზიდენტის მოლოდინში გუშინ რამდენჯერმე შეასრულა. ბავშვები, მათი მშობლები და სხვა ამომრჩევლები მთაწმინდის რაიონის ნომერ მეთორმეტე უბანთან სააკაშვილის გამოჩენას გუშინ რამდენიმე საათი ელოდნენ. ბავშვებს ხელში ვარდები ეჭირათ, მათ მშობლებს - პრეზიდენტისთვის გადასაცემი წერილები, სადაც სხვადასხვა ყოფითი პრობლემების მოგვარებას ითხოვდნენ.

პრეზიდენტმა დაიგვიანა, საგანგებოდ მოტანილმა ვარდებმა მოწყენაც კი მოასწრეს.

"კარგად მართავს ქვეყანას და იმიტომ მოვუტანე ვარდი," – აღნიშნა ათი წლის მარიმ. საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად სააკაშვილმა დღის ოთხი საათისთვის მოიცალა და საარჩევნო უბანში მეუღლესთან ერთად გამოცხადდა. ვის აძლევთ ხმას? – ეს გუშინ მისთვის არავის უკითხავს. საარჩევნო უბანში სააკაშვილმა ყველა სავალდებულო პროცედურა გაიარა, ბიულეტენი საარჩევნო კომისიის წევრებს დაამოწმებინა და გამჭვირვალე ყუთში დიდი მონდომებით ჩაუშვა. ვარდებით დახუნძლულმა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ ძალიან კარგ ხასიათზეა, რადგან ქართველ ხალხს, როგორც იქნა, დემოკრატიული არჩევნები ეღირსა. მან არ გაიზიარა ჟურნალისტების ეჭვი, რომ საქართველოს ახალი პარლამენტი შესაძლოა, ერთპარტიული იყოს. "გაიხსენეთ მაჟორიტარები, მათგან ორმოცდაათი მაინც ოპოზიციონერია," – დაამშვიდა მან ჟურნალისტები. პირველმა ლედიმ გუშინ მეუღლეს სიმბოლურად დაუმშვენა გვერდი. სანდრა რულოვსი საქართველოს მოქალაქე არ არის, ამდენად, მას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია – ეს აღმოჩნდა ერთადერთი მიზეზი, რამაც ამაღლებულ განწყობაზე მყოფ პრეზიდენტს გუშინ გული დასწყვიტა. "ცუდია, სანდრა ხმას რომ არ აძლევს," – აღნიშნა საარჩევნო უბნიდან გამოსულმა სააკაშვილმა.

*სოფო ბუკია*

# რუსთავში ჩუმი არჩევნები ჩატარდა

5-6 საჩივარი "ახალგაზრდა იურისტებიდან", დაახლოებით ამდენივე "სამართლიანი არჩევნებიდან", ერთიც "ლეიბორისტებიდან" - ასეთი იყო 28 მარტის 24 საათისათვის რუსთავის N20 საოლქო საარჩევნო კომისიაში დაფიქსირებული დარღვევები. კენჭისყრის დღემ რუსთავში ზედმეტი ვნებათაღელვის გარეშე ჩაიარა. ოპოზიციური პარტიები არაფერზე ჩიოდნენ და "ნაციონალ-დემოკრატებს" ხმას რა ამოაღებინებდათ?!

N9 უბანზე 4 საჩივარი დაიწერა და ყველა მათგანი გასატან ყუთსა და ერთ ხმას ეხებოდა, რომელიც ცოლმა ქმარს ჯერ კიდევ დილით "მოპარა" (მის მაგივრად მისცა ხმა), ქმარი უბანზე საღამოს 7 საათზე მივიდა და ეს ამბავი გააპროტესტა. N33 უბანზე ნასვამ ამომრჩეველს კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობო და კარგი ალიყურიც მიიღო. თავმჯდომარემ გმირული მოთმინება გამოიჩინა და საპასუხო სილა ამომრჩეველს არ აღირსა. N17 უბანზე რეგისტრატორმა იფიქრა, საქმეს წინ წავიგდებო, 30 ბიულეტინზე წინასწარ მოაწერა ხელი, დაიმარაგა... "ახალგაზრდა იურისტებმა" რეგისტრატორს "თადარიგიანობა" არ აპატიეს და ოქმი გაუფორმეს.

"24 საათი" მთელი დღის განმავლობაში უკავშირდებოდა რუსთავში ოპოზიციური პარტიების შტაბებს. არც ერთ მათგანში დაღვევებზე ინფორმაცია არ გააჩნდათ. "სამწუხაროდ, არანაირი დარვევები არ არის," - ამბობდნენ ისინი. 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან 28 მარტს რუსთავში შედარებით დაბალი აქტივობა დაფიქსირდა, თუმცა საბოლოოდ საარჩევნო უბნებზე მისულ რუსთაველთა რაოდენობა საკმაოდ დიდი აღმოჩნდა - არჩევანი წინასწარ რეგისტრირებული ამომრჩევლების 54 პროცენტმა, ანუ 29 232-მა რუსთაველმა გააკეთა. რუსთავის საოლქო კომისიაში პირველი უბნის შედეგები საღამოს 11 საათისთვის შევიდა. წინასწარი ინფორმაციით, ხმების უდიდესი ნაწილი, დახლოებით 70 პროცენტი, "ნაციონალ-დემოკრატებმა" მიიღეს, მეორე-მესამე ადგილზე 6 პროცენტით პატიაშვილის "ერთობა" და გამსახურდიას "თავისუფლება" გავიდა, "ლეიბორისტებმა" და "მემარჯვენე ოპოზიციამ" კი 5 პროცენტზე ცოტა მეტი.

## ქვემო ქართლში დარღვევები ტრადიციად იქცა

დილიდან დაძაბული სიტუაცია იყო გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის საარჩევნო უბანზე. მოსახლეობა მიწის იმ ნაკვეთების სოფლისთვის გადაცემას ითხოვდა, რომელზეც მილსადენმა უნდა გაიაროს. ამ საკითხზე სპეციალური ბრიფინგი გამართა ქვემო ქართლის გუბერნატორმა სოსო მაზმიშვილმა.

"ეს საკითხი უკვე ერთი წელია, ორ სოფელს შორის სადაოდ არის ქცეული და გარდაბნის რაიონის სასამართლოს წარმოებაში აქვს მიღებული მათი სარჩელი. მოსახლეობა ჩვენგან სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელებას ითხოვს, ეს შანტაჟია. წავიდა ის დრო, როცა გამგებლები და გუბერნატორები სასამართლოების კომპეტენციაში ერეოდნენ," - განაცხადა გუბერნატორმა. მთელი დღის განმავლობაში არ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც კრწანისში ჩასახლებული სვანების დამშვიდებას მოახერხებდა. კურიოზული იყო ამბის დასასრული: საღამოს ექვს საათზე კრწანისელები, როგორც იქნა, მიახვედრეს, რომ მათ სოფელში არჩევნების ჩაშლა საერთო სურათს ვერ შეცვლიდა. შვიდის ნახევარზე უბანი გაიხსნა და საათნახევარში დაიხურა. ხმის მიცემა ოცამდე კრწანისელმა მოასწრო, სიაში კი 800-ზე მეტი იყო. სოფელ კრწანისში არჩევნები არ შედგა. ეს ერთადერთი საარჩევნო უბანია ქვემო ქართლში, სადაც არჩევნები ჩაშლილად ოფიციალურად გამოცხადდა.

მიუხედავად უამრავი დარღვევისა, რომელიც ბოლნისის რაიონში დაფიქსირდა, იქ არც ერთი უბნის შედეგები ეჭვქვეშ არ დაუყენებია იქაურ საოლქო კომისიას. უფრო მეტიც, ბოლნისის N28 უბანზე აზერბაიჯანელი ქალბატონის, თელამ ისაევის მიერ დატრიალებული "კარუსელის" თაობაზე (მან ერთ უბანზე ოთხჯერ მისცა ხმა მარკირების გვერდის ავლით) პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, ბოლნისის საოლქო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი კვანჭიანმა კი "24 საათს" განუცხადა, რომ ეს სამაგალითო უბანია და მასზე ერთი დარღვევაც კი არ დაფიქსირებულა. კვანჭიანმა არც სხვა დარღვევების თაობაზე იცოდა რამე. ბოლნისში მყოფი დამკვირვებლები და ჟურნალისტები აცხადებენ, რომ მასობრივად იყო დარღვეული მარკირების პროცედურა, აზერბაიჯანელი კაცები კი თავიანთი ცოლების ნაცვლად ხმის მიცემას ცდილობდნენ - ქალები არჩევნებზე არ დადიან, ეს ჩვენი ნაციონალური წესია, მათ მაგივრად ჩვენ შემოვხაზავთ, რა მოხდებაო? - კითხულობდნენ ისინი.

საოლქო კომისიების 17 საათის მონაცემებით, ქვემო ქართლის მხარეში წინასწარ რეგისტრირებული მოსახლეობის 47,7 პროცენტი მივიდა არჩევნებზე. აქედან, რუსთავში - 41,5 პროცენტი, ბოლნისში - 43,5, გარდაბანში - 42,6, დმანისში - 58,4, თეთრიწყაროში - 58,9, მარნეულში - 51,1, წალკაში - 71,3 პროცენტი. 20 საათისთვის ეს მონაცემები გაიზარდა და ქვემო ქართლისთვის ტრადიციულ ნიშნულს, ანუ მოქალაქეთა აქტივობის მაღალ პროცენტს მიაღწია.

წინასწარი ინფორმაციით, ქვემო ქართლში ხმები პარტიების მიხედვით დაახლოებით ასე გადანაწილდა: "ნაციონალ-დემორატებმა" ხმების 80-90 პროცენტი მიიღეს, სხვა პარტიები კი, მხარის მასშტაბით, 7 პროცენტიანი ბარიერის გადალახვას ვერ ახერხებენ.

*მაია მოსიაშვილი*

# კახეთში სახელისუფლებო ბლოკის შემდეგ მემარჯვენე ოპოზიციაა

**"კახელებმა გავიღვიძეთ. არავის ეგონოს, რომ ჩვენს მოტყუებას ვინმე შეძლებს. რევოლუციას გემო გავუგეთ და მთავრობა თუ დანაპირებს არ შეასრულებს, მერე ნახონ მაგათ ვარდების კი არა ენძელების რევოლუცია,"** - ასე ბობოქრობდა დედოფლისწყაროს №12 საარჩევნო უბნიდან გამოსული თამარ უგრეხელიძე, რომელმაც, სხვების მსგავსად, ამ მოკლე ხანში უკვე მესამედ გააკეთა არჩევანი. ქალბატონი თამარის აზრს იქვე მდგარი ამომრჩეველიც იზიარებდა. სოფელი, რომელსაც მრავალი წელია სასმელი წყალი აქვს მონატრებული და პურს წვიმის წყლით ზელენ, იმედოვნებს, რომ ახალი ხელისუფლება პირობებს გაუუმჯობესებს. სწორედ ამ იმედით სოფლის ორმოცდაათმა პროცენტმა არჩევნებზე მისვლა გადაწყვიტა, თუმცა უმრავლესობა საარჩევნო უბნებში პრობლემებს წააწყდა, რის გამოც არჩევნების დაწყებიდან ერთ საათში ინციდენტებმა იჩინა თავი. კერძოდ, საუბნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციას პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გარეშე ატარებდა. აღნიშნული დარღვევის გამო, სამართლიანი არჩევნების დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს არაერთხელ მისცა შენიშვნა. ბოლოს კი იქამდე მივიდა საქმე, რომ დამკვირვებელსა და საუბნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ავთანდილ პატაშურს შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოხდა. პატაშურმა ემოციები მაშინ დაიოკა, როცა დამკვირვებლის საჩივარი გაანადგურა. **"კომისიის თავმჯდომარეს არაერთხელ ვთხოვე, რომ დარღვევებით არ ემოქმედა, მან კი ჩემი სიტყვები არაფრად ჩააგდო. ზეწოლა ჩემზე მას შემდეგ განხორციელდა, როდესაც ინფორმაცია ცესკო-ს გადავეცი. ამის შემდეგ საუბნო კომისიიდან კამომაგდეს,"** - ამბობს სამართლიანი არჩევნების დამკვირვებელი ეკა ლეკაშვილი. სიტუაცია ბოლოს ცესკო-მ განმუხტა. სოფლის მოსახლეომამ ეს ინციდენტი იმით ახსნა, რომ ისინი გაჭირვებულები არიან და პირადობის მოწმობის ასაღებად საჭირო თანხა არ გააჩნიათ, რადგან აქ ეს საბუთი 40 ლარი ჯდება.

ყველაზე დიდმა გაუგებრობამ თავი ლაგოდეხში იჩინა. ცესკო-ს მიერ რაიონში გაგზავნილმა დაულუქავმა ბეჭდებმა ქაოსი გამოიწვია. მოვლენები აქაც მას შემდეგ ჩაწყნარდა, როდესაც საქმეში ცესკო ჩაერია. ძითადი დარღვევები ოპოზიციამ აზერბაიჯანულ დასახლებაში დააფიქსირა. როგორც ისინი აცხადებენ, სოფელ კაბალში საარჩევნო ყუთებში გაყალბებული ბიულეტენები ჩაყარეს. ამ ფაქტს ედპ-ტრადიციონალისტები იმით ხსნიან, რომ სარეგისტრაციო ჟურნალში ერთი და იგივე ადამიანის ხელმოწერები იყო.

ყველაზე მშვიდად არჩევნები საგარეჯოს, ყვარლის, სიღნაღის, ახმეტის და თელავის რაიონში წარიმართა. როგორც ადგილობრივი დამკვირვებლები აცხადებენ, ამ რაიონებში დარღვევები ტექნიკურ ხასიათს ატარებდა. გურჯაანში ყველაზე დიდ დარღვევად სამართლიანი არჩევნების კოორდინატორმა ნანა ბერიძემ რაიონულ საავადმყოფოში №5 საუბნო კომისიის გახსნა დაასახელა. მისი განცხადებით, საარჩევნო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი დაირღვა. **"საარჩევნო უბანი არანაკლებ 50 ამომრჩეველზე იხსნება. ამ უბანში კი მხოლოდ 16 ამომრჩეველი იყო ფიქსირებული, თავისი ნება კი მხოლოდ ერთმა ამომრჩეველმა გამოხატა,"** - ამბობს ნანა ბერიძე.

როგორც მთლიანად საქართველოში, კახეთშიც საარჩევნო უბნები საღამოს რვა საათზე დაიხურა. წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა სიმპატიები სახელისუფლებო ბლოკმა და მემარჯვენე ოპოზიციამ დაიმსახურეს.

*ზვიად რუაძე*

# პრემიერ-მინისტრი აჭარაში

საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთი ყველაზე მაღალჩინოსანი "დამკვირვებელი" პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გახლდათ. თბილისში ხმის მიცემის შემდეგ პრემიერ-მინისტრი აჭრაში გაემგზავრა, მასთან ერთად - კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. გუშინ აჭარაში სადამკვირვებლო მისიით იყვნენ ასევე ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის მინისტრები.

ჟვანიას აჭარული ვოიაჟი აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯემალ გოგიტიძემ წინასაარჩევნო აგიტაციად შეაფასა. ჟვანია მართლაც მოუწოდებდა სხვადასხვა სოფლის მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობისაკენ, ოღონდ, არა ვინმეს სასარგებლოდ. ცნობისათვის, კანონთან "პირნათელობის" თვალსაზრისით, მან თანმხლები ჟურნალისტებიც დაიმოწმა: პრესის წარმომადგენლები ამის საშუალებას არ მომცემდნენო. გვარა, მუხაესტატე, ხუცუბანი - ეს ის სოფლებია, რომლებშიც პრემიერ-მინისტრი საარჩევნო უბნების სანახავად და მოსახლეობასთან შესახვედრად შეჩერდა. ყველა სოფელში მოსახლეობა პრემიერ-მინისტრს თითქმის ერთსა და იგივეს სთხოვდა: დასაქმების პრობლემის გადაჭრას, ხელფასების და პენსიების მომატებას, სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის ხელის შეწყობას, განსაკუთრებით - ჩაის კულტურის ან ციტრუსებს მხრივ და ა.შ.

**"ხვალიდან ზღაპარს ნუ ელოდებით, არ გეგონოთ, რომ გაიღვიძებთ და ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ხელისუფლება თქვენზე ზრუნავს და ნელ-ნელა პენსიების გაზრდაც მოხერხდება,"** – ასეთი იყო ჟვანიას პასუხი. ამას გარდა, ჟვანია გვარას მცხოვრებლებს დაჰპირდა, რომ პურის ფასი მეტად აღარ გაიზრდება, ხოლო ხუცუბნელებს - უცხოელი ინვესტორის რეგიონში შეყვანას, რომელიც ციტრუსების გადამამუშავებელ საწარმოს აამუშავებს და ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებს. პრემიერ-მინისტრი აჭარლების დარწმუნებას იმაშიც ცდილობდა, რომ მინისტრთა კაბინეტისათვის უმთავრესი დღეს ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის პრობლემებზე ზრუნვაა. საარჩევნო უბანზე "რაღაც პრობლემების" არსებობის შესახებ ეჭვები კი ჟვანიას თავად მოსახლეობამ გაუფანტა: ჭორებს ნუ აჰყვებით, სოფლის საარჩევნო უბანზე სრული სიმშვიდეაო. სოფელ-სოფელ მოსიარულე ზურაბ ჟვანიაც საარჩევნო უბნების მონახულების შემდეგ კმაყოფილებას ვერ მალავდა, ხმის მიცემის პროცესი მშვიდად მიმდინარეობსო, მაგრამ ამავე დროს, საღამოს საათებში არეულობის შიში მაინც ჰქონდა. განსაკუთრებით, ქობულეთში, გაერთიანებული ოპოზიცია "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლებთან დახურულ შეხვედრის შემდეგ. ამ შეხვედრიდან გამოსულმა ზურაბ ჟვანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას ჰქონდა ინფორმაცია დღის ბოლოსათვის საარჩევნო უბნების დარბევის ან ყუთების მოსალოდნელი გატაცების თაობაზე. თუმცა, ჟვანიამ იქვე დააკონკრეტა, რომ **"მსგავსი რამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ და სამართალდამცველებმა არ უნდა დაუშვან. ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის არის ის, რომ საპარლამენტო არჩევნებმა რაც შეიძლება დემოკრატიულ და მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს."**

მოსალოდნელ ექსცესებზე თავად ასლან აბაშიძეც საუბრობდა, ოღონდ ექსცესების ორგანიზების მსურველები მას თბილისში ეგულებოდა. **"გვაქვს დოკუმენტური ჩანაწერი, სადაც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი საუბრობს - ჩვენი ყველა რეზერვი უნდა გამოვიყენოთ, რათა აჭარაში ექსცესები გამოვიწვიოთო,"** - ამგვარი განცხადება აბაშიძემ, პრემიერ-მინისტრთან გამართული შევხვედრის შემდეგ, ჟურნალისტებთან გააკეთა, რომლებსაც მოვლენების არასწორად გაშუქების გამო იგი კიდევ ერთხელ გაუბრაზდა.

**"ოპოზიციას იარაღი ვერ ექნება"!** - ასეთი იყო ზურაბ ჟვანიას პასუხი აბაშიძის განცხადებაზე. ზურაბ ჟვანიამ გუშინ ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა, რომ გაუქმდება აბსოლუტურად ყველა საარჩევნო უბნის შედეგები, სადაც კი ძალადობის ფაქტები დაფიქსირდება. ამგვარი განცხადება ჟვანია-აბაშიძის შეხვედრის დასრულებისას გაკეთდა. საღამოს ზურაბ ჟვანია საარჩევნო დარღვევების თაობაზე ხმების გადასამოწმებლად ციხისძირში გაემგზავრა. ჟვანიას განცხადებით, ხმის მიცემის პერიოდში ფართომასშტაბიანი დარღვევები არ ყოფილა. პრემიერ-მინისტრმა ცენტრსა და რეგიონს მეტი ყურადღებისაკენ მოუწოდა. მოგვიანებით, სავარაუდო ექსცესებზე საუბარს მხარეები ნორმალურად ჩატარებულ არჩევნებზე საუბარს ამჯობინებდნენ. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი აცხადებდა, სტაბილურობის თვალსაზრისით, სერიოზული როლი რეგიონში ჩასულმა უცხოელმა დამკვირვებლებმაც ითამაშეს.

*ლენა მიქაძე*

# იმერეთში არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა



*მშვიდი არჩევნები.*

არჩევნებმა ქუთაისსა და იმერეთში მშვიდად ჩაიარა. არ დაფიქსირებულა არც ერთი მნიშვნელოვანი დარღვევა, რასაც საბოლოო შედეგებზე რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლო. გუშინ ამ ფაქტს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც აღიარებდნენ. ჟურნალისტებისთვის კი ქუთაისში უმნიშვნელო დარღვევის პოვნაც ჭირდა. ქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ავთო ოსეფაიშვილის ინფორმაციით, ქუთაისში არჩევნებზე 45 940 ამომრჩეველი მივიდა, რაც საერთო რაოდენობის 53,63 პროცენტია. მართალია ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა ქუთაისში არ დაფისირებულა, მაგრამ საოლქო საარჩევნო კომისიაში აღნიშნული მაჩვენებელი საპარლამეტო არჩევნებისთვის დამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ.

დარღვევების შესახებ პირველი ინფორმაცია ვანიდან მოვიდა, სადაც ერთ-ერთი უბნიდან "თავისუფლების" პარტიის წევრები გამოაძევეს. **"ვანის მესამე საუბნო საარჩევნო კომისიიდან გამგვყარეს. ყურადღების მისაქცევია სხვადასხვა ჭორები, რომელიც აქ ვრცელდება. კერძოდ, აქ აცხადებენ, რომ ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი. 70 პროცენტს სამთავრობო პარტია აიღებს, 20 პროცენტს მრეწველები, ხოლო ათ პროცენტს გამსახურდიას პარტიას მისცემენო,"** - განაცხადა ჩვეთან საუბრისას "თავისუფლების" დამკვირვებელმა ნელი ბელთაძემ. ჩვენი ინფორმაციით ვანში აღნიშნული ინციდენტი მალევე მოგვარდა და აღნიშნული დამკვირვებელი უბანში შეუშვეს.

დარღვევეის დაფიქსირებას გუშინ "მემარჯვენეებიც" ცდილობდნენ. აღნიშნულის თაობაზე განცხადებებს ქუთაისში ჩამოსული დავითთ საგანალიძე აკეთებდა. **"არჩევნების წინა დღეს "ნაციონალური მოძრაობა- დემოკარტების" ოფისში იმყოფებოდნენ ადამიანები, რომლებმაც თავი წარმოადგინეს, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დაქირავებულმა იურისტებმა. ისინი დღის განმავლობაში, ყველა საუბნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს შეხვდნენ. მათ განუმარტეს, რომ შემაჯამებელი ოქმის შედგენაში შეცდომის აღმოფხვრისთვის, ოქმები თავდაპირველად მათთან უნდა მიიტანონ, და თუ რამე შეცდომები იქნება, გადავაკეთებთო. ვინ მისცა მათ იფლება, უბნიდან ოლქის მიმართულებით მოძრავი შემაჯამებელი ოქმები სადღაც გზაში გააჩერონ და შესწორებები აკეთონ? ხელისუფლებას აქვს პირდაპირი დავალება, რომ არცერთ პარტიას არ გადაალახვინოს შვიდპროცენტიანი ბარიერი. მემარჯვენე ოპოზიციამ კი ქუთაისის არცერთ საარჩევნო უბანში 30 ხმაზე მეტი არ უნდა აიღოს. მეჩვიდმეტე უბანი კი, შესაძლოა, დაირბეს კიდეც. აი, ეს არის ის, რასაც ხელისუფლება ქუთაისში აპირებს,"** - განაცხადა საგანელიძემ, თუმცა მისი წინასწარმეტყველება არ ახდა, საარჩევნო უბანი ქუთაისში არ დარბეულა. რაც შეეხება დაქირავებულ იურისტებს, აღნიშნულს ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აბსურდს უწოდებს. **"20 იურისტის დასაქირავებელი ფული რომ მქონდეს, რა მიჭირს? მაგ ხალხს მთელი დღეა ტელევიზიები დაეძებენ და ვერსად მიაგნეს. აღნიშნული ბრალდებები აბსურდია,"** - განაცხადა ოსეფაიშვილმა.

არჩევნების დღეს კმაყოფილი გამოიყურებოდა რწუნებული დავით მუმლაძე. **"აქტივობა საკმაოდ კარგია, არჩევნები მშვიდად მიდის. ინფორმაცია მაქვს იმერეთის თერთმეტივე რაიონიდან. უმნიშვნელო ინციდეტებსაც კი არ ჰქონია ადგილი. ყველგან სიმშვიდეა. დარწუნებული ვარ, რომ არჩევნები მშვიდად ჩაივლის,"** - განაცხადა მან.

რწმუნებულისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეს ლეიბორისტებმა, თუმცა ისინიც აცხადებდნენ, რომ ქუთაისში სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. **"დღის განმავლობაში სერიოზული დარღვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა გაყალბებები ხმის დათვლის დროს უფროა მოსალოდნელი. უფრო კონკრეტულად კი დარღვევები დაფიქსირდა ხონში და ქუთაისის ორ უბანზე. ხონის რაიონის სოფელ გორდში ოპოზიციურად განწყობილ ხალხს საარჩევნო უბანში არ უშვებდნენ. ხდებოდა მათი გაცხრილვა. ქუთაისში კი დაფქსირდა ერთი უბანი, სადაც 20 ბიულეტენი ჩაყარეს, აღნიშნული დარღვევა დამკვირვებლებმა დააფიქირეს. 63-ე უბნის თავმჯდომარემ კი განაცხადა, რომ შემაჯამებელ ოქმს დღეს არ შეადგენს, რაც ასევე კანონის დარღვევაა. ბაღდათში სოფელ დიმისა და ობჩის საარჩევო უბნებიდან ოპოზიციური პარტიის წევრები გამოყარეს,"** - განაცხადა ლეიბორისტების იმერეთის საარჩევნო შტაბის თავმჯდომარემ ავთანდილ საყვარელიძემ

"ქალბატონი ჟუჟუნა წავიდა არჩევნებზე და მე სახლში რა დამაჯენდა? ხმა მივეცი და კმაყოფილც ვარ. ახლა ეზოში კარგი ღვინო და ძმაკაცები მელოდებიან, საქართვლოს სადღეგრძელოს აუცილებლად განსხვავებული სასმისით შევსვამთ," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთმ ვალმოხდილმა ამომრჩეველმა. ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციით კი, ხმის დათვლის პროცედურა დილამდე გასტანს.

*ბექა სისაური ქუთაისიდან*

# "აღორძინება" დამარცხდა



*წარმატებაზე პირველი განცხადებები აჭარის ოპოზიციიდან ხაბაზმა გააკეთა.*

**დავით ბერძენიშვილი:** 28 მარტს აჭარისთვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც 23 ნოემბერს დანარჩენი საქართველოსთვის ჰქონდა. ბათუმის ყველა საარჩევნო უბანში "ნაციონალურ მოძრაობას" ორჯერ მეტი ხმა აქვს, ვიდრე "აღორძინებას". ანგარიშით - ორით ერთი - ჩვენ ვიგებთ. ხელვაჩაურის ზოგიერთ სოფელში ჩვენ გვაქვს უპირატესობა, ზოგში ისინი იგებენ. ქალაქ ქობულეთში დიდი უპირატესობით "ნაციონალური მოძრაობა" იმარჯვებს, ქობულეთის სოფლების დიდი ნაწილი ჩვენ მოვიგეთ, ზოგიერთი - "აღორძინებამ". საბოლოო ჯამში აჭარაში "ნაციონალურმა მოძრაობამ" გაიმარჯვა. "აღორძინება" ვერ მიუახლოვდება შვიდპროცენტიან ზღვარს... 28 მარტის არჩევნების ყველაზე დიდი შედეგი გახლავთ სწორედ ის, რომ აჭარის მოსახლეობამ გაათავისუფლა საქართველო "აღორძინებისგან". ამის შემდგომ მთელმა საქართველომ უნდა გაათავისუფლოს აჭარის მოსახლეობა აბაშიძის მმართველობისგან. 28 მარტი მართლაც ისტორიული დღეა, ამიერიდან "აღორძინება" არ იქნება საქართველოს პარლამენტში... გაყალბებები, ცხადია, იყო. რამდენიმე სოფელში ტოტალური გაყალბებებიც კი დაფიქსირდა, როდესაც ჩვენი წარმომადგენლები საარჩევნო უბნებიდან გამოაძევეს. რამდენიმე სოფელში შეიარაღებული ხალხიც გამოჩნდა, მაგრამ გაყალბებებს მასობრივი ხასიათი არ ჰქონია. ამდენად, აჭარაში არჩევნები შედგა და ეს, მეტწილად, ხალხის დამსახურებაა.

*24 საათი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მილოცვები არჩევნების დემოკრატიულად და წარმატებით ჩატარებისთვის

პირველი გვერდიდან

**"ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო საზოგადოების აზრს. საერთაშორისო თანამეგობრობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქართველოში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. იმედია, ისევე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, საქართველოს საზოგადოება გაწბილებული არ დარჩება მას შემდეგ, რაც მომავალი პარლამენტი მუშაობას სრული დატვირთვით შეუდგება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო საზოგადოების იმედები არ გავაცრუოთ და დავიცვათ ის დემოკრატიული პრინციპები, რომელზეც მთელი ცივილური სამყარო არის დაფუძნებული, "** – აღნიშნა ბურჯანაძემ. მან ასევე პირობა დადო, რომ დაისჯება ყველა ის პირი, რომელმაც გაყალბებაში მიიღო მონაწილეობა, თუ ამგვარი ფაქტები გამოვლინდება. მისი თქმით, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ოპოზიციას წინასაარჩევნო კამპანიის ნორმალურად წარმართვის საშუალება ჰქონოდა. **"თუმცა, მას შემდეგ, რაც ჩვენ ხელისუფლებაში ვართ, არც ერთი ისეთი შეცდომა არ დაგვიშვია, რაც ხალხს ოპოზიციის მხარდაჭერისკენ უბიძგებდა. ჩვენი მიზანი ერთპარტიული პარლამენტი ნამდვილად არ ყოფილა,"** – აღნიშნა მან.

ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, მცირეოდენი ხარვეზების მიუხედავად, საარჩევნო პროცესმა წარმატებულად ჩაიარა. უბნების მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის დონე და საარჩევნო ადმინისტრაციების პროფესიონალიზმი – ცესკო-ს თავმჯდომარის აზრით, ამ ორი ფაქტორის გამო 28 მარტის არჩევნები წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. ჭიაბერაშვილი უკმაყოფილო დარჩა ამომრჩეველთა აქტივობით.



გოგიტა ბახსაძის ფოტო

სალომე ზურაბიშვილი და ნინო ბურჯანაძე მილებაზე საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი მათიას იორში 28 მარტის არჩევნების შეჯამებას არ ჩქარობს. "მე ამისთვის რამდენიმე საათი მჭირდება," – აღნიშნა მან "24 საათთან" საუბარში. თუმცა, მისი თქმით, გუშინდელმა არჩევნებმა მასზე "საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება" მოახდინა.

თავად გუშინდელი შეხვედრის მასპინძელმა, სალომე ზურაბიშვილმა არჩევნების კომენტირებისგან თავი შეიკავა.

*24 საათი*

# 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები - ოპოზიციის საძმო სასაფლაო

პირველი გვერდიდან

მათი ლიდერები ხმამაღლა საუბრობდნენ არჩევნების დროს გამოვლენილ დარღვევებზე და თავიანთი მარცხის მიზეზად ხალხის ნების გაყალბებას ასახელებდნენ, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ამას ისინი მოვალეობის მოხდისა და გულის მოსაფხანად უფრო აკეთებდნენ.

ოპოზიციის კაპიტულაციად და მისი სასოწარკვეთის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს თუნდაც ის ფაქტი, რომ "არჩევნების მედია-ცენტრში" გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დამარცხებული პარტიების ხელმძღვანელები თავად არ გამოცხადდნენ და, მასმედიისთვის ახსნა განმარტებების მისაცემად, უფრო დაბალი რანგის პარტიული ფუნქციონერები მიავლინეს: "მედია-ცენტრში" ლეიბორისტების პოზიციებს იცავდნენ გელა დანელია და ბადრი ნინაური, "ედპ-ტრადიციონალისტებისას", - ირაკლი მელაშვილი და ირაკლი ქადაგიშვილი, "მრეწველები-ახლებისას" - მამუკა კაციტაძე...

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი ხმაური ლეიბორისტებმა ატეხეს. იმის გამო, რომ მათ ლიდერს არ მიეცა ხმის მიცემის საშუალება, აგრეთვე ცალკეულ რეგიონებში მოხდარი დარღვევებიდან გამომდინარე, შალვა ნათელაშვილის თანამებრძოლები აცხადებდნენ, რომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.

**"არაფერი შეცვლილა, მათ შორის, - არც შემსრულებელნი. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენი ხმები დაკარგულიყო,"** - აღნიშნავს გელა დანელია. იგი არ გამორიცხავს, რომ მისმა თანამებრძოლებმა, პროტესტის ნიშნად, უვადო შიმშილობა დაიწყონ. ლეიბორისტების წარმომადგენელი იმასაც ამტკიცებს, თითქოს, გარკვეული ბიზნეს-ჯგუფები სახელისუფლებო გუნდისგან ხმებს ყიდულობენ. დანელია ფასსაც ასეხელებს: ერთი ხმა - ხუთი დოლარი.

ლეიბორისტებისგან განსხვავებით, "ედპ-ტრადიციონალისტები" აცხადებენ, რომ 28 მარტს ტოტალური, მასობრივი გაყალბება არ მომხდარა, რადგან "ხელისუფლებას ასეთი რამ არ სჭირდებოდა". ირაკლი მელაშვილის თქმით, შეიძლება საუბარი იყოს მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ხმებით მანიპულირებაზე.

პრესკონფერენციაზე მან საკმაოდ ბევრი ისაუბრა აგრეთვე ამომრჩევლის პასიურობაზე, წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მიერ სატელევიზიო ეთერის "ოკუპირებაზე"... მარცხთან შეგუება ძალიან ძნელი აღმოჩნდა.

**"თუ ეგზიტპოლის შედეგები არჩევნების შედეგებს დაემთხვევა, მზად ვარ, საერთოდ წავიდე პოლიტიკიდან,"** - აცხადებს "ედპ-ტრადიციონალისტების" წარმომადგენელი.

ცხადია, ოპოზიციისგან რადიკალურად განსხვავებულ შეფასებებს აკეთებს სახელისუფლებო გუნდის წევრი გიორგი არველაძე: **"ეს იყო პირველი არაძალადობრივი არჩევნები. შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ საქართველომ დიდი ნაბიჯი გადადგა დემოკრატიისკენ, რადგან ყველგან, მათ შორის, აჭარაში, საპარლამენტო არჩევნები აქამდე არნახული გამჭვირვალეობითა და ობიექტურობით ჩატარდა."** არველაძე მოუწოდებს ყველა პარტიას, პატივი სცენ ამომრჩევლის ნება და აღიარონ არჩევნების შედეგები. იგი არ უარყოფს, რომ არჩევნების დროს დარღვევები იყო, ოღონდ არა ისეთი მასშტაბის, როგორიც ადრე. სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელი ქვემო ქართლში სხვა რეგიონებთან შედარებით მრავალრიცხოვან დარღვევებს ინერციის გამოვლენად მიიჩნევს და პირობას იძლევა, რომ დარღვევის თითოეულ ფაქტს სათანადო შეფასება მიეცემა და მათზე აუცილებლად მოხდება რეაგირება.

იმის შესახებ, რომ ქვემოქართლელები ტრადიციას "არ ღალატობენ", გუშინ თინათინ ხიდაშელიც საუბრობდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელის მიერ დაფიქსირებულ დარღვევათა ჩამონათვალი მოიცავს საარჩევნო უბნებზე ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლების ყოფნას, ოჯახის დანარჩენი წევრების ნაცვლად ხმის მიცემას, მარკირების პრობლემას... თუმცა, ხიდაშელი იქვე შენიშნავს, რომ წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ქვემო ქართლში პოლიცია არ ერეოდა საარჩევნო პროცესში, აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ ბოლნისში, რეგიონის სხვა რაიონებთან შედარებით, დარღვევები გაცილებით ნაკლები იყო.

# არჩევნები შედგა. შედეგები ჯერ ცნობილი არ არის

პირველი გვერდიდან

თამარ მჭედლიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემების ბაზაში მონაცემების შეყვანა ღამის ორი საათისთვის დაიწყო. ცესკო საკუთარ ვებ-გვერდზე იმ უბნებიდან შემოსულ ციფრებს ათავსებდა, საიდანაც შემაჯამებელი ოქმები მოდიოდა. ცესკო-მ უარი თქვა ინფორმაციის ტელეფონით მიღებაზე. სწორედ ამით ახსნეს კომისიაში წინასწარი ინფორმაციების დაგვიანებით შემოსვლა.

უნდა ითქვას, რომ გუშინ, მთელი დღის გამავლობაში ცესკო-ში საკმაოდ მშვიდი ატმოსფერო სუფევდა. თითქმის ერთსაათიანი ინტერვალებით გამართულ ბრიფინგებზე ცესკო-ს თავმჯდომარე მხოლოდ კონკრეტულ დარღვევებზე საუბრობდა და ამომრჩევლებს უფრო მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდებდა.

ვითარება მხოლოდ დღის მეორე ნახევარში მაშინ დაიძაბა, როდესაც ზურაბ ჭიაბერაშვილმა აჭარაში შექმნილ მდგომარეობაზე საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, რეგიონში საარჩევნო უბნების დარბევა დაიწყო. ცესკო-ს ინფორმაციით, შეხლა-შემოხლა მოხდა ბათუმის მერვე საარჩევნო უბანზე. ქობულეთში, სასტუმრო "ინტურისტის" შენობაში განთავსებულ საარჩევნო უბანზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ ხელს უშლიდნენ კენჭისყრის პროცესს, შემდეგ კი კომისიის წევრებს კარი ჩაუკეტეს. მანვე განაცხადა, რომ ბათუმის ქუჩებში დადიოდა "ფორდის" მარკის ავტომანქანა და მასში მსხდომნი საუბნო საარჩევნო კომისიებს არბევდნენ, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში კომისიის რამდენიმე წევრი უბნიდან გამოყარეს. მისივე თქმით, მობილიზებულია მცირე ჯგუფები უბნების დასარბევად და ა.შ. ჭიაბერაშვილმა მოუწოდა აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობას და საქართველოს მთავრობას, ეზრუნათ იმისთვის, რომ არც ერთ ამომრჩეველს არ შექმნოდა პრობლემა საკუთარი ნების გამოხატვის დროს.

ასეთმა მკვეთრმა განცხადებამ ცესკო-ში საკმაო ხმაური გამოიწვია, რადგან იმ დროს შენობაში იმყოფებოდა "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, რომელმაც ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებას "სრული სიცრუე" უწოდა. იგივე შეფასება გაისმა ცესკო-ს წევრის ზურაბ აბაშიძის მხრიდანაც, რომელიც ასევე "აღორძინების კავშირის" წევრია. როგორც აბაშიძემ "24 საათს" განუცხადა, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საზოგადოების მთელი ყურადღება აჭარისკენ მიმართულიყო და სხვა რეგიონებში გაყალბების ფაქტები რეაგირების გარეშე დარჩენილიყო. **"მე თვითონ ველაპარაკე ბათუმში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს. არც ერთი მათგანი ჭიაბერაშვილის განცხადებას არ ადასტურებს",** – აღშფოთებული იყო აბაშიძე.

საღამოს ცესკო-ში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები გამოჩნდნენ. არჩევნების გაყალბებაზე ღიად საბუობდნენ "ედპ-ტრადიციონალისტებისა" და "სოციალისტების" წევრები. ასე მაგალითად, ირაკლი მელაშვილის თქმით, "ედპ-ტრადიციონალისტებმა" სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს ფოთში და ქუთაისში, თუმცა ბლოკის წარმომადგენლებს საჩივრების დაწერის საშუალება არ მისცეს.

საღამოს რვა საათზე კი ცესკო-ს შენობის წინ, მეგაფონითა და დროშებით, უკვე "ლეიბორისტები" მივიდნენ. პარტიის ლიდერები, როგორც ყოველთვის, უხვსიტყვიანები იყვნენ და ხელისუფლებას და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ათას ცოდვაში ადანაშაულებდნენ. თუმცა, მათ მიტინგს ლეიტმოტივად მაინც ერთი მოწოდება გასდევდა, რომელიც ასე ჟღერდა – **"არ დავუშვათ ხელისუფლების მხრიდან არჩევნების ტოტალური გაყალბება და ლეიბორისტული პარტიის პარლამენტს მიღმა დარჩენა".**

გვიან საღამოს, ცესკო-ს თავმჯდომარე შემაჯამებელ პრესკონფერენციას მართავს. ამ დროისთვის, აჭარაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადებები უკვე გაკეთებული აქვთ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს. ორივე პოლიტიკოსი აჭარაში ვითარების უკიდურესად დაძაბვის ფაქტს, ფაქტობრივად, უარყოფს. ამის მიუხედავად, ზურაბ ჭიაბერაშვილი მაინც აცხადებს: ჟვანიასა და ბურჯანაძისადმი მისი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, იგი ეყრდნობა იმ ინფორმაციებს, რომელსაც რეგიონში საკუთარი წარმომადგენლები აწვდიან და კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ დღის განმავლობაში აჭარის რამდენიმე საარჩევნო უბანში დარბევების რეალური საფრთხე ნამდვილად იყო. ამავე შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ზურაბ ჭიაბერაშვილი არჩევნებზე მისულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობასაც ასახელებს და აცხადებს, რომ პირველი წინასწარი მონაცემები ცესკო-ს კომპიუტერულ ბაზაში ღამის ორი საათისთვის დაიწყებს შესვლას. ასე რომ, შესაძლოა, არჩევნების შედეგები უკვე დღეს გახდეს ცნობილი,

რაც შეეხება საარჩევნო პროცედურების დარღვევის ფაქტებს: ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ინფორმაციები უკვე დილიდან შედიოდა. ტრადიციულად რთულ რეგიონში – ქვემო ქართლში არჩევნებს ექსცესების გარეშე არც ამჯერად ჩაუვლია. ცალკე ცესკო-ს თავმჯდომარე და ცალკე იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც ამ რეგიონში არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდნენ, ადგილობრივ კომისიებს უფლებამოსილებების გადაჭარბებასა და არჩევნების შედეგების გაყალბების მცდელობებში ადანაშაულებდნენ.

ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, ბოლნისის რამდენიმე საარჩევნო უბანზე არჩევნები შესაძლოა, ჩაშლილად გამოცხადდეს, რადგან კანონმდებლობის უხეში დარღვევა აშკარად სახეზე იყო. ასე, მაგალითად : ბოლნისის 30-ე უბანზე ამომრჩევლებს წინასწარ შემოხაზულ ბიულეტენებს ურიგებდნენ, ხოლო მე-4 უბანზე ერთ-ერთმა ამომრჩეველმა კენჭისყრაში მონაწილეობა ოთხჯერ მიიღო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გენერალურ პროკურატურას საქმის გამოძიება ოფიციალურად მოსთხოვა. მისივე თქმით, იმ პირების მიმართ, ვინც კანონმდებლობის დარღვევაში ამხილეს, სისხლის სამართლის საქმეც უნდა აღიძრას.

მთელი დღის განმავლობაში გაცილებით უხვ ინფორმაციას ავრცელებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ისინი საათში ერთხელ საგანგებო ბრიფინგებს მართავდნენ და საზოგადოებას მათ მიერ გამოვლენილ დარღვევებს აცნობდნენ.

საზოგადოება "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლებმა დარღვევები არაერთ საარჩევნო უბანზე აღმოაჩინეს. მაგალითად, ბოლნისის საარჩევნო ოლქის 35-ე, მე-4, მე-9, 42-ე, მე-19 უბნებზე კომისიის თავმჯდომარეებმა არ შეუშვეს "ლეიბორისტული პარტიის" წევრები, რომლებიც ამ საარჩევნო კომისიების წევრები იყვნენ. იგივე სახის დარღვევები აღმოაჩინეს 47-ე და 41-ე საარჩევნო უბნებზე. ამის გარდა, 41-ე საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კომისიის წევრს. დამკვირვებლების თქმით, ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც კომისიის ლეიბორისტმა წევრმა კომისიის თავმჯდომარეს საარჩევნო პროცედურების დარღვევისთვის შენიშვნა მისცა. 26-ე საარჩევნო უბანზე კი ერთმა ამომრჩეველმა ხმა 5-ჯერ მისცა. ყველაზე დიდი დარღვევა კი 30-საარჩევნო უბანზე მოხდა, სადაც საარჩევნო ბიულეტენში მეხუთე ნომერი უკვე წინასწარ იყო შემოხაზული. 52-ე უბანზე კი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა.

რაც შეეხება სხვა რაიონებს: ამ ორგანიზაციის დამკვირვებლების ანგარიშის თანახმად, ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის მე-20 უბანზე ბიულეტენები დღის 12 საათისთვისაც არ იყო მიწოდებული. არ იყო გახსნილი, აგრეთვე, საოლქო საარჩევნო კომისია. ბათუმის საარჩევნო ოლქის არც ერთ უბანზე არ იყო შედგენილი ბიულეტენების მიღება-ჩაბარების აქტები. კენჭისყრის პროცესი დარღვევებით წარიმართა ახალციხეში, ციხისძირში, ჩაქვში. დმანისის ერთ-ერთ უბანზე გამოკრული იყო "ნაციონალების" პლაკატები. ფონდ "სამართლიანი არჩევნების", "ISFEDFE" და "ახალი თაობის" წარმომადგენელთა მოთხოვნის მიუხედავად, კომისიის წევრებმა პლაკატები მაინც არ ჩამოხსნეს. ქობულეთის მე-10 უბანზე არ ხორციელდებოდა ამომრჩეველთა მარკირება. მეტიც - ბიულეტენების არათანაბრად განაწილების გამო საარჩევნო კომისიების წევრთა შორის შელაპარაკებაც მოხდა.

ანალოგიური სახის დარღვევები სხვა რაიონებშიც დაფიქსირდა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უფრო დაწვრილებით აგნარიშს დღეს გამოაქვეყნებენ.

ძირითადი ტენდენცია

# სუფთა ფურცელი

პირველი გვერდიდან

უსუსურია ყოველგვარი მცდელობა, მაღალი რეიტინგი და შედეგი აიხსნას "გაყალბებით" თუ "საარჩევნო ტექნოლოგიებით".

არავითარი გაყალბება გამარჯვებულ პარტიას არ დასჭირდებოდა, ვინაიდან 28 მარტს გამართული კენჭისყრა იყო არა უბრალოდ არჩევნები, არამედ რევოლუციის ბოლო აკორდი – პოსტრევოლუციური სინდრომის კიდევ ერთი გამოვლინება, ანუ "რევოლუციური დომინანტის" ლოგიკური წარმატება, რაც ამჯერად სწორედ ნოემბერში გამარჯვებულ გუნდთან ასოცირდება.

მოსახლეობამ მხარი დაუჭირა "ნაციონალურ მოძრაობა-დემოკრატებს" იმავე მოტივაციით, რითიც მონაწილეობდა ნოემბრის გრანდიოზულ მიტინგებში: ეს გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარსულის უარყოფა მომავლის იმედით, ესე იგი მოტივი, რომელსაც, უბრალოდ, რევოლუციიდან რამდენიმე თვის შემდეგ ვერაფერი დაჯაბნიდა.

მაშასადამე, 28 მარტს ამომრჩეველმა ხმა მისცა იმას, რომ იგი უკვე ცხოვრობს 21-ე და არა მე-20 საუკუნეში. განა გასაკვირია, რომ რაკი საქმე ასეთ ელემენტარულ ჭეშმარიტებამდე დავიდა, ამომრჩეველი "ორჯერ-ორის" ნამრავლისას გაუგებრობას და მოულოდნელობას არ გამოავლენდა?

სხვა საკითხია, რატომ და როგორ მოხდა ამ ელემენტარული (მაგრამ მძლეთამძლე!) მოტივის დაკავშირება სწორედ გამარჯვებულ ძალასთან, მაგრამ ეს გვაბრუნებს გასული წლის მოვლენებთან და ამაზე მსჯელობა "განვლილის განმეორებაა". რაც მთავარია, აბსოლუტურად არალოგიკური იქნებოდა, 23 ნოემბერს გამარჯვებულ ძალას, სავსებით ლეგიტიმური მეთოდებით, სახელისუფლებო სტრუქტურათა ფორმალიზებისას რაიმე პრობლემა შექმნოდა.

ხელისუფლებას, ფაქტობრივად, არათუ "საარჩევნო ტექნოლოგიები" არ გამოუყენებია (რაკი ამის აუცილებლობა უბრალოდ არ იყო), არამედ კამპანია თითქმის საერთოდ არ უწარმოებია, თუ არ ჩავთვლით პრეზიდენტის რამდენიმე განცხადებას – მისი პოლიტიკური პრიორიტეტების დადასტურებით.

ძალიან დიდი როლი შეასრულა (უდავოდ) აჭარის მოვლენებმა, მაგრამ ეს იყო არა უბრალოდ პოლიტიკური ტექნოლოგია, არამედ კონკრეტული პოლიტიკის დემონსტრირება საქართველოსათვის ერთ-ერთი უმტკივნეულესი პრობლემის გადასაჭრელად. "რევოლუციურმა გუნდმა" ამ შემთხვევაშიც ზუსტად გათვალა ინტერესთა თანხვედრის (აგრეთვე მოსახლეობის განწყობის) ვექტორი და კვლავ წარმატებას მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები ავტონომიაში ასეა ადვილად არ აღმოიფხვრება, მთავარი უკვე მოხდა: საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე ასლან აბაშიძისა და მისი "აღორძინების" ფაქტორი აღარ არსებობს. იგი დაუბრუნდა საწყისს და მიიღო მისთვის ბუნებრივი სახე: ერთი ჩვეულებრივი, პარტიკულარისტული, რეგიონული პარტიისა, რომელსაც ამ რეგიონის მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობაც აღარ უჭერს მხარს.

ამ თვალსაზრისით, 28 მარტის არჩევნები გახლდათ აგრეთვე "დიდი წმენდა" ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე – მისი საბოლოო გათავისუფლება წარსულის აჩრდილებისა და ნარჩენებისგან.

მოსახლეობას სურდა და სურს, ცხოვრება დაიწყოს "სუფთა ფურცლიდან". სხვა საქმეა, მთლიანობაში ეს რამდენად გამოუვა, მაგრამ მას ეს ძალიან სურს – აქედან გამომდინარე, არჩევნების შედეგიც ადვილად პროგნოზირებადი იყო.

# გუშინ აჭარაში "მაგთიკომის" ქსელი რამდენიმე საათით გაითიშა

გუშინ აჭარის ტერიტორიაზე კერძოდ, ბათუმსა და ზემო აჭარაში შპს "მაგთიკომის" ქსელი რამდენიმე საათით გაითიშა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრმა თამარ სულუხიამ და "მაგთიკომის" გენერალურმა დირექტორმა დევიდ ლიმ "მაგთიკომის" სათაო ოფისში ერთობლივი პრესკონფერეცია გამართეს. პრესკონფერენციის მსვლელობისას ქსელის მუშაობა აღდგა. უკვე შუადღისთვის აჭარაში განლაგებული "მაგთიკომის" ყველა სადგური და ანძა ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებდა.

მანამდე კი, "მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, არჩევნებამდე სამი დღის განმავლობაში ყველა საბაზო სადგური და ანძა "მაგთიკომის" მიერ სპეციალურად იქნა შემოწმებული, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი სრული ტექნიკური მზადყოფნა არჩევნებთან დაკავშირებით გაზრდილი ზარების მისაღებად. ამასთან, გაძლიერებულ იქნა საბაზო სადგურების დაცვა და უსაფრთხოება.


თამარ სულუხია.

28 მარტს, დილის ექვსი საათისათვის "მაგთიკომის" აჭარის ბიუროს ხელმძღვანელობამ და ცენტრალური ოფისის ტექნიკურმა სამსახურმა დევიდ ლის ბათუმსა და ზემო აჭარის ტერიტორიაზე სიგნალის გავრცელების შეზღუდვის შესახებ შეატყობინა. "მაგთიკომის" გენერალურმა დირექტორმა საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრს, თამარ სულუხიას მაშინვე პრობლემის თაობაზე აცნობა. ამასთანავე, მობილიზებულ იქნენ "მაგთიკომის" ტექნიკური განყოფილებისა და სათაო ოფისის თანამშრომლები. 09:30 სთ-ზე თამარ სულუხია და დევიდ ლი პრობლემის ერთობლივი ძალისხმევით მოგვარებისა და "მაგთიკომის" ოფისში ერთობლივი პრესკონფერენციის მოწყობის თაობაზე თანხმდებიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრესკონფერენციის მსვლელობისას ქსელის მუშაობა აღდგა. შეხვედრის დასრულებისთანავე გენერალურმა დირექტორმა აჭარაში სპეციალური ტექნიკური მოკვლევის ჯგუფი გააგზავნა.

აჭარის ტერიტორიაზე „მაგთის" სატელეფონო კავშირის შეწყვეტის მიზეზად ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრმა ნოდარ თამაზაშვილმა პროგრამული გამორთვა, ანუ ცენტრალური ოფისიდან გათიშვა დაასახელა. მისი თქმით, "მაგთის" ორივე სარელეო სადგურის დათვალიერებამ ფიზიკური დაზიანებები არ გამოავლინა.

ამ დროს, "მაგთის" სიგნალი ვრცელდებოდა ქობულეთიდან მწვანე კონცხამდე, ხოლო ომბალაურიდან ბათუმამდე - ველარ. ამან აღძრა ეჭვი, რომ ჩაქვში საგანგებო ჩამხშობი იყო განლაგებული, მაგრამ ნოდარ თამაზაშვილმა არც ეს ეჭვი დაადასტურა.

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, ბათუმისა და ზემო აჭარის ტერიტორიაზე "მაგთიკომის" ქსელი შეფერხების გარეშე მუშაობდა.

ტექნიკური მოკვლევის ჯგუფის აჭარიდან დაბრუნებას და მომხდარის შესახებ საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრისათვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებას დევიდ ლი გუშინვე, საღამოსთვის გეგმავდა.

**24 საათი**

*თვალსაზრისი*

# რატომ უნდა შევამსუბუქოთ საგადასახადო წნეხი

*საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის შესანიშნავი წინადადება - შეამციროს საგადასახადო ტვირთი, ეხმიანება ახალი საგადასახადო კოდექსის შემქმნელი ჯგუფის იდეებს. ამ კოდექსის პროექტის მიხედვით, როგორც ცნობილია, შემოთავაზებულია საგადასახადო ტვირთის შემცირებისა და საგადასახადო სისტემის გამარტივების უპრეცედენტო ინიციატივა. ეს ინიციატივა ეყრდნობა ცივილიზაციის გამოცდილებას და მიზნად ისახავს თავისუფალი საზოგადოების შექმნის იდეას; იგი არ არის ორიენტირებული ბორბლის გამოგონებაზე და ცივილიზებული ერების მიერ დაგროვილი გამოცდილებისა და პროგრესული იდეების განხორციელების მცდელობაა საქართველოში.*

გია ჟანდიერი

საქართველოში საგადასახადო განაკვეთების შემცირების იდეები გაჩნდა მაშინვე, როგორც კი 1997 წელს მიიღეს დღევანდელი საგადასახადო კოდექსი. დღეს არ შევუდგებით იმის განხილვას, რა პრობლემები წარმოშვა ამ კოდექსმა. იგი იწერებოდა იმ იმედით, რომ საქართველო ტიპური პოსტკომუნისტური ქვეყანა იყო. ვფიქრობთ, საქართველომ და ქართველმა ერმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ არ არის ტიპური ქვეყანა – არც მთლად აზიურია და არც ევროპული, არამედ მათი დადებითი და უარყოფითი თვისებების რთული სინთეზია, ამიტომაც მასში ტიპური იდეების განხორციელების იდეა თავიდანვე უტოპიური იყო.

უნდა ითქვას, რომ საგადასახადო კოდექსის შემმუშავებელ ჯგუფს თავიდან არ გვქონდა დაგეგმილი იმ დონის საგანაკვეთო შემცირებების პროპაგანდა, რომელიც შემდგომში გამოიკვეთა; ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესოა, მაინც რამ განაპირობა ტვირთის ასეთი შემცირების მოთხოვნა.

საგადასახადო ტვირთი ნორმალურ ქვეყნებში ახლოსაა ქვეყნის ყველა საჯარო ბიუჯეტის ჯამის თანაფარდობასთან მთლიან შიგა პროდუქტთან. რეალური საგადასახადო ტვირთის გამოსათვლელად (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის შემოსავლებს უნდა გამოაკლდეს დღევანდელი შემოსავლები სესხებიდან (ჩვენს შემთხვევაში - გრანტებიდანაც). ასეთი თანაფარდობა განვითარებული ქვეყნებისათვის გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში. ეს კი ძირითადად იმის გამო ხდება, რომ ჩვენთან რეალური საგადასახადო შემოსავლების ოდენობა ძალიან დაბალია. ჩრდილოვანი სექტორი, ოფიციალური მონაცემებით (ოფიციალური სტატისტიკა, 2002 წელი), შეადგენს 57 პროცენტს, ხოლო ექსპერტული შეფასებებით – 70 პროცენტზე ნაკლები არ არის.

ჩვენ დიდხანს ვანგარიშობდით საგადასახადო ტვირთის რეალურ ზომებს საქართველოში. ეს ტვირთი სხვადასხვა ტიპის სამეწარმეო საქმიანობისათვის 30-დან 55 პროცენტამდე თამაშობს არასააქციზო პროდუქციაზე, ხოლო სააქციზო პროდუქციაზე 60 პროცენტს და ზოგჯერ 70 პროცენტსაც უახლოვდება; ამიტომ, საშუალოდ, საქართველოს მეწარმეთა საგადასახადო ტვირთი უნდა შეფასდეს 40-45 პროცენტად. თუ ამ თანაფარდობის მაჩვენებელს გადავამრავლებთ ჩრდილოვანი ეკონომიკის ოფიციალურ მონაცემზე, იგი 25 პროცენტს გაუტოლდება, თუ ამას გამოვაკლებთ ჩრდილოვან გადასახადებს, დაგვრჩება 12-14 პროცენტი, რომელიც შეადგენს, ალბათ, ჩვენი გადასახადების რეალურ ტვირთს მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში (ამდენი სიტყვა, ალბათ, ისევ იმის გამო დამჭირდა, რომ არსებულ სტატისტიკას ვერ ვენდობი, რადგან სინამდვილეში გადამხდელები, რა თქმა უნდა, მეტს იხდიან).

თუ გადავხედავთ განვითარებული ქვეყნების ოფიციალურ სტატისტიკას, საქართველოში არსებული კანონიერი საგადასახადო ტვირთი (მთლიან შიგა პროდუქტთან შედარებით) არ არის უფრო მაღალი, ვიდრე საშუალო ევროპული. თუმცა იგი უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ს საშუალო, რომელიც 1991 წელს დაახლოებით 29.8 პროცენტს შეადგენდა (იაპონიაში – 30.9 პროცენტს, შვედეთში – 53.9 პროცენტს). ამავე მონაცემებით, აშშ-ში წინა საუკუნის 20-იან წლებამდე ყველა ბიუჯეტის ოფიციალური ტვირთი (მკითხველს შევახსენებ, რომ ამ დროისათვის სახელმწიფო ვალის აღება არც ისე პოპულარული იყო) არ აღემატებოდა 12 პროცენტს, ხოლო საუკუნის დასაწყისში მხოლოდ 7.7 პროცენტს შეადგენდა. შთამბეჭდავი მონაცემია! მაშ, ასე:

**არგუმენტი 1.** ქვეყანას თუ განვითარება სურს, უნდა მიმართოს დანაზოგების ზრდის მეთოდს.

დღეისათვის განვითარებული არც ერთი ქვეყანა არ მისულა ამ მდგომარეობამდე დანაზოგების ზრდის გარეშე. საქართველოს მოსახლეობას, მეწარმეებს არ გააჩნიათ დანაზოგების ის ოდენობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის. ამ დანაზოგების გადასახადების საშუალებით ვამცირებთ ეკონომიკის განვითარებასაც. რაც ნაკლები სახსრები აქვთ მეწარმეებს, მით ნაკლები ბრუნვის შესაძლებლობა აქვს მათ ბიზნესს, მით ნაკლებია პროდუქცია და ბიუჯეტშიც ნაკლები ფული შედის.

ეს არგუმენტი კარგადაა ცნობილი ნებისმიერი გამყიდველისათვის დეზერტირების ბაზარზეც – რაც მეტს დააფასებ პროდუქტს, მით ნელა გეყიდება! მოთხოვნის სტიმულირების მომხრეთა არგუმენტი, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო შესყიდვების ოდენობის ხელოვნურ ზრდაში, დიდი ხანია გაბათილებულია – ეს მხოლოდ ბაზრის დამბლას იწვევს, ფასების სისტემის გაუქმებას და ხელოვნურად პრივილეგირებული ინსტიტუტების წარმოშობას, რაც ბაზარს ართმევს უნარს, მოახდინოს თვითრეგულაცია.

ამ არგუმენტის მთავარი იდეაა ის, რომ მთავრობას არ შეუძლია ბაზარზე ეფექტიანად მოახდინოს რესურსების განაწილება და გამოყენება, და რაც მეტია მისი როლი, მით უარესი ეკონომიკისათვის.

**არგუმენტი 2.** მაღალი საგადასახადო ტვირთი ხელს უშლის ადგილობრივ მეწარმეებს, კონკურენცია გაუწიონ რეგიონულ თუ მსოფლიო ბაზარზე არსებულ მეტოქეებს.

საგადასახადო ტვირთის ზომების ყოველი ცვლილება, რომელიც ხდება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და, მით უმეტეს, მეზობელ ქვეყნებში, პირდაპირ მოქმედებს ეროვნული მეურნეობის პერსპექტივებზე. რუსეთსა და უკრაინაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები განსაკუთრებით საგანგაშოა რუსეთსა და საქართველოში არსებული თანაბარი საგადასახადო რეჟიმის პირობებში; ინვესტიცია მაინც რუსეთისაკენ უნდა მიედინებოდეს მისი მასშტაბის გამო. დღევანდელი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რუსეთში (და უკრაინაშიც) პერსონალური საშემოსავლო გადასახადი ტოლია 13%-ის. ამავე დროს ამ გადასახადიდან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უფლება აქვთ, გამოქვითონ სოციალური ხასიათის უამრავი ხარჯი. ასეთივე მდგომარეობაა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. არ მიმაჩნია, რომ გამოქვითვები ზოგადად სწორია, რადგანაც იგი, საბოლოო ჯამში, მაინც მდიდრის ჩაგვრას ითვალისწინებს, თითქოს სახელმწიფო მას მეტად სჭირდება, ვიდრე ღარიბს, მაგრამ, რეალურად, გამოქვითვები 50%-იან პერსონალურ საშემოსავლო გადასახადს უფრო დაბალ ტვირთად აქცევს შვედი მოქალაქისათვის, ვიდრე ჩვენი 20%-ია მხოლოდ 9-ლარიანი გამოქვითვით.

დავამატებ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა ჩვენ, ფაქტობრივად, უფლებას გვართმევს საბაჟო ტარიფებით დავიცვათ ჩვენი ბაზარი (რაც კარგია, რადგანაც ბაზარს არანაირი დაცვა არ სჭირდება). საგადასახადო ტვირთის დაწევა ინვესტირების ინტენსივობის გაზრდისათვის გარდაუვალი ნაბიჯია.

**არგუმენტი 3.** მაღალი საგადასახადო ტვირთი ჩვენნაირი განვითარების ქვეყნისათვის ერთ-ერთი შეუსრულებადი კანონია.

მთავრობა, რომელიც ერკვევა ამ საკითხში და არ ახდენს გადასახადების შემცირებას, მეწარმეებს დანაშაულისაკენ უბიძგებს. ეს ტოტალიტარული მთავრობისათვის კარგად ცნობილი მეთოდია – როდესაც ყველა გარშემო დამნაშავეა, ძალაუფლების შენარჩუნება უფრო ადვილია. თუ ჩვენს ახალგაზრდულ მთავრობას აქვს სურვილი, უარი თქვას ტოტალიტარულ მართვაზე, პირველი, რაც უნდა გააკეთოს – უნდა შეამციროს საგადასახადო ტვირთი, მოუხსნას დანაშაულის გრძნობა მეწარმეებს, შემოიყვანოს ბაზარზე მეწარმეთა ახალი ჯგუფები, რომელთა მთავარი საზრუნავი იქნება არა სამთავრობო ბიუროკრატთა მოქრთამვა, არამედ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის უნარიანი პროდუქციის შექმნა.

მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება დაიჯეროს ქართველმა მოქალაქემ, რომ კანონი იწერება შესასრულებლად.

**არგუმენტი 4.** გადავხტეთ იმდენზე, რამდენზეც შეგვიძლია.

ზემოთაც ითქვა, რომ საქართველოს დღევანდელი განვითარების დონე არ შეესაბამება იმ ზომის საგადასახადო ტვირთს, რომელიც განვითარებულ ქვეყნებს გააჩნიათ. ეს დაახლოებით ჰგავს იმას, რომ სიმაღლეში ხტომის რეკორდსმენი აძალებდეს გაუვარჯიშებელ ადამიანს, ყოველგვარი ვარჯიშის გარეშე გადახტეს 2 მეტრის სიმაღლეზე. ამ დროს გაუვარჯიშებელი უმტკიცებს, რომ მას არ შეუძლია ნახევარ მეტრს ზემოთ გადახტომა ვარჯიშის გარეშე, ხოლო რეკორდსმენს მისი არ ესმის!

21-ე საუკუნის დამდეგს ეჭვი არავის ეპარება, რომ საბიუჯეტო ხარჯების შემდგომი ზრდა შეუძლებელია. ბევრ ქვეყანაში (მათ შორის - აშშ, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ.) უკვე გამოთქვამენ მზადყოფნას, შეამცირონ გადასახადები; თუმცა ეს ამ ქვეყნებში არც ისე ადვილია, მაგრამ ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება მათ ამას აიძულებს.

**არგუმენტი 5.** ადამიანი რაციონალური არსებაა.

თუ იგი ხვდება, რომ მისგან მოითხოვენ, უსარგებლო ნივთში ძვირი გადაიხადოს, მას უჩნდება ბუნებრივი პროტესტის გრძნობა, რის გამოც ცდილობს, თავი აარიდოს საფასურის გადახდას; ანუ: თუ მთავრობამ (პირველ რიგში, რადგანაც იგი წარმოადგენს სერვისის გამყიდველს) არ შეძლო თავისი მომსახურების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, გადასახადის გამყიდველი შეეცდება, თავი აარიდოს დაბალი გადასახადის გადახდასაც, რაშიც მართალი იქნება. გადამხდელი ეკონომიკური თვალსაზრისით ასე რომ არ იქცეოდეს, იგი თავად უბიძგებს მთავრობას, დარჩეს ისეთივე არაეფექტური, როგორიც არის.

ეს არგუმენტი იმათ გასაგონადაა, ვინც ფიქრობს და აცხადებს, რომ გადასახადების განაკვეთების შემცირება ავტომატურად არ იწვევს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას. არ ვდავობ, ეს ასეცაა – თუ მთავრობამ (ან ნებისმიერი სერვისის გამყიდველმა) მკვეთრად არ გააუმჯობესა მომსახურების ხარისხი, მასში ფულის გადახდა ყველას დაენანება. ეკონომიკაში საერთოდ ასეა: ხარისხი უარესდება – მყიდველი მცირდება, ხარისხს აუმჯობესებ – მყიდველი ბრუნდება (კანადის შიდა შემოსავლების სამმართველოს მთავარ პრინციპს გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობაში წარმოადგენს პარტნიორობა მიუხედავად იმისა, რომ მათთან გადასახადების გადახდის სიზუსტე თითქმის 100%-ია. ასეთი პარტნიორული მიმართება განსაკუთრებით საჭიროა ახლად შექმნილი სახელმწიფოსათვის).

ზემოთაც ითქვა: 21-ე საუკუნის დამდეგს მთელი ცივილიზებული საზოგადოება აანალიზებს სამთავრობო პროგრამებს, რათა მოხერხდეს მათი კერძო სექტორში უმტკივნეულო გადაცემა და ამით სამთავრობო ხარჯების შემცირება.

**არგუმენტი 6.** მეოცე საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ ბაზარზე არსებული ფასები წარმოადგენს სიგნალებს იმის შესახებ, რაზეც იზრდება ან მცირდება მოთხოვნა.

ნებისმიერი მოქალაქე ყოველდღიურად აკეთებს არჩევანს,. როდესაც იგი ყიდულობს ან არ ყიდულობს ამა თუ იმ ფასად საქონელს. იგი ფაქტიურად მონაწილეობს მუდმივ არჩევნებში – უფრო ობიექტური პროცესი არ არსებობს. თუ საქართველოში არსებული გადასახადები და სახელმწიფო სერვისები ამ თვალსაზრისით განვიხილეთ, სახეზეა ჩვენივე მოქალაქეების ყველაზე დახვეწილი, ღია და დემოკრატიული არჩევანი – დაბალი გადასახადი.

**არგუმენტი 7.** ჩვენ ჩვენს ხალხს ჩვენსავე ტერიტორიაზე უნდა შევუქმნათ საუკეთესო სამეწარმეო გარემო, რათა მათ არ ჰქონდეთ უცხოეთში წასვლისა და უცხო ქვეყნებთან პოლიტიკური დაახლოების ინიციატივები.

საქართველოს ბედმა არგუნა, იყოს რეგიონის ბუნებრივი ცენტრი; ამიტომაც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა აქ შევქმნათ პირობები ფინანსური რესურსების მოსაზიდად. ჩვენთან არსებული პრობლემები სრულად რომ აღმოვფხვრათ, ჩვენს რეგიონში მიმდინარე კონფლიქტები ინვესტორებს კიდევ დიდხანს დააფრთხობს, ამიტომ მათ სხვა მიმზიდველი ფაქტორები სჭირდებათ.

**არგუმენტი 8.** დაბალი საგადასახადო ტვირთი საშუალებას აძლევს ადამიანს, მოიხადოს თავისი მოვალეობა და გათავისუფლდეს სახელმწიფოს მარწუხებისაგან. ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ საგადასახადო თავისუფლების დღეს, ანუ იმ თარიღს, როდესაც საშუალო მოქალაქე ამთავრებს მთავრობისათვის მუშაობას და იწყებს საკუთარი თავისათვის მუშაობას. ჩვენნაირი ტოტალიტარული მემკვიდრეობის მქონე ერისათვის თავისუფლების იდეა მთავარი არგუმენტია.

აქ ჩამოთვლილი არგუმენტები თავისთავად იძლევა პასუხს კითხვაზე – რა ზომის საგადასახადო ტვირთია ჩვენთვის ოპტიმალური? იმისათვის, რომ ჩვენი მიმდინარე საბიუჯეტო ვალდებულებები არ იქნას ეჭვის ქვეშ დაყენებული, ოფიციალური ტვირთი არ შეიძლება გახდეს უფრო ნაკლები, ვიდრე დღევანდელი არაოფიციალური. ამავე დროს საზოგადოებას აუცილებლად შევახსენებ, რომ სხვადასხვა საერთაშორისო კვლევების შედეგად დადგენილია პირდაპირი კორელაცია სამთავრობო ხარჯების სიმცირესა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის (იხილეთ Heritage Foundation და Fraser Institute კვლევები *Econimic Freedom of the World*). ამ კვლევების შედეგებით, განვითარებულ ქვეყნებსაც კი რეკომენდაციას უწევენ, რომ საგადასახადო ტვირთი 30%-ზე ქვემოთ დასწიონ, ხოლო საქართველოს ტიპის ქვეყნებისათვის ასეთი ტვირთი სასურველია 20%-ზე ქვემოთ იყოს.

მკითხველი იკითხავს - ეკონომიკური წინსვლისათვის საკმარისია თუ არა მხოლოდ საგადასახადო ტვირთის შემცირება? საკმარისი - არა, მაგრამ აუცილებელია.


## კონსულტანტი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის დარგში

ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, ბრითიშ პეტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) დარგში კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს ბრითიშ პტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო HSE კონსულტანტი გარემო ანგარიშვალდებული იქნება უსაფრთხოების უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

HSE კონსულტანტი უზრუნველყოფს კონსულტაციებს და მხარდაჭერას სამუშაო ძალებისთვის, რათა მათ გამოიყენონ უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკა, როგორებიცაა "ბრითიშ პეტროლეუმის უსაფრთხოების ოქროს წესები" და "მუშაობის უსაფრთხო სისტემები". ახდენს ყველა ობიექტის საქმიანობის მონიტორინგს და კონსულტაციას უწევს ზედამხედველებს, როდესაც ადგილი აქვს უსაფრთხოების კარგი პრაქტიკის დარღვევის შემთხვევებს.

**როლები და პასუხისმგებლობები**

ძირითადად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

**წინასაექსპლუატაციო ეტაპზე**:

- დაესწროს საგეგმო შეხვედრებს და საუბრებს, სამუშაოს დაწყებამდე, რათა მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებების რისკის შეფასებაში და განისაზღვროს ყველა საფრთხე და მიღებულ იქნას სათანადო ზომები რისკის შემცირებისთვის.
- განახორციელოს მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი, რათა დაეხმაროს თანამშრომლებს უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკის, სახელდობრ, უსაფრთხოებიოს სავალდებულო ოქროს წესების დარღვევის შემთხვევების განსაზღვრაში
- კონსულტაციები გაუწიოს სამუშაო ძალებს, გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებასა (ASA) და უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამაში (STOP) მონაწილეობის მისაღებად, რათა განვითარდეს უსაფრთხოების დაცვის კულტურა.
- წეროს ანგარიშები, გააანალიზოს ASA-ს და STOP-ის ბარათები, რათა დაეხმაროს ზედამხედველებს უსაფრთხოების სწორი ქმედებების ხელშეწყობისა და საჭიროებისამებრ მაკორექტირებელი ქმედებების მხარდაჭერის საქმეში.
- ჩაატაროს გაზის ტესტები, როგორც ამას სამუშაოს ნებართვის პროცედურები მოითხოვს (PTW)
- განახორციელოს სამუშაოს ნებართვის პროცედურების (PTW) ეფექტიანობისა და სწორად გამოყენების მონიტორინგი.
- განახორციელოს სამუშაო ძალების ტრენინგის საპასპორტო სისტემის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათ ჩაუტარდებათ შეთანხმებული და მათი სამუშაოს შესაბამისი ტრენინგები
- გაუწიოს დახმარება ინციდენტებისა და დაძაბული სიტუაციების გამოკვლევისას
- განახორციელოს უსაფრთხო მგზავრობისა და მოგზაურობის მენეჯმენტის გეგმის პროგრამის მონიტორინგი
- გაუწიოს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის კონსულტანტებს დახმარება, ატმოსფეროსა და მიწაზე გამოტყორცნების მონიტორინგის საქმეში და კონსულტაციები გაწიოს ობიექტების ზედამხედველებს, როდესაც მუშაობის პარამეტრები მიუღებელია.
- საწიროებისამებრ დახმარება გაწიოს ობიექტის ზედამხედველს დაღვრილი ნავთობის დასუფთავების საქმეში
- მონაწილკეობა მიიღოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე ჩატარებულ ინსპექციებში, რათა განამტკიცოს დანადგარებისა და ოპერატორების მზადყოფნის საიმედოობა.

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**



## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ.

**31 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ჰეიდარ აბაშიძის, კანდელაკის, ლევანდოვსკის, ლომონოსოვის, ონიაშვილის, ოსეთის, ვაზისუბნის, ყუშიტაშვილის, ზემო ვეძისის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**31 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ჩარგლის, დავით გარეჯელის, გლინკას, მუხრანის, ნაგომარის, რატევანის, ხორნაბუჯის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# სადამი და მისი ადვოკატი

ლევან ღირსიაშვილი

ერაყის ყოფილ დიქტატორს სადამ ჰუსეინს გამოჩენილი ფრანგი ადვოკატი ჟაკ ვერჟესი დაიცავს. ეს მისი ბოლო საქმე იქნება, რის შემდეგაც 79 წლის ვერჟესი კარიერის დასრულებას აპირებს. ის არაორდინალური ადვოკატია და სახელი ისეთი ხმაურიანი პიროვნებების დაცვით გაითქვა, როგორებიც იყვნენ ყოფილი ნაცისტი კლაუს ბარბე, ლეგენდარული ტერორისტი კარლოსი, იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი. ამდენად, ის ფაქტი, რომ ვერჟესის კლიენტურის სიაში სადამ ჰუსეინიც აღმოჩნდა, გაკვირვებას სულაც არ უნდა იწვევდეს.

ფრანგ ადვოკატს ერაყელი დიქტატორის დაცვა თავად სადამის ძმისშვილმა ალი ბარზან თიქრითმა სთხოვა. ჟაკსაც ბევრი არ უფიქრია და თანხმობა განაცხადა. **"როგორც პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის ძმისშვილი, ოფიციალურად გთხოვთ ბიძაჩემის დაცვას,"** - ნათქვამია თიქრითის წერილში.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ბრალდებებს წაუყენებენ სადამ ჰუსეინს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი სასამართლო ერაყში ჩატარდება. ერაყის მმართველი საბჭო უკვე მუშაობს სამხედრო დანაშაულებათა ტრიბუნალის შექმნის პროექტზე, რომლის პირველი საქმეც სწორედ სადამის გასამართლება იქნება. უმთავრესი ბრალდებები, რასაც ერაყელ დიქტატორს წაუყენებენ, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და საკუთარი ხალხის გენოციდი იქნება.

სადამის ადგილსამყოფელი კვლავ გასაიდუმლოებულია. არავითარი ინფორმაცია არ არსებობს იმის თაობაზე, თუ სად ჰყავთ გამომწყვდეული ერაყის დიქტატორი. გასული წლის თებერვალში, ის წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მოინახულეს, რის შემდეგაც განაცხადეს, რომ მისი პატიმრობის პირობები აბსოლუტურად შეესაბამება ჟენევის კონვენციის მუხლებს. წითელი ჯვრის მისიის თანამშრომლების საშუალებით, სადამმა თავის შვილებისათვის წერილის გაგზავნაც მოახერხა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერაყელი დიქტატორი მათ ამშვიდებდა და აუწყებდა, რომ ის დიდი ღალატის მსხვერპლი გახდა. ახლა კი, ამერიკელთა ტყვეობაში მყოფი სადამი ფრანგი ადვოკატის იმედად რჩება.

## ვინ არის ჟაკ ვერჟესი?


ჟაკ ვერჟესი.

ის ტაილანდში დაიბადა. მამა ფრანგი, ხოლო დედა ვიეტნამელი ჰყავდა. ბავშვობა ინდოეთის ოკეანის კუნძულ რეუნიონზე გაატარა, რომელიც საფრანგეთის კოლონია იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს გენერალ შარლ დე გოლის არმიაში დაიწყო სამსახური, ხოლო მოგვიანებით, პოლიტიკური შეხედულებები შეიცვალა და კომუნისტებს დაუჭირა მხარი.

პირველი საქმე, რომელსაც ხელი მოჰკიდა, ალჟირელი ტერორისტების დაცვა იყო. მათ შორის იყო ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ალჟირის დედაქალაქში ტერაქტის განხორციელებაში ედებოდა ბრალი. ის ჟაკ ვერჟესის ცოლი გახდა.

1970-იან წლებში ვერჟესი უკვე საყოველთაოდ აღიარებული ადვოკატი გახდა. ის იცავდა პალესტინელებს, ნეონაცისტებს, ტერორისტებს. 1994 წელს მისი კლიენტურის სკანდალურ სიას მსოფლიოს ლეგენდარული ტერორისტი ილიჩ რამირეს სანჩესი, იგივე კარლოსი შეემატა. მართალია, "ტურად" ცნობილი ტერორისტი სამუდამო პატიმრობისგან ვერ გადაარჩინა, მაგრამ სამაგიეროდ, ის ძლიერი პიარ-კამპანია, რომელიც ამ თემაზე საზოგადოებაში აგორდა, სწორედ ჟაკ ვერჟესის მიერ იყო დაგეგმილი და წარმოებული. დაიბეჭდა უამრავი წიგნი, სტატია თუ პუბლიკაცია. ერთ დროს საშინელ და ყველასათვის საძულველ ტერორისტს ბევრი ავტორი უკვე იდეალებისათვის მებრძოლ ადამიანად მოიხსენიებდა, რომელიც მსოფლიოს გავლენიანი სპეცსამსახურების თამაშის მსხვერპლი გახდა.

კარლოსამდე ვერჟესი ნაცისტური რეჟიმის წარმომადგენელს კლაუს ბარბეს იცავდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერჟესმა ბარბეს ვერ უშველა. მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა და 1991 წელს ციხეში ავადმყოფობით გარდაიცვალა.

ამჟამად ვერჟესი სლობოდან მილოშევიჩის საქმით არის დაკავებული. ჰააგის ტრიბუნალი, ალბათ, მილოშევიჩსაც სამუდამო პატიმრობას მიუსჯის, თუმცა იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი, ადვოკატთან ერთად, იმედს არ კარგავს და თავისი სიმართლის დამტკიცებას ცდილობს.

სავარაუდოდ, სადამ ჰუსეინსაც სამუდამო პატიმრობა დაემუქრება. საეჭვოა, რომ 79 წლის ვერჟესმა თავისი ახალი კლიენტის გადარჩენა მოახერხოს. როგორც ჩანს, ეს თავად სადამმაც იცის. მაგრამ ის ფაქტი, რომ ერაყელ დიქტატორს ჟაკ ვერჟესი დაიცავს, უკვე იძლევა იმის განცხადების საშუალებას, რომ სადამის საქმე დროში გაწელილი, საკმაოდ ხმაურიანი და სკანდალური იქნება.

# ტაივანური თავისუფლების "ოქროს შუალედი"

ლაშა გიორგიძე

არც ჩინეთის პროვინცია და არც დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ცნობილია ტაივანის საზღვრები, მაგრამ უცნობია სტატუსი.

ტაივანის საკითხთან დაკავშირებით, დღემდე შეუთანხმებლობა არსებობს. ჩინეთის სამოქალაქო ომიდან მოყოლებული, ოფიციალური პეკინი მას თავის პროვინციად მოიხსენიებს, რომელიც დროებით ჩამოცილებულია მისგან და მზადყოფნას აცხადებს, სამხედრო ძალის ჩარევითაც დაიბრუნოს. თუმცა, ტაივანის ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ ტაივანი სუვერენული სახელმწიფოა, მას აქვს საკუთარი კონსტიტუცია, ჰყავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება და 385 ათასი ჯარისკაცი საკუთარი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ამ ორი პოზიციის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ტაივანს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა მახასიათებელი გააჩნია. მისი სამართლებრივი სტატუსი კი დღემდე გაურკვეველია.

## ჩინეთი და ტაივანი

ჩინეთსა და ტაივანს შორის ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული მტრული დამოკიდებულება 1980 წლიდან გამოსწორებას იწყებს. ჩინეთმა წინა პლანზე წამოსწია ფორმულა, "ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა," რის მიხედვითაც, ტაივანს ჩინეთთან გაერთიანების პირობებში, ექნებოდა ფართო ავტონომია. თუმცა, ამ მიზნის განხორციელებას ეწინააღმდეგებოდა ჯერ პრეზიდენტი ლი თენგ-ჰუი, რომელსაც, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობისაკენ მიჰყავდა ტაივანი, ხოლო მოგვიანებით - ჩენ შუიბინი, რომელიც სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აგრძელებდა. ჩინეთის ოფიციალურმა პირებმა ამ პერიოდში განაცხადეს, რომ ისინი მზად იყვნენ, უფრო აქტიური მოლაპარაკებები ეწარმოებინათ ტაივანის პრეზიდენტთან, თუკი იგი "ერთიანი ჩინეთის" პრინციპს აღიარებდა.

დიპლომატიური მოლაპარაკებებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურმა თანამშრომლობამ ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. ტაივანის კომპანიებმა ჩინეთში 50 მილიარდი დოლარი დააბანდეს, გაიზარდა ტაივანელი მოსახლეობის რიცხვი ჩინეთის ტერიტორიაზეც და 1 მილიონს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური კავშირები სამხედრო შეტაკების რისკს უფრო ამცირებს. ეს კავშირები კი, უკვე როგორც ტაივანის, ასევე ჩინეთის ეკონომიკაზეც აისახება.

მაშინ, როდესაც ტაივანს რესპუბლიკელი ჩიანგ კაი-შეკის პარტია განაგებდა, კუნძულის დამოუკიდებლობა დღის წესრიგში არ იდგა, რადგან ამ პარტიის მიზანს ჩინეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლა წარმოადგენდა. 1980-იანი წლებიდან კი, რაც ოპოზიციურმა "დემოკრატიულმა პროგრესულმა პარტიამ" (DPP) მიზნად ტაივანის დამოუკიდებლობა დაისახა, პეკინის მიერ აღიარებული "ერთიანი ჩინეთის პოლიტიკა" ეჭვქვეშ დადგა. თუმცა, ამ ოპოზიციური პარტიის გაძლიერებამ პეკინი არ დააბნია და პირდაპირი განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ **"ტაივანის მიერ დამოუკიდებლობის შესახებ მიღებული ნებისმიერი დეკლარაცია ჩინეთის მხრიდან აღიქმება, როგორც ომის ოფიციალურად გამოცხადება."**

2000 წელს ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ჩენ შუიბინი ჩინეთთან ურთიერთობების გამოსწორებას შეეცადა. მან განაცხადა, რომ არ აპირებდა ტაივანის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამის მიზეზად კი ამ ხნის მანძილზე ჩინეთის ლიბერალურ პოლიტიკას ასახელებდა. თუმცა, ოფიციალურმა პეკინმა უარი თქვა ტაივანის პრეზიდენტთან საქმის დაჭერაზე, მით უმეტეს, რომ ბატონმა ჩენმა ინიციატივა გამოთქვა, მიეღოთ **"კანონი რეფერენდუმის შესახებ."**

ტაივანის სტატუსის შესახებ განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნიათ კუნძულზე არსებულ "დემოკრატიულ პროგრესულ პარტიას"(DPP) და "კუომინტანის"(KMT) პარტიას. თუკი პირველი უპირატესობას დამოუკიდებელი ტაივანის სახელმწიფოს შექმნას ანიჭებს, უკანასკნელი კუნძულის ჩინეთთან შეერთების მომხრეა. საინტერესოა გამოკითხვის შედეგები ტაივანის მოსახლეობას შორის, რომლის უმრავლესობაც არსებულ მდგომარეობას არჩევს. მათ არ სურთ, იყვნენ ჩინეთის პროვინცია და არ სურთ სრული დამოუკიდებლობა. იმავე გამოკითხვით, კუნძულზე მცხოვრები უფრო მეტი ადამიანი თავს ტაივანელად უფრო მიიჩნევს, ვიდრე ჩინელად.

ამ ხნის მანძილზე ტაივანის ერთადერთი პარტნიორი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე აშშ-ა. მათი ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომიდან დაიწყო და ცივი ომის დროსაც გაგრძელდა. პრეზიდენტ კარტერის დროს, ჩინეთთან კავშირების გამყარების მიზნით, ტაივანთან დამოკიდებულება შეიცვალა. სამაგიეროდ, იმავე 1979 წელს ტაივანის კონგრესმა "ტაივანთან ურთიერთობის აქტი" მიიღო, რის მიხედვითაც აშშ-მ ვალდებულება აიღო, ტაივანი თავდაცვითი იარაღით მოემარაგებინა. იქვე აღნიშნული იყო, რომ ჩინეთის მხრიდან ნებისმიერი შეტევა ტაივანზე "სერიოზული ფიქრის" საგანი გახდებოდა ამერიკისათვის. ამ დროიდან მოყოლებული, აშშ-ს პოლიტიკა ტაივანის მიმართ შეიძლება შეფასდეს, როგორც შორსგამიზნული სტრატეგიის შედეგი, რის მიზანსაც ჩინეთის, როგორც რეგიონული ძალის, დაბალანსება წარმოადგენს, თუნდაც დემოკრატიული ტაივანის ეკონომიკური წარმატებებით.

## რა როლი აქვს შეერთებულ შტატებს?

აშშ-ს მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, წამყვანი როლი ჩინეთ-ტაივანის ურთიერთობებში კარგად გამოიხატა ჯერ კიდევ 1996 წელს: ჩინეთმა ტაივანის არჩევნების წინ, თავისი სარაკეტო სისტემების შემოწმება კუნძულის ხელმძღვანელობის დასანახად მოაწყო, ამის საპასუხოდ კი, ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა აშშ-ს სამხედრო ძალების აზიაში გადასროლის ბრძანება გასცა. პეკინის გაფრთხილება უფრო "შთამბეჭდავი" რომ ყოფილიყო, ტაივანის ყურეში ამერიკული სამხედრო გემები შევიდნენ. ეს აზიაში გადასხმული ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი იყო ვიეტნამის ომის შემდეგ. აშშ-ს ასეთი მოქმედების მიუხედავად, არავინ იცის, რა უფრო აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან - მსგავსი მმართველობის სისტემა და დემოკრატიული პრინციპები, რაც აშშ-სა და ტაივანს შორის არსებობს, თუ სტრატეგიული კონკურენცია. ამ უკანასკნელი ვერსიის დასაცავად შემდგომ განვითარებული მოვლენებიც გამოდგება. პრეზიდენტ კლინტონის


ტაივანის პრეზიდენტი ჩენ შუი ბინი.

ასეთ გადაწყვეტილებას, შესაძლოა, ამერიკელების ომში ჩართვა გამოეწვია სხვისი ინტერესების დასაცავად, მაგრამ პოლიტიკურ (თუ სამხედრო) მანევრს უკვე ორი წლის შემდეგ დიპლომატიური სვლა მოჰყვა: პრეზიდენტმა კლინტონმა "სამი უარი" განაცხადა: უარი ტაივანის დამოუკიდებლობის საკითხზე, უარი "ორი ჩინეთის" არსებობაზე და უარი ტაივანს, რათა იგი ვერ გაწევრიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში და ვერ გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

მოგვიანებით, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ უფრო ხისტი პოლიტიკა აირჩია და ჩინეთი "სტრატეგიულ კონკურენტად" გამოაცხადა, თუმცა არც პრეზიდენტ ჩენისათვის გაუწევია დახმარება. ასეთი პოლიტიკით კი სტატუს-კვო იქნა შენარჩუნებული.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ჩინეთის გაძლიერებას შიშით ადევნებენ თვალყურს და ამის შესაჩერებლად ყველაფერს აკეთებენ, ბევრ რამეში კომუნისტურ პეკინს მაინც ეთანხმებიან. სწორედ ამიტომ, აშშ-ს, საფრანგეთის, იაპონიისა და სამხრეთ აზიის ერების ასოციაციის წარმომადგენლებმა ტაივანში 2004 წლის 20 მარტის არჩევნებთან ერთად რეფერენდუმის გამართვის ფაქტი არ მოიწონეს. მათ განაცხადეს, რომ ეს არის საფრთხე არსებული მდგომარეობის დასარღვევად. როგორც ჩანს, გაურკვეველი სტატუსის მიუხედავად, ამ ქვეყნებს მაინც გაურკვევლობაში ყოფნა ურჩევნიათ. ამით მათ მხარი დაუჭირეს ოფიციალური პეკინის განცხადებას იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ ჩენის ხელისუფლება "წარმოადგენს საფრთხეს რეგიონული სტაბილურობისათვის". პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ლიენ ჩენი ჩინეთისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე ჩენ შუი-ბინი, რადგან იგი ქვეყანას სრული დამოუკიდებლობისაკენ უბიძგებს, რასაც ანალიტიკოსთა განცხადებით, პეკინი მშვიდად არ შეხვდება და "ერთიანი ჩინეთის ძირძველი ნაწილის" საბოლოოდ ჩამოცილებას სამხედრო ძალის ჩარევითაც შეეწინააღმდეგება. თვით ლიენ ჩანის განცხადებით, ჩინეთმა "არანაირი დახმარება" არ უნდა გაუწიოს მის კონკურენტს. ბატონ ჩანის პერსონა აშკარად პრო-ჩინურია და მისი მოღვაწეობა ორი მხარის დაახლოებისაკენ არის მიმართული.

## ერთი სახელმწიფო - ორი სისტემა

მიუხედავად იმისა, რომ ტაივანის მოსახლეობის უმრავლესობა აშშ-ს პარტნიორად და მეგობრად მიიჩნევს, დანამდვილებით არავინ იცის, ვაშინგტონი ტაივანის საკითხის მოსაგვარებლად სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაერევა თუ არა. მართალია, ამერიკელები დიდი მონდომებით ვაჭრობენ ტაივანთან იარაღით, თუმცა, ამავე დროს, ჩინეთი უახლესი საჰაერო გამანადგურებლებითა და წყალქვეშა ნავებით მდიდრდება, შეიარაღებაზე ბიუჯეტის 12 პროცენტს ხარჯავს და აღმოსავლეთ სანაპიროზე 500-მდე რაკეტა აქვს განლაგებული, რომელთა უმრავლესობაც კუნძულისკენაა მიმართული. გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ აშშ ტაივანის ხელისუფლებას ასეთივე თანამედროვე თავდაცვითი იარაღით მოამარაგებს.

ჩინეთის დამოკიდებულება ტაივანის საკითხისადმი ერთმნიშვნელოვანია. ქვეყნის პრემიერმა ვენ ჯიაბაომ განაცხადა, რომ "მსოფლიოში ერთი ჩინეთია, კონტინენტური ჩინეთი და ტაივანი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეკუთვნის". ამის დასამტკიცებლად პრემიერს კაიროს დეკლარაცია მოჰყავს, სადაც აღნიშნულია, **"1943 წლის დეკემბერში მიღებულია ერთობლივი დეკლარაცია ჩინეთის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ. ყველა ტერიტორია, რაც კი იაპონიამ წაართვა ჩინეთს, მათ შორის - ტაივანის კუნძული, ისევ ჩინეთს უბრუნდება."** იგივე განმეორდა 1945 წელს პოტსდამის დეკლარაციის მიღების დროს, სადაც, მერვე მუხლით, საკითხი კვლავ ჩინეთის სასარგებლოდ გადაწყდა. ეს გადაწყვეტილება არც ჩინეთის ისტორიულ მეტოქეს, იაპონიას გაუპროტესტებია. უფრო მეტიც, ორმხრივ ხელშეკრულებაში კიდევ ერთხელ დაადასტურა კაიროსა და პოტსდამის კონფერენციების "მონაპოვარი".

ჩინეთის მთავრობას ზუსტად აქვს ჩამოყალიბებული სამომავლო ურთიერთობის ფორმა ტაივანთან. მიუხედავად ხელისუფლების მართვის ფორმებისა, ჩინეთი შესაძლოა "გახდეს ერთი სახელმწიფო ორი სისტემით." ისინი ტაივანსაც ისეთივე ავტონომიურ უფლებებს ჰპირდებიან, როგორიც აქვს თუნდაც ჰონგკონგს, რომელთან ურთიერთობაც სპეციალური კანონითაა მოწესრიგებული. ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, ჩინეთის სუპერსახელმწიფოდ და ჰეგემონად ჩამოყალიბებას შესაძლოა თაობები დასჭირდეს, მაგრამ "ჩინეთი არასოდეს შეუქმნის საფრთხეს სხვა ქვეყნებს, არასოდეს დაარღვევს უცხო ქვეყნების საზღვრებს". აქვე ისიც იგულისხმება, რომ პეკინი საკუთარი საზღვრების და ტერიტორიის სხვასთან გაყოფას ვერასოდეს შეეგუება. ტაივანი კი ამის ნათელი მაგალითია.

# რუსეთის პრეზიდენტის განცხადება

პირველი გვერდიდან

აღნიშნულ ღონისძიებებს შორის რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა ერთობლივი პატრულირება, ერთობლივი სპეცოპერაციების ჩატარება და თანამშრომლობის სხვა ფორმები.

პუტინი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის პრობლემა სამხედრო გზით არ გადაწყდება. "თუკი არსებობს აფხაზეთთან პრობლემის გადაწყვეტის გზა, ის არ არის სამხედრო. სამხედრო გადაწყვეტა გამოიწვევს მდგომარეობის გაუარესებასა და საქართველოსა და აფხაზეთს შორის უფსკრულის გაზრდას. ორივე მხარემ უნდა ცნოს ერთმანეთის კანონიერი უფლებები და მონახონ კომპრომისის გზა."

ამავდროულად, ვლადიმირ პუტინმა სრულიად გამორიცხა რუსეთის ჩარევა აჭარის პრობლემებში: "ეს საქართველოს შიდა საქმეა, ჩვენ არ ვაპირებთ არანაირ ჩარევას."

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ რუსეთის სამხედრო ბაზა აჭარაში არანაირად არ იყო ჩარეული კონფლიქტში "და ამას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პრეზიდენტმა სააკაშვილმა. ჩვენ მომავალშიც ასე მოვიქცევით."

პუტინმა დადებითად შეაფასა მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის მისია აჭარაში. მან აღნიშნა, რომ ლუჟკოვის იქ ყოფნის ფაქტორმა გამოიწვია ის, რომ ყველამ თავი შეიკავა და "ლუჟკოვმა დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ შედგა საქართველოსა და აჭარის ხელმძღვანელების კონტაქტი."

# რუსული პრესა საქართველოზე

"რუსეთი და საქართველო იძულებული ხდებიან გადახედონ საკუთარ პოლიტიკას და თამაშის წესებს. მოსკოვმა უნდა შეწყვიტოს საქართველოს "მეამბოხე პროვინციების" მხარდაჭერა, ხოლო თბილისმა უნდა აღიაროს რუსეთის ინტერესები რეგიონში"

*ჟურნალი "იტოგი 24/03/04*

(ინტერვიუ ევგენი პრიმაკოვთან)
"სააკაშვილი არის გულახდილი, კეთილმოსურნე და უდავოდ ჭკვიანი პოლიტიკოსი."

*"ვრემია ნოვოსტეი" 22/03/04*

"არც აშშ და არც ევროკავშირი არ დაუშვებს საქართველოს დაქუცმაცებას.

არ არის გამორიცხული, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობები გადაწყდეს არა ბრიუსელის, ვაშინგტონის, ლონდონის ან რომის დიპლომატიურ სალონებში, არამედ ბათუმსა და სოხუმში."

*"ნეზავისიმაია გაზეტა" 23/03/04*

"ბატონ მიხეილ სააკაშვილს აქვს რეალური შანსი, გახდეს საქართველოს პირველი პროქართული პრეზიდენტი."

*"იზვესტია" 20/03/04*

"თუკი ჩვენ ჯიუტად დავაყენებთ სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკების წინაშე არჩევანს - "რუსეთი ან დასავლეთი", რა თქმა უნდა, ისინი დასავლეთს აირჩევენ და ჩვენ საბოლოოდ დავკარგავთ მათზე გავლენას.

საქართველოსთან რუსეთის თანამშრომლობის ერთადერთი მისაღები ფორმულა უნდა გახდეს "დასავლეთიც და რუსეთიც."

*"კომერსანტი" 26/03/04*

"კვირას საქართველოში ჩატარდება ყველაზე არასაინტერესო და მდორე არჩევნები. მიხეილ სააკაშვილის პარტიას გამარჯვება განაღდებული აქვს. არჩევნების დანარჩენ 18 მონაწილეს კი ბანალური სიკვდილი ემუქრება."

*"იზვესტია" 26/03/04*

## ორი სიტყვით

**ავღანეთი.** საინფორმაციო სააგენტო "ბიბისი" ავღანეთის ლიდერის ჰამიდ კარზაის განცხადებაზე დაყრდნობით იტყობინება, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ავღანეთში სამი თვის დაგვიანებით, სექტემბერში გაიმართება. აქამდე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ საორგანიზაციო სირთულეებისა და უსაფრთხოების არასაკმარისი დონის გამო, არჩევნების ივნისში გამართვა შესაძლებელი იქნებოდა. ჰამიდ კარზაის მიაჩნია, რომ გადავადება აუცილებელია, რათა გაერო-მ შეძლოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარებისათვის მომზადება. იანვრის თვეში გაერო-ს წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომ ავღანეთის ზოგიერთ რაიონში უსაფრთხოების მდგომარეობის გამო ძალიან რთული იქნება არჩევნების ორგანიზება. შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხოლოდ მილიონნახევრიანი საარჩევნო სიის შედგენა შეძლო. თუმცა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში, დაახლოებით, 10,5 მლნ ამომრჩეველია. ავღანეთში ყველაზე საშიშ რეგიონებად ქვეყნის სამხრეთი და აღმოსავლეთი რაიონები ითვლება. ბოლო დროს ხშირად გაისმის მოწოდებები სამშვიდობო ძალების პროვინციებში გაგზავნის მოთხოვნით, რადგანაც გაერო-ს სამშვიდობო ძალები მხოლოდ დედაქალაქის შემოგარენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

■ ■ ■

**რუსეთი.** მოსკოვის გოლოვინის სასამართლომ "იეღოვას მოწმეთა" მოსკოვის ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. "იეღოვას მოწმეთა" საქმე 1998 წელს დაიწყო. მაშინ გამომძიებლები ამტკიცებდნენ, რომ სექტა რელიგიურ შუღლს აღვივებდა, ოჯახების დანგრევას უწყობდა ხელს და მძიმე ავადმყოფებს სამედიცინო მკურნალობისაგან რელიგიური მოსაზრებებით თავის შეკავებისაკენ უბიძგებდა. 2001 წელს სასამართლომ სექტის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, რასაც მოჰყვა პროკურატურის საკასაციო სარჩელი და საქმის ისევ გამოძიებაში დაბრუნება. 2002 წელს დაიწყო მეორე პროცესი. ამჯერად სექტის მიერ გამოშვებული ლიტერატურის ექსპერტიზის ჩატარების გადაწყვეტილება იქნა მიღებული, თუმცა იმავე წელს ეს გადაწყვეტილება გააუქმეს. ხელმეორე ექსპერტიზის შემდეგ პროცესი ისევ განახლდა და საბოლოოდ გოლოვინის სასამართლომ გამოიტანა განჩინება სექტის ლიკვიდაციის შესახებ. მას შეუჩერეს რეგისტრაცია და ექსპერტიზის ხარჯების ასანაზღაურებლად 200 ათასი რუბლის გადახდა დააკისრეს. დაცვის მხარის განცხადებით, სასამართლომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. იეღოველები, იმ შემთხვევაში თუ "სამართლიანობა" რუსეთში ვერ იპოვეს, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ევროპის სასამართლოშიც აპირებენ.

■ ■ ■

**ისრაელი.** ისრაელის მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი კორუფციაში მონაწილეობის ბრალდების ფაქტთან დაკავშირებით, უბრალოდ, ვალდებულია, თანამდებობა დატოვოს. "ასეთ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრმა უნდა დატოვოს პოსტი," - ამბობს ინფრასტრუქტურის მინისტრი იოსიფ პარიცკი. პრემიერის გადადგომის მოწოდებებით ოპოზიციური პარტიებიც გამოდიან. შარონის გადადგომაზე ბევრი კამათი მიდის მმართველი პარტია "ლიკუდის" წევრებს შორისაც. უპორტფელო მინისტრი უზი ლანდაუ განმარტავს, რომ თუ შარონს ბრალს წაუყენებენ, მან, სულ მცირე, თანამდებობიდან დროებით გადადგომის შესახებ მაინც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. შაბათს ერთ-ერთმა სახელმწიფო პროკურორმა გენერალურ პროკურორს ბრალდების წაყენების რეკომენდაციით მიმართა. გენპროკურორი საბოლოო გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, აპრილში მიიღებს. არიელ შარონი კორუფციაში მონაწილეობის ფაქტს ყოველთვის უარყოფდა და ამ ბრალდებას პოლიტიკურ ახსნას აძლევდა.

# ერთი კეთილი საქმე

*1999 წელს დაწყებული დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა საქართველოს ხუთ ქალაქში მოქმედებს და უკვე 70 ბავშვია შვილობილად აყვანილი, მათგან 12 – უნარშეზღუდული. 139-ე სკოლის პედაგოგმა რიტა ჩხიკვიშვილმა მოგვარე ნინო ჩხიკვიშვილი შვილობილად ორი წლის წინათ აიყვანა. "არ მინდოდა, ნინოსაც ისეთი მოწყენილი თვალები ჰქონოდა, ბავშვთა სახლებში რომ აქვთ-ხოლმე. მოწყენილი აღარ არის, მაგრამ ორ რამეს ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე – საიდუმლოს არ მიმხელს და მხატვრული ლიტერატურის კითხვა არ უყვარს," – ამბობს ქალბატონი რიტა.*


"ნინო ჩხიკვიშვილი მარცხნიდან პირველი".

ნანა ქადაგიშვილი

ნინო ჩხიკვიშვილი უკვე 12 წლისაა. მამა არ ახსოვს. ცხრა წლამდე დედასა და ძმასთან ერთად თბილისში ცხოვრობდა. სამი წლის წინათ დედამისი ნინოსთან ერთად რუსეთში წავიდა საცხოვრებლად, მაგრამ ერთ წელიწადში ინფარქტით გარდაიცვალა და მარტო დარჩენილი გოგონა 20 წლის ძმამ თბილისში ჩამოიყვანა. თუმცა, თავის რჩენა გაუჭირდა და საზღარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. ბინა გაყიდა, ნინოს კი წყნეთის ბავშვთა სახლში უპირებდა მიბარებას. რიტა ჩხიკვიშვილი ნინოს ცხოვრებაში სწორედ ამ დროს გამოჩნდა. მან გოგონას ამბები ახლობლებისგან იცოდა და მისი დახმარება უნდოდა. დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის შესახებ პრესაში რომ წაიკითხა, აღარც დაფიქრებულა. ასე აღმოჩნდა 10 წლის ობოლი ნინო რიტა ჩხიკვიშვილის ოჯახში. ქალბატონ რიტასა და მის მეუღლეს მწერალ ზეზვა მედულაშვილს ორი ვაჟიშვილი ჰყავთ. ერთი - ოჯახთან ერთად ცალკე ცხოვრობს, მეორე კი - მშობლებთან. **"ზეზვა და ნიკა ყველა სურვილს უსრულებენ. მე უფრო მკაცრი ვარ, ამიტომ მათთან მეტად თავისუფლად არის. მე მინდა, არაფერი დამიმალოს და, თუ რამე აწუხებს, პირველ ყოვლისა, მე მითხრას. ჯერჯერობით, ამას ვერ მივაღწიე. დროთა განმავლობაში, ალბათ, უფრო დავმეგობრდებით,"** – იმედოვნებს "მამიდა" - ასე ეძახის ქალბატონ რიტას ნინო.

ორი წლის წინათ, როცა პატარა ნინო ამ ოჯახში მიუყვანიათ, ისეთი დათრგუნული და გატანჯული ყოფილა, ღამით ძილი უჭირდა, ტიროდა. მერე "მამიდას" შეუშინებია, - თუ ინერვიულებ, აღარ გაიზრდებიო და ნინოც ცდილობდა, აღარ ენერვიულა. დრო გავიდა, მეურვე ოჯახის ყურადღებამ და სითბომ თავისი გაიტანა და დღეს ნინოს თვალები ბავშთა სახლების ბინადართა თვალებისგან ძალიან განსხვავდება. თუმცა, წარსულს ცრემლების გარეშე მაინც ვერ იხსენებს: **"ვაზისუბანში ვცხოვრობდი, 163-ე სკოლაში ვსწავლობდი. სანამ დედა ცოცხალი იყო, მხიარული ვიყავი. თავიდან გამიჭირდა, მაგრამ აქაურობას უკვე შევეჩვიე და ახლაც მხიარული ვარ."**

ნინო "მამიდას" იმ სკოლაში დაჰყავს, სადაც თვითონ ასწავლის. **"ქართული ენისა და "ბუნების" გარდა, ყველა საგანში 5 გამომყვა. ყველაზე იოლად რუსულ ენასა და მათემატიკას ვსწავლობ. კიდევ ცეკვა მიყვარს. მამიდამ ქართული ხალხური ცეკვის წრეზე მიმიყვანა. მომავალ წელს მუსიკასა და ევროპულ ცეკვაზე ტარებასაც შემპირდა,"** – ამბობს გოგონა. ცეკვის გარდა, მას ხატვაც ეხერხება. ყველაზე საყვარელი ნახატი - "წითელქუდა," საბავშვო გაზეთ "თორმეტამდე"-ში გამოსაქვეყნებლადაც მოგვცა. **"კარგად ვერ ვხატავ, მაგრამ ეს ნახატი ჩემი ხატვის მასწავლებელს ძალიან მოეწონა და 5 დამიწერა,"** – იღიმება ნატო. მხიარულად მოხტუნავე "წითელქუდას" გვერდით, მართლაც, უზარმაზარი წითელი ფრიადი უწერია.

**"მხატვრული ლიტერატურის კითხვა ვერ შევაყვარე, თორემ ისე ყოჩაღი გოგოა. ყველა ხერხს ვხმარობ, რომ დავაინტერესო, მაგრამ, ჯერჯერობით, არ გამომდის. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მიზანს მაინც მივაღწევ. დიდი ძალისხმევა მჭირდება, რომ მძიმე წარსულისგან გამოყოლილი ჩვევები დავავიწყო და სწორად აღვზარდო. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ვიტვირთე და არაფერი არ უნდა შემეშალოს,"** – აცხადებს ქალბატონი რიტა.

აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ მეურვე ოჯახებს, უზედამხედველო ბავშვის აღზრდის საფასურად, თვეში 100 ლარს აძლევენ. განათლების სამინისტროს სოციალური მუშაკები მათ ისე საგულდაგულოდ არჩევენ, გამორიცხულია, ვინმემ ბავშვზე მეურვეობა მხოლოდ ფულადი დაინტერესების გამო იკისროს. ეს ოჯახები, მართლაც, ისეთ სასიკეთო საქმეს აკეთებენ, მათ შრომას მილიონი ლარიც ვერ აანაზღაურებს. პრობლემა მერე იწყება - როცა მშობლების, ნათესავებისა და ქონების გარეშე დარჩენილი ბავშვი სრულწლოვანებას მიაღწევს. **"სანამ ცოცხალი ვარ, ნინოს არაფერს მოვაკლებ. მაგრამ, მერე რა ეშველება, საკუთარი სახლიც არა აქვს,** – წუხს ქალბატონი რიტა, - **დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის ამოქმედება ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ სახელმწიფომ ამ ბავშვების მომავალზეც რომ იზრუნოს, უფრო კარგი იქნება. ძალიან მინდა, საზოგადოება ამ პროგრამით უფრო დაინტერესდეს. ერთი მიტოვებული ბავშვის გაზრდა გაცილებით დიდი სიკეთეა, ვიდრე - ცხრა საკუთარი შვილისა."**

# კონკურსის დასკვნითი ტური

27 მარტს თბილისის ანთიმოზ ივერიელის სახელობის 166-ე სკოლაში, საქართველოს სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით, ჩატარდა დასკვნითი ტური საქართველოს ისტორიაში. დასკვნითი ტური ტარდება რაიონული ტურისა და ზონალურის შემდეგ; მონაწილეობას იღებს საქართველოს ყველა სკოლის მოსწავლე. ამჯერად ტურში მონაწილეობდნენ რუსულენოვანი მოსწავლეები, ასევე - ოთხი აზერბაიჯანულენოვანიც. მოსწავლეთა ინტერესი დიდია. ისინი ამბობენ, რომ უნდათ, იცოდნენ თავიანთი ქვეყნის ისტორია. ნამუშევრები გასწორდება მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში.

დასკვნით ტურს დაესწრნენ საქართველოს განათლების მინისტრი კახა ლომაია და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე.

რუმინეთის საელჩო საქართველოში 166-ე სკოლასთან თანამშრომლობს. ღონისძიებაში რუმინეთის ელჩიც მონაწილეობდა. სკოლის დირექტორმა ნანა კვირიკაშვილმა განათლების მინისტრს მოახსენა სკოლის და საელჩოს საერთო სურვილი, რომ 166 -ე სკოლის უფროს კლასებში რუმინული ენის სწავლება დაინერგოს.

*24 საათი*

# „ვარსკვლავთცვენა" ვერის პარკში

ნინო ჭორჭაძე

თბილისური "ელიტის" ამდენ წარმომადგენელს ერთად მხოლოდ "არტ-იმედის" კონცერტებზე და ღონისძიებებზე იხილავთ. ამჯერად ისინი - ანუ "არტ-იმედის" საკუთრებაში მყოფი მომღერლები (და არა მარტო მომღერლები), სიმღერაზე უფრო სასარგებლო საქმემ შეყარა ვერის პარკში. ბადრი პატარკაციშვილისა და მერიის კულტურის სამსახურის თაოსნობით, არჩევნების წინა დღეს დიდი შაბათობა მოეწყო, რომლის მიზანი ვერის პარკის გამწვანება იყო. თუმცა, იქ მისულები მხოლოდ ვარდის რამდენიმე ბუჩქის დარგვას შევესწარით, რომელიც შემდეგ თავადვე გადათელეს ფანებთან ერთად ფოტოგრაფირებისას.

იდეა, თავისთავად, მართლაც, მისასალმებელია. იქ მოსული საზოგადოება ჟურნალისტებთან საუბრისას იმედს გამოთქვამდა, რომ ამ მაგალითს უბრალო ადამიანებიც მიბაძავენ. მერაბ სეფაშვილი ყველას მოუწოდებს, თავისი სახლის წინ მაინც დაასუფთაონ. "არავის უნდა ნაგავში ცხოვრება," - გვითხრა ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა. მან ისიც გაიხსენა, რომ ბავშვობაში ის ქალაქელად ვერ აღიქვამდა ისეთ ადამიანს, ვინც მანდარინის ქერქებს გარეთ ყრიდა.

ვარდების დარგვამ საერთო მხიარულება გამოიწვია (მოგეხსენებათ, ვარდზე ხუმრობა წელს ყველაზე ბანალური თემატიკაა). ამდენი ცნობილი სახის ერთად დანახვა თავბრუსაც კი დაახვევდა ადამიანს. საზოგადოება განსაკუთრებით ინუსხებოდა "ვარსკვლავების" ჩაცმულობით. თუმცა, რა ვიცი, გემოვნებას გააჩნია - პირადად მე არასოდეს მომეწონება ბრჭყვიალა, მწვანე სათვალე (სტალონე რომ ატარებდა ფილმებში, ისეთი ფორმის), არც სპორტული კედები პლატფორმებზე ან მინი ქვედაბოლოთი, მაღალ ქუსლებზე შემდგარი საკმაოდ ცნობილი და საკმაოდ ჭარბწონიანი ქალბატონი. თუმცა, ყველას თავისი პრობლემა აქვს.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ღია ტენდერს 25000 ცალი გაჟღენთილი ხის შპალის (სტანდარტი 78-89, I-ა ტიპის), შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** ხის შპალის მიწოდება უნდა განხორციელდეს ოთხ ნაწილად (ყოველთვიურად 6250 ცალის ოდენობით), შპს "საქართველოს რკინიგზასა" და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. პირველი პარტიის მიწოდება უნდა განხორციელდეს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ 2004 წლის 23 აპრილიდან 27 აპრილის 17 საათამდე. მისამართი: 0112 ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", ტელ: 953605; 950096; 563371; ფაქსი: 950096.

4. სატენდერო წინადადების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

4.2 ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრობის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შესახებ;

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი არ დაიშვება შეფასებაზე, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო წინადადებების შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი სატენდერო წინადადების, წინამდებარე განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით.

**7.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 500 ლარის ოდენობის სატენდერო დოკუმენტაციის საფასურის გადახდის შემდეგ, 2004 წლის 14 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", შესყიდვების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ და რუსულ ენებზე.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ში, მისამართზე 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, ტელ: 563371; 564747. ელ.ფოსტა: gtvalavadze@.Railway.ge; ვებ გვერდი http://www.railway.ge. საკონტაქტო პირები - შესყიდვების სააგენტოს უფროსის მოადგილე გიორგი თვალავაძე და სააგენტოს უფროსი სპეციალისტი ნესტორ ფაცაცია.

*შპს "საქართველოს რკინიგზა"*
*სატენდერო კომისია*

## შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს საკონკურსო შესყიდვას ლითონის მასალებზე

55 ტონა კუთხოვანი რკინა
26 ტონა მრგვალი რკინა
28 ტონა შველერი
400 გ/მ მილი რკინის
22.4 ტონა ფურცლოვანი ფოლადი
4 ტონა დაღარული ფურცლოვანი ფოლადი
30 ტონა გოფრირებული რკინის ფურცელი

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს უნდა წარუდგინონ სპეციალური ფორმით 2004 წლის 6 აპრილის 17 საათამდე.

დამატებითი ინფორმაცია და განაცხადის ფორმები დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა". ტელ: 563361; 564747. ელ. ფოსტა: nestor-patsatsia@.Railway.ge. საკონტაქტო პირი - ნესტორ ფაცაცია.



# პატიმრებმა არჩევანი ყველანაირი ზეწოლის გარეშე გააკეთეს

პირველი გვერდიდან

ამომრჩეველ პატიმართა უმრავლესობამ საკუთარი არჩევანი არ გაამჟღავნა. ორთაჭალის მეხუთე საპყრობილე, გუშინ, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ნაკლებად პოლიტიზებული იყო. საკნებიდან ნაწილ-ნაწილ გამოყვანილი პატიმრები, ყველა წესის დაცვით ასრულებდნენ ხმის მიცემის პროცედურას და ჩუმად ბრუნდებოდნენ საკნებში. ერთადერთი სიტყვა, რაც იზოლატორის კედლებში ხშირად ისმოდა, ამნისტია გახლდათ.

**"ვისი რა საქმეა, ვის მივეცი ხმა. ეს ჩემი საიდუმლოა"**, - ძირითადად, ასეთი პასუხები მიიღო "24 საათმა" იმ პატიმართაგან, რომლებთან გასაუბრებაც შევძელით. პატიმართა განმარტებებით, მათზე არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. მათი თქმით, წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა საკნებში არ ჩატარებულა.

**"ჩვენთან არავინ შემოუგზავნიათ და არ მიუთითებიათ, კონკრეტულად, ამა და ამ პარტიას უნდა მისცეთ ხმაო. არჩევანის გაკეთების უფლება ჩვენ დაგვიტოვეს. უმრავლესობა იმას ვაძლევთ ხმას, ვისი იმედიც საქართველოს აქვს. ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს, სავსეა აქაურობა საცოდავი, გაჭირვებული ხალხით, აქ არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც დანაშაული სოციალური გაჭირვების ნიადაგზე ჩაიდინეს. ჩვენც ხომ უნდა მოგვხედოს ვინმემ. იმას კი არ ვამბობ, ფრთიანი ანგელოზები ვართ-მეთქი, მაგრამ ერთი პურისა და რამდენიმე კოლოფი სიგარეტის მოპარვის გამო ზოგიერთმა წლები უნდა გავატაროთ ციხის კედლებში, მაშინ, როცა არიან ისეთებიც, ვინც მთელი ქვეყანა გადაჭამეს. საქმე ისაა, რომ ამ ორ კატეგორიას შორის განსხვავების დანახვა არავის უნდა. ნემსისა და აქლემის ქურდი, ორივე ქურდიაო - ამ პრინციპით ვიხარშებით ყველა ერთ ქვაბში. მეც მინდა მქონდეს კარგი სამსახური, სპეციალობაც მაქვს და თავსაც არ დავზოგავ, უბრალო რამეზე წამიცდა ფეხი, მოვხვდი აქ და ღმერთმა იცის, რა მიწერია მომავალში. ამნისტიის იმედი მაქვს, იქნებ მეშველოს"**, - განაცხადა ერთ-ერთმა პატიმარმა ჩვენთან საუბარში, რომელმაც, სხვების მსგავსად, საკუთარი არჩევანი არ გაგვიმჟღავნა.

ერთი სიტყვით, მეხუთე იზოლატორის ყველა ამომრჩეველი პატიმარი ბიულეტენს საარჩევნო ყუთში ამნისტიის მოლოდინით აგდებდა. თუმცა, მათ შორის აღმოჩნდა რამდენიმე, რომლებმაც, მათივე თქმით, ბიულეტენში ჩამოწერილი პარტიებიდან ყველა გადახაზა. **"ვის უნდა მივცე ხმა, არავის იმედი არ მაქვს. რაც მევალებოდა, გავაკეთე. ხომ მივიღე არჩევნებში მონაწილეობა. საკუთარი პოზიცია ხომ უნდა დამეფიქსირებინა, ჰოდა, მეც დავაფიქსირე"**, - გვითხრა ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელიც დღე-დღეზე, სასამართლოს განაჩენს ელოდება.

ერთი სიტყვით, გუშინ მეხუთე საპყრობილეში ყველა პირობა იყო შექმნილი იმისთვის, რომ პატიმრებს საკუთარი სურვილის მიხედვით შემოეხაზათ მათთვის სასურველი ნომერი.

ციხეში ჩატარებული არჩევნების კანონიერებას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ადევნებდნენ თვალყურს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" წარმომადგენელმა ნანა კაკაბაძემ განგვიცხადა, რაიმე კანონდარღვევის ფაქტი ვიზუალურად არ დაფიქსირებულა. მისივე თქმით, ორგანიზაციის მეთვალყურეობის მიზანი ამომრჩეველთა ზუსტი რიცხვის დაფიქსირება გახლდათ იმისთვის, რომ საარჩევნო ყუთებში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა არ მომხდარიყო.

**"არჩევნები მშვიდ ვითარებაში, ექსცესების გარეშე მიმდინარეობს. ყველა წესი დაცულია. არანაირ დარღვევას, ჯერჯერობით, ადგილი არ ჰქონია. საბოლოოდ, ყველაფერს საარჩევნო კომისიის წევრები შეაფასებენ"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა. მინისტრის თქმითვე, ეგრეთ წოდებულმა პოპულარულმა პატიმრებმა გუშინდელ საპარლამენტო არჩევნებში პირველებმა მიიღეს მონაწილეობა.

ორთაჭალის მეხუთე საპყრობილის გარდა, სადაც ორი საარჩევნო უბანი იყო გახსნილი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, ქუთაისის, ზუგდიდისა და ბათუმის საპყრობილეთა პატიმრებმაც, რომელთაც საშუალება ჰქონდათ, შესაბამისი უბნის გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმა მიეცათ სასურველი პარტიისა თუ ბლოკისთვის. მთლიანად, საქართველოს მასშტაბით, საარჩევნო ხმის უფლების მქონე 3000-მდე პატიმარია.

## ქართველმა სამხედროება ხმა სპეციალურად გახსნილ უბნებში მისცეს

შეიარაღებული ძალების ვადიანი და კონტრაქტით მომუშავე სამხედრო მოსამსახურეებისთვის სპეციალურად 10 საარჩევნო უბანი გაიხსნა, 25-ე ბრიგადასა და სამხედრო ჰოსპიტალში კი გადასატანი ყუთის გამოყენებაა დაშვებული.

7 ათას 500-მდე სამხედროს ხმის მიცემა დისლოკაციის ადგილის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით გახსნილ 28 საარჩევნო უბნის 49 უბანზე შეუძლია.

რაც შეეხება ოფიცერთა შემადგენლობასა და გენერალიტეტს, ისინი ხმას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისცემენ.

დისლოკაციის ადგილის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მყოფმა 120-მა ქართველმა მშვიდობისმყოფელმა. მათ ხმა მისცეს გორის ოლქში, კერძოდ - ნიქოზის, აჩაბეთისა და ერედვის უბნებზე, ლიახვის ოლქში კი სოფელ აბანოს საარჩევნო უბანზე შეეძლოთ.

კოსოვოში მყოფი ქართველი სამშვიდობოებისთვის, იმის გამო, რომ საქართველოს ამ ქვეყანაში დიპლომატიური მისია არ აქვს, საარჩევნო ყუთი გერმანიიდან ჩაიტანეს.

როგორც ცნობილია, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებზე პოლიციელები არჩევნებში იმ უბნების მეშვეობით მონაწილეობდნენ, რომლებიც მათი საგუშაგოს მახლობლად მდებარეობდა. ამის გამო პოლიციელები ე.წ. კარუსელში მონაწილეობაში დაადანაშაულეს და მათი საარჩევნო "განაწესი" გუშინდელ არჩევნებზე შეიცვალა - შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რაიონული პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა არჩევანი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გააკეთეს.

ხმის მიცემის პროცედურაში, პოლიციელთა მსგავსად, მონაწილეობა უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმაც სამოქალაქო პრინციპით მიიღეს.

ორივე ძალოვანი უწყება - შსს და უშიშროების სამინისტრო 28 მარტს განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. მით უმეტეს, რომ უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას წინასწარი ინფორმაციით, სამინისტრო ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის დროს პროვოკაციები და დარბევები იგეგმება. რისკის ზონებად დასახელებული იყო თბილისი, ქვემო ქართლი და აჭარის რეგიონი. გუშინ ქვეყნის ყველა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტის დაცვაც გაძლიერებული იყო.

*24 საათი*




## შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი

ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი "ბი-პი"-ს მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი ანგარიშვალდებულია გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი პასუხისმგებელი იქნება:

- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE) შესახებ ყველა ჩანაწერების წარმოებაზე, მათ შორის ანგარიშებზე, ანგარიშებზე ინციდენტების შესახებ, უსაფრთხოების სფეროში ტრენინგების პროგრამებზე (STOP) და გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებაზე (ASA), აგრეთვე ინციდენტების სტატისტიკაზე, HSE-ს მონიტორინგის მონაცემებზე და ა. შ.
- მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენარჩუნებაზე, ზემოთ აღნიშნული ანგარიშებიდან გამომდინარე ყველა ღონისძიების თვალის მიდევნებისათვის.

**როლები და პასუხისმგებლობები:**

ძირითადი როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშების მომზადება აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ოპერაციებისთვის, შეთანხმებული განრიგის შესაბამისად
- სტანდარტული ანგარიშების მომზადება, რომლებიც საჭიროა გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების სერტიფიცირების სტანდარტებისთვის
- ყველა იმ საჭირო მონაცემების შენახვა, რომლებსაც მოითხოვენ აზერბაიჯანის/საქართველოს/თურქეთის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მარეგულირებელი ორგანოები
- AGT HSE-ს მონაცემთა ბაზის შენარჩუნება, ყველა შემავალი და გამავალი ანგარიშებისთვის, ინციდენტების შესახებ ანგარიშების და სტატისტიკური მონაცემებისთვის, განდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მონიტორინგის პროგრამიდან
- ASA-ს და STOP-ის პროგრამის მონაცემებისა და თვალის მიდევნების მონაცემთა ბაზის შენახვა
- HSE-ს მონაცემების ანალიზი, ტენდენციების განსაზღვრისათვის, რათა გაუწიოს რეკომენდაცია კონცენტრირებული მენეჯმენტის ღონისძიების თაობაზე
- "ბი-პი"-ს, დარგისა და იურიდიული ინფორმაციის და სტანდარტების HSE-ს ბიბლიოთეკის შენახვა, ბრითიშ პეტროლეუმის საინფორმაციო ვებსაიტის შევსებისთვის

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**

## საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის ზონაში სანოტარო განყოფილება გახსნა



*საქართველოს ხელისუფლებამ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე სახელმწიფო სტრუქტურა გახსნა.*

საქართველოს ხელისუფლებამ პირველი პრაქტიკული პოლიტიკური ნაბიჯი კონფლიქტის ზონაში – სამაჩაბლოში გადადგა. საქართველოს ხელისუფლებამ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე სახელმწიფო სტრუქტურა გახსნა.

იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა შაბათს, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ერედვის თემსა და სოფელ თამარაშენში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო (ყოფილი მმაჩის ბიურო) და სანოტარო განყოფილება გახსნეს.

ერედვის თემში 12 სოფელი შედის და იქ 4 ათასამდე ქართველი ცხოვრობს.

სოფელი თამარაშენი კი ქურთას თემში შედის, სადაც 9 სოფელია და 8 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ამ ხეობებში მცხოვრებ მოსახლეობას ქორწინების, დაბადების და სხვა სარეგისტრაციო პრობლემების მოგვარება გორში უხდებოდა. აღსანიშნავია, რომ სამაჩაბლოს ქართულ სოფლებში სკოლის ასაკის უამრავი ბავშვია, რომელსაც არსებული პრობლემის გამო, დაბადების მოწმობებიც არ გააჩნია.

იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ამ ტერიტორიული ორგანოების მომსახურებით ოსებიც ისარგებლებენ.

იუსტიციის მინისტრი დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ერედვის თემისა და სოფელ თამარაშენის მოსახლეობას დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში იუსტიციის სამინისტრო მიწის მართვის დეპარტამენტის განყოფილებასაც გახსნის.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში წესრიგს ქართველი პოლიციელები იცავენ და იქ კრიმინოგენული ვითარება ბოლო პერიოდში გაუმჯობესდა. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალეკო სუხიტაშვილის განცხადებით, დიდი ლიახვის ხეობაში, ქურთის თემში ქართული პოლიციის 70-კაციანი დანაყოფი იცავს წესრიგს, ხოლო პატარა ლიახვის ხეობაში, ერედვის თემში - 50 პოლიციელი.

*24 საათი*

# ქართული ბოჰემის ლირიკული გაზაფხული

თეონა ჯაფარიძე

ეს სტატია, შესაძლოა, ასეც დამეწყო: გაზაფხულდა და ქართულმა ბოჰემამაც გაიღვიძა-თქო. მაგრამ, არ ვიცი, წვეულება (ანუ არაქართულად რომ ვთქვათ "ფართი", ან "ტუსოვკა"), რომლის შესახებაც უნდა გიამბოთ, ერთჯერადი აღმოჩნდება თუ გაგრძელებაც ექნება - დაიბადება თუ არა რამე ახალი ახალ ქართულ ხელოვნებაში? საერთოდ, რამდენად აქტუალურია დღეს, ვისაუბროთ ქართულ ბოჰემურ Art-წრეებსა და მათ "ტუსოვკაზე" და, საერთოდ, არსებობს თუ არა დღეს ასეთი წრე, თანაც - შემოქმედებითად აქტიური და პროდუქტიული?

დღეს ახალი ქართული ხელოვნება კონვეიერივითაა, რომელიც, მართალია - გულწრფელად, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ წითელ ვარდებსა და პოლიტ-Art-ებზეა ორიენტირებული. პოზიცია გასაგები და ბუნებრივია: რევოლუცია ახალია, ცხელია და ის კიდევ დიდხანს დარჩება ქართველ შემოქმედთა მუზად; უფრო მეტიც: დღეს თავად საქართველო იქცა უცხოელი არტისტების მუზად (წვეულებაზე უამრავი უცხოელი სტუმარიც იყო. ზოგიერთი მათგანი აქ საკუთარი ხელოვნების "საკეთებლად" ჩამოვიდა, ზოგი კი, მაგალითად, ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნე ჟენია ქიქოძე, ასევე ცნობილი Guelman-ის გალერეადან, პირიქით - პოსტრევოლუციური საქართველოს ხელოვნებაში ეძებს რაიმე ახალს).



სერგო ფარაჯანოვი და ოლეგ ტიმჩენკო

მოკლედ, სიტყვა გამიგრძელდა. იმას მოგახსენებდით, რომ ასეა თუ ისე, გაზაფხულდა და ქართულმა რევოლუციაგადატანილმა ბოჰემურმა წრეებმაც გაიღვიძეს. გაღვიძებით კი ნამდვილად შესაფერის ადგილზე გაიღვიძეს: ზედ ქართლის დედის გვერდით, კიდევ უფრო კონკრეტულად კი - მის ძირში, თბილისური ლანდშაფტის, წითელი ღვინისა და ნამდვილი გაზაფხულის ხედის თანხლებით. ამ წვეულების ავტორი დიდი სახლის საინტერესო მასპინძელი - ოთარ ჭუმბურიძე გახლდათ. მან საკუთარი სახლი მხატვარ ოლეგ ტიმჩენკოს ლექსების კრებულის პრეზენტაციას დაუთმო. მოკლედ, ეს იყო საღამო, სადაც პირველად პოლიტიკასა და მასმედიაზე არ საუბრობდნენ, სვამდნენ წითელ ღვინოს, მსახიობები კითხულობდნენ ოლეგის მხატვრობის იდენტურ ლექსებს ტყის ელფებზე, ანგელოზებსა და სიყვარულზე და ტკბებოდნენ თბილისური გაზაფხულით (კრებულს ასე ჰქვია: "Не говори мне ничего"). მაგრამ, ეს არ გახლდათ მოდუნება ან რეგრესი – პირიქით, ეს უფრო პროგრესული და რევოლუციურიც კი იყო პოსტრევოლუციურ საქართველოში, ვიდრე - რევოლუციური ვარდების ხატვა.

პროგრესი კიდევ იმაშიც იგრძნობა, რომ ასეთი წვეულებები არაოფიციალურ სივრცეში იმართება. მართალია, საქართველოში მეცენატობის ინსტიტუტი, ჯერჯერობით, არ არსებობს, მაგრამ მასპინძლის საქციელში არის ის რაღაც, რაც მეცენატობასა და მაღალ ხელოვნებას შორის მერყეობს ხოლმე. ეს ხელოვნების ცალკე, დახვეწილი ჟანრია და მისი ერთი წარმომადგენელი ბატონი ოთარ ჭუმბურიძეა. ის ფრანგულ ლიტერატურაშიც ერკვევა და ფსიქოლოგიაშიც; უმუშავია სახალხო თეატრში მსახიობადაც და ცნობილ გერმანელ მხატვარ ფლაცთანაც - ასისტენტად. ეს საინტერესო პიროვნება ისე აზროვნებს, კარგი იქნებოდა, საქართველოში სხვებსაც ასევე ეფიქრათ და ეაზროვნათ:

"მე მიმაჩნია, რომ ეს არის ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, გიყვარდეს ხელოვნება და დაეხმარო ხელოვანს. მე არ ვარ კოლექციონერი და არც გალერისტი, მაგრამ მე მომწონს ასეთი ფორმით საქმიანობა. ეს მარტო კერძო სახლი, კერძო საკუთრება კი არ არის, ეს სახლი იძლევა იმის ინსპირაციას, რომ არაოფიციალურ, გახსნილ სივრცეში, ბუნებასთან ახლოს წარმოადგინო ახალი ხელოვნება. მე ასეთი ფორმით მინდა გამოვიყენო ჩემი კერძო საკუთრება," – ამბობს ბატონი ოთარი.

როდის წერდი ლექსებს? – ვეკითხები მხატვარ ოლეგ ტიმჩენკოს.

"როცა ჩავარდნები მქონდა, როცა საშუალება არ მქონდა, რომ მეხატა; როცა მატერიალური პრობლემები მქონდა, როცა დროს ვავსებდი. ლექსები ჩაკეტილი მქონდა და არავის ვაჩვენებდი. ერთადერთი გამონაკლისი - ოთარი იყო. ერთხელ ბრისტოლიდანაც კი გამოვუგზავნე ჩემი ერთი ლექსი. ხანდახან სხვებისთვისაც წამიკითხავს, მაგალითად - სერგო ფარაჯანოვთან, მის სტუმრებთან", – მპასუხობს მხატვარი და მერე მიამბობს: "მესამე კურსზე ვიყავი, როცა ფარაჯანოვი ჩემმა მეგობარმა, ჩემმა მხატვარმა – თემურ ტორჩინოვმა გამაცნო. ფარაჯანოვი ჩემი მხატვრობის პირველი შემფასებელი და დამფასებელი გახდა. ჩვენ დავმეგობრდით. ის "ბლედნი ოლეგს" მეძახდა. ამ კაცმა მე თვალები ამიხილა. ის რომ არა, მე, როგორც მხატვარი, ვერ შევდგებოდი. აი, მის სახლში იკრიბებოდა ნაღდი ბოჰემა: ვისოცკი, ანდრეი მირონოვი, ბელა ახმადულინა; ლილია ბრიკი – მაიაკოვსკის საყვარელი ქალიც კი იქ გავიცანი. ამ ცოტა ხნის წინ რუსმა ლიტერატორებმა – მიხეილ ლიაშენკომ და ანა შახნაზაროვამ დამირეკეს და ის ლექსები მთხოვეს ჟურნალში დასაბეჭდად, ფარაჯანოვთან სტუმრობისას ჩემგან რომ მოესმინათ. სწორედ აქედან წამოვიდა წიგნის გამოცემის იდეაც და წლების მანძილზე ჩაკეტილმა ლექსებმა დღის სინათლე იხილეს.

ბოლოს ისევ "ტუსოვკის" მასპინძელს ვთხოვე შეეფასებინა ის, რაც მის სახლში მოხდა: "მიმაჩნია, რომ ეს არ იყო წმინდა წყლის პოეზიის საღამო. ის, რაც აქ მოხდა, ოლეგის მიმართ დამოკიდებულების გამომჟღავნება უფრო იყო, თორემ ბევრი ისეთიც კი მოვიდა, ვინც ამ წიგნს არც კი წაიკითხავს. ეს ხომ ამ საზოგადოების პოზაა; და ეს ხომ, ბოლოს და ბოლოს, "ტუსოვკაა", რომელიც ამ ქალაქს სჭირდება."

# ჯიჰადი, ხორუმი და... დონიცეტი

## კონსერვატორიის საოპერო სტუდიამ "დონ პასკუალე" განახორციელა

მადი სერებრიაკოვა

დიდი ხანია ქართველ მაყურებელს ასე გულიანად არ უცინია. დონიცეტის კომიკური ოპერა "დონ პასკუალე" საოპერო შედევრების იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომლის გასაგებად ღრმა მუსიკალური განსწავლულება არ არის საჭირო. ულამაზესი მუსიკა, კომიკური პერსონაჟები – განსაკუთრებით, თუ ამ ყველაფერს კარგი მუსიკოსები და მსახიობები ასრულებენ – ნებისმიერი მსმენელისა და მნახველის ყურადღებას მიიპყრობს. ეს ფაქტი გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში კიდევ ერთხელ დადასტურდა. "ტრავიატასა" და "ფარული ქორწინების" შემდეგ, საოპერო სტუდიის საგაზაფხულო სეზონი კიდევ ერთი შესანიშნავი პრემიერით აღინიშნა.

გუშინდელი წარმოდგენის შემდეგ, შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თბილისის ოპერის თეატრმა და კონსერვატორიის საოპერო სტუდიამ როლები გაცვალეს. ვიდრე ჩვენი საოპერო თეატრი ძალაუფლებისთვის ბრძოლისა და ამბიციების არენად არის ქცეული და მხოლოდ ტრაგიკომიკური გაუგებრობებით იპყრობს ყურადღებას, საოპერო სტუდიის სტუდენტური დასი მხოლოდ ერთ სეზონზე ორ საოპერო პრემიას გვთავაზობს: **"ეს ბოლო სპექტაკლები – "ტრავიატა", "ფარული ქორწინება", "დონ პასკუალე" არა მხოლოდ საოპერო სტუდიის მნიშვნელობის სპექტაკლებია** – აღნიშნავს ცნობილი მომღერალი და პედაგოგი ნოდარ ანდღულაძე – **ეს ქართული კულტურის ზეიმია, ეს მოგვიტანეს ამ ახლგაზრდა თაობის ნიჭიერმა მუსიკოსებმა."** რამდენიმე ათეული წლის წინათ, ოპერის თეატრში დადგმული "დონ პასკუალეს" გახსენების შემდეგ კი, მაესტრო იმასაც დასძენს, რომ **"დღეს ოპერის თეატრი ასეთ სპექტაკლს ველარ წარმოადგენს, რადგან ამისთვის შესაბამისი ანსამბლი და შემოქმედებითი ნება არ გააჩნია".**

თავის დროზე, "დონ პასკუალე" გრიზის, მარიოს, ტამბურინისა და ლაბლაშეს ლეგენდარული კვარტეტისთვის შეიქმნა. პირველად 1843 წელს პარიზის იტალიურ ოპერაში განხორციელდა. თავად ავტორი "დონ პასკუალეს" თანადროულ სიუჟეტად განიხილავდა და საკუთარი პერსონაჟები მხოლოდ თანამედროვე კოსტიუმებში გამოწყობილი წარმოედგინა. საუკუნეების შემდეგაც, შეიძლება ითქვას, დონიცეტისეული მიდგომა ამ საკითხისადმი აქტუალური დარჩა, "დონ პასკუალე" მართლაც იძლევა საშუალებას ყველა ეპოქისა და ისტორიული კონტექსტისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით გაამდიდრო სპექტაკლი. 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე მყოფი ქართული რეალობაც "დონ პასკუალეს" ახალ დადგმაში თავისებურად აირეკლა. დონიცეტის მარად აქტუალურმა მუსიკამ რეჟისორ მაია გაჩეჩილაძისა და დიზაინერ გიორგი ნადირაძისეული ქართული ხორუმისა და მუსულმანური ჯიჰადის ელემენტებიც ძალზედ ორგანულად შეისისხლხორცა. ხოლო წარსულმა და თანამედროვეობამ ძალზედ ბუნებრივად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

სპექტაკლზე მუშაობისას ახალგაზრდა რეჟისორ მაია გაჩეჩილაძეს არ უსარგებლია "დონ პასკუალეს" დადგმის საკმაოდ მდიდარი ტრადიციით. როგორც აღინიშნა, ოდესღაც იგი თბილისის საოპერო თეატრშიც იდგმებოდა და მაშინ მთავარ პარტიებს ქართული საოპერო ხელოვნების ვარსკვლავები: ნინო ცაგურია, დავით ბადრიძე, კოტე ფირცხალავა და სხვები ასრულებდნენ. ეგზოტიკისა და ექსცენტრულობის ელემენტები სულაც არ არღვევდა 19-ე საუკუნის რომის კონკრეტულ ისტორიულ-სიუჟეტურ ფარგლებსაც: **"ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი სიგიჟეა** – მხიარულების ტალღას აგრძელებს რეჟისორიც – **იმედია დონიცეტი არ მიწყენს."**

დონიცეტი ალბათ, მართლაც, არ დარჩება ნაწყენი. მით უმეტეს, რომ აქტიურმა დრამატურგიამ ოდნავადაც არ შეუშალა ხელი სპექტაკლის მუსიკალურ მხარეს. რასაც უბრალო მაყურებელი ნამდვილად ვერ შენიშნავდა – ეს "დონ პასკუალეს" საშემსრულებლო სირთულეებია, რომლებიც დასმა წელიწადნახევრის განმავლობაში, დირიჟორისა და მუსიკალური ხელმძღვანელის - გოგი ჭიჭინაძესთან მუშაობის შედეგად გადალახა და პრემიერაზე მსუბუქი უშუალობითა და მახვილი არტისტიზმით მოიტანა მსმენელამდე: **"კამყოფილი ვარ, რადგან სტუდენტები იმაზე უკეთესები აღმოჩნდნენ, ვიდრე მუშაობის პრეცესში მეგონა,** - აღნიშნავს დირიჟორი **- სპექტაკლის რეჟისურაც სავსებით შეესაბამებოდა მუსიკალური მხარეს. მაია იმდენად კარგად გრძნობს მუსიკას, რომ მე რასაც გავიფიქრებდი, ის უკვე სცენაზე აკეთებდა ყველაფერს. თუმცა გამოვტყდები, სტუდენტები ბევრს წუწუნებდნენ..."**

როგორც ჩანს, განსაკუთრებული მუშაობა დირიჟორმა და რეჟისორმა სწორედ საოპერო სტუდიის დასის ახალგაზრდა მსახიობებთან გასწიეს. არაერთი კონკურსის ლაურეატები – ნიკა ლაგვილავა (დოქტორი მალატესტა), ნინო მაჩაიძე (ნორინა) მართლაც იდეალურები იყვნენ ამ პარტიებში: **"ეს ჩემთვის პირველი დიდი პარტიაა. ძალიან საინტერესო იყო მუშაობის პრეცესი, პირველ რიგში იმიტომ, რომ მოგვეცა სცენაზე თავისუფალი იმპროვიზირების საშუალება, რათა ისე გვეთამაშა როლი, როგორც გული გვკარნახობდა"** – აღნიშნავს ახალგაზრდა სოპრანო. **"დიდი შრომა დაგვჭირდა, მაგრამ მგონი მაინც მოვახერხეთ, რომ გაგვეჭრა კომედიის სფერო"** – დასძენს ნიკა ლაგვილავა.

სრულიად განსაკუთრებული იყო დოქტორ მალატესტასა და ოპერის მთავარი პერსონაჟის – დონ პასკუალეს საშემსრულებლო დუეტი. ამ უკანასკნელს ბანი გოჩა დათუსანი წარმოდგენდა. სცენაზე მათი ყოველი გამოჩენა მაყურებელთა აპლოდისმენტებსა და ხმაურიან მხარდაჭერას იმსხურებდა (მათ შორის, საოპერო ეტიკეტისთვის სრულიად შეუფერებელსაც). ერნესტოს პარტიით კი – მამუკა მანჯგალაძე წარსდგა, რომელმაც ტენორის ამ პარტიისთვის დამახასიათებელი სირთულეები მეორე აქტის არიასა და ფინალურ სერენადასა და დუეტში წარმატებით გადალახა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეორეხარისხოვან პარტიათა შემსრულებლები. ოპერაში და საერთოდ სამსახიობო ხელოვნებაში არსებობს სავსებით სამართლიანი შეხედულება, რომ კარგი მსახიობისთვის პირველი და მეორეხარისხოვანი როლები არ არსებობს. ამ პრინციპის გათვალისწინებით, მაჟორდომსა (ზვიად მაჩლაძე) და ნოტარიუსს (გოჩა გაბიძაშვილი) საკუთარი ვოკალური მიღწევების გამომჟღავნების საშუალება "დონ პასკუალეში" ნაკლებად აქვთ, სამაგიეროდ იმდენად გამოიჩინეს თავი მახვიგონივრული არტისტიზმითა და კომიკურობით, რომ მათი ფორმალური მეორეხარისხოვნება მაშინვე ყველას გადაავიწყდა.

სამწუხაროდ საოპერო სტუდია უსახსრობის გამო ვერ აფინანსებს სპექტაკლების დეკორაციებსა და კოსტიუმებს, რის გამოც მათი უმეტესობა იძულებულია ათეული წლების წინ შეკერილი და დამზადებული, ყავლგასული, უხარისხო და თანამედროვე სტანდარტებისთვის სრულიად შეუფერებელი მასალით ისარგებლოს. ამ მხრივ "დონ პასკუალეს" ვიზუალური მხარეც განსაკუთრებულია. სპექტაკლის სპონსორების წყალობით (British-American Tobacco, "ეგსიმბანკი") "დონ პასკუალე" საკმაოდ შთამბეჭდავად იყო მხატვრულად გაფორმებული. ლომის წილი აქ დიზაინერ გიორგი ნადირაძეს მიუძღვის, რომლის მიერ მარტივად და გემოვნებით გადაწყვეტილი სცენის დიზაინი და სტილიზებული კლასიკური კოსტიუმები განსაკუთრებულ ელფერს სძენდა სპექტაკლს.

"დონ პასკუალეს" პრემიერაზე მხოლოდ ერთი ფაქტორი იყო უსიამოვნოდ შემაწუხებელი – მობილურების განუწყვეტელი წკრიალის გამო, მთელი სპექტაკლის მსვლელობისას თავი ფოსტის შენობაში მეგონა. თუმცა უტაქტო მაყურებლის ამ დანაშაულს საოპერო სტუდიას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. 29 და 31 მარტს "დონ პასკუალეს" ახალგაზრდა მსახიობების სხვა შემდგენლობები წარმოადგენენ.

# ახალი მისამართი ვირტუალური თავშეყრისთვის

ეს ოფიციალური მისამართია PierceBrosnan.com და განკუთვნილია მათთვის, ვინც თავს ბოლო აგენტი 007-ის თაყვანისმცემლად მიიჩნევს.

აქამდე ეს ადამიანები ბროსნანისადმი ვირტუალურ სიყვარულს მხოლოდ მისი ფანების მიერ შექმნილ ინტერნეტ-გვერდებზე იკმაყოფილებდნენ. ახლა კი საშუალება მიეცემათ, უშუალოდ მსახიობის სურვილითა და ვიზირებით შექმნილ მისამართს ეწვიონ.

პირველივე გვერდზე მათ შთაგონებული მზერით პროფილში თვითონ მასპინძელი პირს ბროსნანი შეეგებებათ და იქვე მიანიშნებს – Enter, ანუ შინ შემობძანდით. თუ ზღურბლზე მდგომი მსახიობის თხოვნას დაემორჩილებით და კარს შეაღებთ, თქვენს წინაშე გადაიშლება ძირითადად ყვითელი, შავი და თეთრი ფერის ფონზე გაფანტული ოპციების ფართო არეალი და ბროსნანის "აღსარება":

"მე ძალიან იღბლიანი კაცი ვარ. თავად განსაჯეთ – მას შემდეგ, რაც 23 წლის წინ ამერიკაში ჩამოვედი, ყოველ დილას განვიცდი იმის ბედნიერებას, რომ ავდგე და წავიდე სამსახურში, რომელზეც ვგიჟდები. იღბლიანი ვარ იმიტომაც, რომ სამუშაო თითქმის ყოველთვის მაქვს.

ახლა მინდა, გამოვიყენო ეს შანსი და თითოეულ თქვენგანს, თითოეულ ჩემს თაყვანისმცემელს, ვუთხრა, თუ როგორი მადლობელი ვარ თქვენი.

ეს საიტი, ზუსტად ისე, როგორც მე, მუდმივად განახლებადი იქნება. შევეცდები მოგიყვეთ კინოს სიახლეებისა და ჩემი საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ, შეგახედოთ კინოს კულუარებში და თქვენს კითხვებსაც ყოველთვიურად ვუპასუხო. ისიამოვნეთ!"

თუ საიტზე ამ დღეებში შეიხედავთ, ახალი ამბების განყოფილებაში ბროსნანის ბოლო ფილმის "მიზიდულობის კანონების" შესახებ წაიკითხავთ; განყოფილებაში – "ბროსნანის განგაში" მსახიობი მოგიწოდებთ, დაიცვათ ალასკას ოკეანის ეკოსისტემები; იქვე ნახავთ "დღის ფოტოს" და გაიცნობთ ბროსნანს სხვადასხვა ამპლუაში: მსახიობი, მხატვარი, აქტივისტი. ასევე წაიკითხავთ მის ბიოგრაფიას, ცნობებს მისი კინოსტუდიის Irish Dreamtime-ის შესახებ და თუ სურვილი გექნებათ, გაწევრიანდებით ფანკლუბშიც.

ამ ახალ ინტერნეტმისამართს, გარდა იმისა, რომ ოფიციალურია, კიდევ ერთი პლუსი აქვს – პირს ბროსნანი ხშირად პირველ პირში წერს და ვირტუალურ მისამართზე აშკარად რჩება ისეთი ვირტუალური განცდა, რომ თითქოს მართლაც ბროსნანის სახლში იმყოფებით, მასპინძელი ოთახიდან-ოთახში დაგყვებათ და თვითონ გათვალიერებინებთ სახლს.



პირს ბროსნანი

# ექსპანსია ინგლისურენოვან სამყაროში

ვისაც მოსწონს პედრო ალმოდოვარის ერთ-ერთი ბოლო ფილმი "ელაპარაკე მას", ყოველ მიზეზგარეშე მოსწონს მისი თანმხლები მუსიკალური ალბომიც (კომპოზიციების უმრავლესობა ალმოდოვარის ძველ მეგობარს ალბერტო იგლესიასს ეკუთვნის) და განსაკუთრებით ერთი ჩანაწერი – Cucurrucucu Paloma გაეტანო ველოსოს შესრულებით.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სიმღერით ველოსო მუსიკალურ მოდაში კვლავ დაბრუნდა. ახლა კი, ალმოდოვარის წყალობით, ხელახლა მოპოვებული პოპულარობის გამყარებას ბრაზილიელი მომღერალი პირველი ინგლისურენოვანი ალბომის გამოშვებით შეეცდება. პროექტის საერთაშორისო პრემიერა, რომელზეც ველოსო უკვე 30 წელია, მუშაობს, 8 აპრილს შედგება. ალბომს A Foreign Sound ("უცხოური ბგერა") ერქმევა და მასში გაერთიანებული იქნება 23 ჩანაწერი – ვარიაციები, დაწყებული ბროდვეის კლასიკოსის ქოულ პორტერის თემებიდან და "ნირვანას" გრანჯ-როკით დამთავრებული.

თუმცა, უცხო ამ ალბომში თითქმის არაფერი იქნება. 60-იანი წლების ბოლოს გაეტანო ველოსომ ხომ სწორედ როკისა და ბრაზილიური რიტმების შეზავებითა და მუსიკალური მიმდინარეობა – ტროპიკალიზმოს ჩამოყალიბებით გაითქვა სახელი. 1969-72 წლებში, ბრაზილიური დიქტატურის პერიოდში, ველოსო თავს ლონდონს აფარებდა და სიმღერებსაც იქვე იწერდა.

"უცხოური ბგერის" ჩაწერის იდეა ძალიან ძველია და პრინციპში სწორედ ლონდონში გატარებულ პერიოდს უკავშირდება. ბრიტანეთში ცხოვრების დროს მოვიფიქრე, რომ გამომეშვა საგანგებო დისკი ანგლო-ამერიკული რეპერტუარით", - ამბობს ველოსო პრესისთვის გავრცელებულ განცხადებაში.

"თითქოს, ტრადიციად იქცა ჩემი თაობის მუსიკოსებისთვის დიდ ამერიკულ სიმღერასთან მიბრუნება. ამიტომ ამ ალბომის მომზადება ჩემთვის განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო საქმე იყო", - დასძენს ის იქვე.

ველოსო, რომელიც 40-მდე ალბომის ავტორი გახლავთ, თავისი ახალი კომპაქტ-დისკიდან სიმღერებს პირველად 16 აპრილს, ნიუ იორკში, "კარნეგი ჰოლში" შეასრულებს – ზუსტად იმ დარბაზში, რომელიც 1962 წელს ბრაზილიური ბოსა ნოვას კერპებს – ტომ ჟობიმსა და ჟოაუ ჟილბერტუს მასპინძლობდა. ველოსოს იმედი აქვს, რომ მისი ახალი ალბომი პორტუგალიურენოვანი სამყაროს საზღვრებს გასცდება და მსოფლიოს გულებს დაიპყრობს.

www.24hours.ge
24
B

ნოდარ ლადარია

ზაჰესის დასახლებაში, სადაც მე ვცხოვრობ, ელექტროდენის გრაფიკი ასეთი სასტიკი შევარდნაძის დროსაც არ ყოფილა... თუმცა ამას რას ვამბობ? — უბრალოდ, არჩევნები უკვე ჩავლილია და ამ გარემოების ერთადერთი საგრძნობი შედეგია შინაგანი გრძნობა, რომ ხელისუფლებისათვის ანგარიშის წაყენება უკვე თავისუფლად შეიძლება.

მართლაც — რა სიმშვიდე იყო არჩევნებამდე! ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, ანუ შაბათის ღრუბლიან დილას, სულაც არა მგონია, რომ ახალი ამბები თვალის დახამხამებაში ასწრებს დაძველებას, ანდა რომ ჩვეულებრივი თარიღი, 29 მარტი, რომლამდე მიღწევის იმედი ყველაზე უიმედო ავადმყოფსაც უკრთის გულში, სინამდვილეში შორეული მომავალია. ასე 2 ნოემბრის არჩევნების წინ მეგონა. ახლა ყველაფერი სხვანაირადაა და ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რა იქნება ახლო მომავლის საფიქრალი: სამოქალაქო საზოგადოება, აჭარა, რელიგია...

არა, სახვალიო ფიქრებს რა გამოლევს, იქნებ ბევრმა ბევრი უფრო მნიშვნელოვანი საკითხიც დაასახელოს, მაგრამ ეს სამეული გასული კვირის "24 საათმა" ჩამაგონა და ამგვარად ჩემი უშუალო მოვალეობის შესრულებასაც შევუდგები.

გორი წარმოგვიდგენია ჩვენი ცხოვრება საუკეთესო ანუ ყველაზე სასურველ შემთხვევაში: მეცადინეობა ცხოვრების გასაუმჯობესებლად "დედლაინის" ზღვარზე გამომცხვარი პროექტების ნაცვლად, ფორთოხლები ასლან აბაშიძის მაგიერ, რწმენა, იმედი და სიყვარული შავი ფულით აგებული ჯვარ-გუმბათოვანი ხუხულების ადგილას. ამის შედეგად კი გონებაში კიდევ ერთი სიტყვა ამოტივტივდა: **განსახელმწიფოება**. ცოტა მოუხეშავი ნეოლოგიზმია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გასაგებია.

გონების კიდევ ერთი დაძაბვა და ჩვენი სასწაულებრივი არსებობის წიაღში კიდევ ერთი პარადოქსი აყვავდება: *ცხოვრების უმთავრეს სფეროთა პოლიტიკისაგან გასათავისუფლებლად აუცილებელია ხელისუფლების გაძლიერება*. ოღონდ ეს გაძლიერება, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ იდეოლოგიურ ასპარეზზე იგულისხმება...

ახლა კი საკუთრივ საქმეს მივხედოთ.

22 მარტს ბუნებამ ასტრონომიული გაზაფხულის დაწყება გვამცნო, **დავით ზურაბიშვილმა** კი სამოქალაქო საზოგადოების მეორედ მოსვლა იქადაგა. მეორე მოსვლა, როცა საქმე ამქვეყნიურ ცხოვრებას ეხება, საკმაოდ სახიფათო კატეგორიაა: დაუსრულებელ მოლოდინს გვიქადის. ავტორი, მართალია, ერთ ან ორ წელიწადს გვპირდება. რიცხვებზე კამათი არ გვარგებს, საქმის არსი კი ყნდება მოკლე ინფორმაცია — *სტუდენტები შიშობენ*. აქ ვკითხულობთ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა განცხადებას: "**გავიგეთ, რომ გროვდება ხელმოწერები მამა ზაზა თევზაძის, მამა გიორგი ჩაჩავასა და მამა ბასილ კობახიძის განსაკვეთად. გვინდა საწინააღმდეგო აზრი დავაფიქსიროთ. ისინი ამგვარ დამოკიდებულებას არ იმსახურებენ**". როგორც ვხედავთ, საკითხი საკმაოდ ცხადადაა ფორმულირებული. მასალა მთავრდება შემდეგი წინადადებით: "**როგორც "24 საათს" საქართველოს საპატრიარქოში განუცხადეს, რაიმე მოთხოვნა ზემოთ ჩამოთვლილი მამების განკვეთის თაობაზე საპატრიარქოში არ შესულა. შესაბამისად, საკითხი დღის წესრიგში არ დგას**". ვინ განაცხადა — საპატრიარქოს დარაჯმა? ან რას ნიშნავს "მოთხოვნა მამების განკვეთის თაობაზე"? რაო, დადგენილი ბიუროკრატიული წესი იგულისხმება? შეგვიძლია ამის შემდეგ ვთქვათ, რომ ინფორმაციას ვფლობთ, ან რაიმე ვიცით მაინც?

ჟურნალისტური გამოძიებისათვის არაა აუცილებელი კაკო ჩხაიძე და ნუგზარ შევარდნაძე. გამოძიების ტექნოლოგია და მკვეთრად განლაგებული ბასრი აქცენტები რეპორტიორის ყოველდღიურ იარაღად უნდა იქცეს. ყველას როდი ხვდება წილად "უოტერგეიტის" აგორება, მაგრამ არც "უოტერგეიტი" იქნებოდა შესაძლებელი განსაზღვრავს დღევანდელ დომინანტურ წაკითხვას და შემდეგში მდგომარეობს: ახლანდელი მდიდრები, რა თქმა უნდა, ბანდიტები და ახვრები არიან, მაგრამ ისინი თავიანთ შვილებს კარგ განათლებას მისცემენ და ახვრების ეს მეორე თაობა გააბრწყინებს იბერიას. მამებისა და შვილების ბრძოლის იმედი ქვეყანაში, სადაც ეს მოვლენა არასოდეს მომხდარა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების გარეშე!

25 მარტს გამოქვეყნდა ინტერვიუ ასლან აბაშიძის ვაჟთან, გიორგისთან — *ბატონ ასლანთან ყველაზე მოკლე გზა მე ვარ*. სათაური სწორედ რომ საგულისხმოა: Яблоко от яблони недалеко падает. აჰა, საინტერესო ფრაგმენტი: "***ინგლისში სად სწავლობდით, ეს უნივერსიტეტი იყო?*** — **დიახ, 4 წელი კემბრიჯში ვსწავლობდი. შემდეგ დავბრუნდი და ჩემი ქალაქის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. შემდეგ მუშაობა სტრასბურგში დავიწყე. ამის შემდეგ ბათუმის მერი გავხდი**". ამ ყმაწვილისთვის ინგლისში ოთხწლიანი ცხოვრების შემდეგაც ტოპონიმი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაარსი. რას ნიშნავს ეს ოთხი წელიწადი (ოჰ, ოთხო წელიწადო!) ჩვენი ლამანშდალეულის ცხოვრებაში? — რა თქმა უნდა, ინგლისში განათლების საკრედიტო სისტემის არსებობის გამო, სულ სხვა რამეს ნიშნავს, ვიდრე ჩვენში. იმასაც ვერ ვიტყვით, მეტს თუ ნაკლებს. თუმცა, თუ ოთხი კემბმებას, რომლის გაგონებაზე ქართველები კაჭკაჭებივით უნდა აჩხავლდნენ აღფრთოვანებისგან? აი, 26 მარტს "24 საათმა" გვამცნო, რომ ასლან აბაშიძე არჩევნების დღეს აჭარაში "ჯეოსელისა" და "მაგთის" ბლოკირებას აპირებს. ეს ალბათ იროკეზული მოდელის გამოყენებაა, ანუ კავშირგაბმულობის ორგანიზება მაღლობებზე დანთებული კოცონების ბოლით, სხვა სიტყვებით კი, დაბოლება. ვთქვათ, ახლა, აჭარის ელიტამ კარიბული ან მაორის, ან მელანეზიური მოდელის გამოყენება გადაწყვიტა და ერთმანეთი დაჭამა, რა მოხდება? — ის კი ვიცი, ხალხი უფრო მშვიდად ამოისუნთქებს.

ახლა კიდევ: "***ისე ჩანს, არა მხოლოდ მოქალაქეები, შეიარაღებული ძალებიც მობილიზებულნი არიან...*** — **მხოლოდ ორი დღე გავიდა, რაც ყველაფერი მიწყნარდა. მცირე ხანიც გავა და ისინი თავიანთ ბაზებს დაუბრუნდებიან**". როგორც ეტყობა, კემბრიჯის იმ უცნობ კოლეჯში სამხედრო კათედრა არ ყოფილა. ნეტა, სააკაშვილმა შუაღამით ჯარი 18 წუთში რომ წამოახტუნა, ის ხალხი მერე ორი კვირა ასე უძინარი და იარაღასხმული დაყიალობდა პლაცზე?

ერთი წამით კიდევ მოვუსმინოთ ბათუმის მერს: მას არ მოსწონს, რომ "კმარას" აქტივისტები, თურმე შესასხურებელ საღებავს იყენებდნენ, რაც ნებადართული არაა. "**იმედია, ისინი მხოლოდ მისაწებებელ პლაკატებს** დომინანტური წაკითხვის საფუძველი საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას და ის დამკვიდრდეს, რომელიც 26 მარტს გამოქვეყნებულ ერთ სრულიად განსაკუთრებულ მასალაში გამოვლინდა: **ნინია კაკაბაძე**, *მე მარხვაზე ვარ*. მოვიყვან მხოლოდ ერთ ადგილს, რომელიც დიდი ფიქრის შემდეგ ავარჩიე: "**ძალიან რთულია დასკვნის გაკეთება. რა არის ისტერიული და, ამავე დროს, მოდური მართლმადიდებლობის მიზეზი, რომელიც საბოლოო ჯამში აუცილებლად კულმინაციას მიაღწევს და შედეგი სავალალო იქნება. სახელმწიფო პოლიტიკა ქმნის გურამ შარაძეს, მის თანამოაზრეებს და იმ მორწმუნე ფარისეველთა ჯარს, რომელიც საბოლოოდ მთლიანად გაანადგურებს ჭეშმარიტად მორწმუნე ქრისტიან ერთეულებს. განადგურდება, ასევე, ჭეშმარიტად ქრისტიანული ფასეულობები და საქართველო მხოლოდ იმ "აღმშენებლების", მემარხულე "მორწმუნეების" და შარაძის მსგავსი ფარისევლების ამარა დარჩება, რომელთა "ქადაგებაც" შორს დგას ჭეშმარიტად ქრისტიანული სამყაროსაგან**".

ბევრისაგან გამიგონია და ახლა პირველად ვამბობ ხმამაღლა: ორშაბათის ნომერი კარგად იყიდებაო. დიდი სიამოვნებით ხელახლა ავკრეფდი ნინია კაკაბაძის სვეტს და ჩემი ყოველკვირეული პუბლიკაციების ადგილს დავუთმობდი მას. რატომ? —






ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ჯერ მცირედი წინასწარი განმარტება:

*სამოქალაქო საზოგადოება*, რა თქმა უნდა, მხოლოდ "ენჯეოები" ანუ, ქართულად, "ასოები" არაა — ასე ადრე გვეგონა, დღეს კი ეს ცნება ყველაზე კარგად სწორედ მასში შემავალი ორი სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით განიმარტება ყველაზე სრულად და მისი არსის გასაგებად საკმარისია გონებაში რამდენჯერმე ნელა გავიმეოროთ ეს სიტყვები: **სამოქალაქო საზოგადოება**. თუმცა, ეს გამეორება მრავალჯერადი არ უნდა იყოს, რადგან მრავალჯერადი სწრაფი გამეორებით საზრისს შეიძლება იგივე დაემართოს, რაც პატრიოტულ გრძნობას სკოლის ეზოში დროშის ყოველკვირეული აწევით — ბოლოს და ბოლოს გაფერმკრთალდება და გაქრება.

აჭარაც იმავე პროცედურის შედეგად უნდა გავიაზროთ: გონებაში რამდენჯერმე ნელა წარმოვთქვათ — **აჭარა** — და ყურადღება მივაქციოთ ამ დროს წარმოქმნილ ასოციაციებს. მათ შორის ალბათ იქნება "ასლან აბაშიძეც", "ჩოლოქიც", "აღორძინებაც". მაგრამ იქნება სხვა ბევრი რამ: ფორთოხლები, დელფინები, "ბათუმს ქათქათას...", წვიმაში ბანაობა და, რაც მთავარია, ძირითადი ასოციაციური ჯაჭვი: ქართლ-კახეთი, იმერეთი... დანარჩენი ზეპირად ვიცით.

*რელიგია* კი, მოგეხსენებათ, ფაქიზი საკითხია. იქნებ აქაც იგივე გვეცადა? — გავიმეოროთ ნელ-ნელა გონებაში: **რელიგია... რელიგია...** მჟღერი სიტყვაა. შეიძლება ჩვენს გულშიც აჟღერდეს: ჩემი ადგილი ქვეყნიერებაში, წარსულის განსჯა, მომავლის იმედი, სულის უკვდავება, გონიერი და თავისუფალი არჩევანი, მსხვერპლი.

აბა, ახლა კი დავფიქრდეთ, როშემდეგია: წარსულ (გაუნათლებელ და უვიც) ხელისუფლებას არასამთავრობო ორგანიზაციები დასავლეთის ნამდვილი (ხელფასიანი) აგენტურა ეგონა და ამიტომ ეშინოდა; დღევანდელმა ხელისუფლებამ კარგად იცის, რა ჩიტებიც ბრძანდებიან "ენჯეოშნიკები" და ამას არ ჭამენ; სამოქალაქო სექტორი უნდა გარდაიქმნას; ამისათვის თუმც არასაკმარისი, მაგრამ აუცილებელი პირობაა თავისუფალი მედიის არსებობა.

მთავარ პრობლემას დავით ზურაბიშვილი შემდეგნაირად გამოთქვამს: "**სამოქალაქო სექტორი სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დგას. აქ იმაზე კი არაა ლაპარაკი, თუ რა უნდა აკეთოს სამოქალაქო საზოგადოებამ — ამ შემთხვევაში ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის — არამედ იმაზე, თუ როგორ და რა ხერხებით მოახდინო გავლენა მიმდინარე პროცესებზე, როგორ აიძულო ხელისუფლება, რომ ანგარიში გაგიწიოს?**". ოქროს სიტყვებია! აქ კი ერთი საინტერესო ენობრივი გარემოება გავიხსენოთ: ჟურნალისტურ ჟარგონში და ხშირად გამოქვეყნებულ ტექსტებშიც შევნიშნავთ, რომ უბრალო სიტყვა "იცის" შეცვლილია გამოთქმით "ინფორმაციას ფლობს". ფლობა სამ ასპექტს მოიცავს: ქონას, დამორჩილებასა და გამოყენებას. ამ დამკვიდრებულ გამოთქმაში ინფორმაციას იარაღის თვისებები მიენიჭება: ინფორმაცია გავლენის იარაღია. სწორედ ამის საფუძველზე გვიმტკიცებს დავით ზურაბიშვილი სამოქალაქო სექტორის მომავალ მოღვაწეობაში მედიის გაზრდილ მნიშვნელობას. მედიამ უნდა იცოდეს: ვინ? სად? როდის? რა?

განვმარტოთ მაგალითზე. 25 მარტს ხელმოწერით "24 საათი" ქვეყნდება ...

ლი, რომ არა ამერიკული მედიის ყოველდღიური "უსტანოვკა" (რას იზამ, ქართული სიტყვა "განწყობა", ამ შემთხვევაში, ზედმეტად რბილია). სანამ რისკი და მხილება რუტინად არ იქცევა, ხელისუფლებაზე რაიმე გავლენის მოხდენაზე ოცნებაც ზედმეტია.

ახლა კი კვლავ დავით ზურაბიშვილს დავუბრუნდეთ: ის მეორედ მოსვლაზე საუბრობს. მაგრამ ტექსტში განსაზღვრებით "სამოქალაქო" ორი ტერმინი გვხვდება: საზოგადოება და სექტორი. საქმე ოდნავ უფრო მარტივად მეჩვენება: ადრე საქართველოში მხოლოდ სამოქალაქო სექტორი არსებობდა, ახლა კი სამოქალაქო საზოგადოებაც უნდა შეიქმნას. საქმე "მეორედ მოსვლას" არ ეხება. უბრალოდ, სამოქალაქო სექტორმა სამოქალაქო საზოგადოება უნდა წარმოშვას და მისი ძირითადი ენერგია ხელისუფლებასთან კინკლაობაში კი არა, ამ კრეატიულ, შემოქმედებით მოღვაწეობაში უნდა დაიხარჯოს. მედია კი პოლიტიკურობიდან სოციალურობისაკენ უნდა გადაიხაროს.

მართალია, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში არც ისე ადვილია. აქ მე არ ვგულისხმობ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ორგანიზაციებს, საგადასახადო სისტემის რეფორმას, რასაც ადგილობრივი დონორების გაჩენა უნდა მოჰყვეს და კიდევ სხვა მრავალ ცვლილებას, რომლის ჩატარება ადვილი თუ არა, საშუალო სიძნელის მაინცაა. გაცილებით უფრო ძნელია იმის შესაფერისი სახის ჩამოყალიბება, რასაც მეცნიერებაში "დომინანტური წაკითხვა" ეწოდება. ვგულისხმობ ღირებულებათა სისტემას, რომლის მიმართ აპელირებს ტექსტის ავტორი და რომლის საშუალებით კითხულობს მკითხველი.

აი, აქ ვაწყდებით აჭარის თემას, რომელიც ამჯერად ჩვენში გამეფებულ ერთ მითს უკავშირდება. ეს მითი რიჯული წლის მერე კიდევ ბათუმში მოუხდა სწავლის გაგრძელება...

მაინც რას სწავლობდა? ალბათ, პოლიტოლოგიას და იურისპრუდენციას არა, თორემ, აბა, ასეთ რამეს როგორ იტყოდა: "**ეს ჩვენთვის ძალზე რთული პერიოდი იყო. ბლოკადის, ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომის დაწყების და სამოქალაქო ომის საშიშროების გამო**". რა განსხვავებაა ძმათა შორის სისხლისმღვრელ ომსა და სამოქალაქო ომს შორის? ან კიდევ: "**ეს დამოკიდებულია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებზე. ისინი ხომ, ამავე დროს, ერთმანეთის ოპოზიციური პარტიებიც არიან**". ხელისუფლებები პარტიები ყოფილან! სულ სხვანაირად უნდა ეთქვა, მაგრამ პროფესიონალიზმი არ ეყო და ისევ სსრკ კონსტიტუციის მე-6 მუხლს შეაფარა თავი, როგორც მამიკომ, როცა ზომაზე მეტად გრძელსახელოებიანი პიჯაკითა და მწყობრი ნაბიჯით დაბაკუნობდა აჭარის კომკავშირის ცეკას დერეფნებში.

აჰა, განიარაღებაზე რა აზრის ყოფილა კემბრიჯის უცნობი კოლეჯის ყოფილი სტუდენტი: "**საუბარი რიგითი მოქალაქეების განიარაღებას ეხებოდა. ჩვენ შვეიცარიის მოდელით ვხელმძღვანელობდით, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს საკუთარი იარაღით საკუთარი სახლების დაცვის საშუალება აქვთ. ახლა ამ იარაღის ამოღება რთულია, ზოგს უნდა, ახალ წელს გაისროლოს, ზოგს სანადიროდ წასვლა სურს... ხალხი ძალიან უცნაურია**". რა აღმოჩენების გაკეთება შეიძლება თურმე მას შემდეგ, რაც ხალხს იარაღს დაურიგებ! რაო, შვეიცარიელები იმავდროულად სამხედრო მოსამსახურეებად არ ითვლებიან? იქნებ ფიცსაც არ იძლევიან და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებას არ იღებენ? ან ეს შვეიცარიის მოდელი რას ნიშნავს, თუ არა ბრჭყვიალა სიტყვაშეხა**გამოიყენებენ**". აქ ინტერვიუ ბუნებრივ მიმდინარეობას იძენს, მაგრამ აბაშიძის პასუხები საოცარია: "***თქვენი აზრით, პლაკატების გაკვრის უფლება მათ უნდა ჰქონდეთ?*** — **პირადად მე, როგორც ქალაქის მერს, ეს არ მომწონს.** — ***რატომ?*** — **იმიტომ, რომ ეს ქალაქის ხედს აფუჭებს. და არა მარტო "კმარას" პლაკატები — აქ უამრავი სხვა პლაკატია: წინასაარჩევნო, ამის მომხრეთა, იმის მომხრეთა... პირადად მე ამის წინააღმდეგი ვარ. დიდი სიამოვნებით გამოვუყოფდი მათ სპეციალურ, დიდი სტენდებს ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში**". მაშ ასე, შეიარაღებული ჯარისკაცები და "სპეცნაზი" ქალაქის ხედს არ აფუჭებენ. თანაც ბათუმის მერი ნამდვილად ამჟღავნებს და-*ძი*-ბა*ოების* მიმართ ჭეშმარიტად მაოძედუნურ სიმპათიას.

ახლა კი ჩვენი ინფანტის სხვა პოლიტიკურ იდეალებზე შევჩერდეთ: "**ვფიქრობ, რომ ქვეყნის პრეზიდენტს, როგორც მინიმუმ, 45-50 წლის გამოცდილება უნდა ჰქონდეს**". ჰო-ჰო-ჰო! — ლახვარი არ ჩასცა სააკაშვილს?! მერე კიდევ უკეთესი მოდის: "**ყველა პრობლემა ისე უნდა გვარდებოდეს, რომ არც ფიქრობდე, ვინ არის მთავრობა. მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ მიდიოდე და ხმას აძლევდე. ეს, უბრალოდ, ჩემი ოცნებაა**". გასაგებია, რომ გიორგი აბაშიძეს ბევრი არაფერი დარჩენია საოცნებო, მაგრამ რაღა იმაზე ოცნებობს, ჯოგად გვაქციოს მე და თქვენ?

დროდადრო წამოიჭრება საუბარი იმის შესახებ, რომ გიორგი აბაშიძე შეიძლება საქართველოს ხელისუფლების საყრდენი გახდეს აჭარაში. ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ბევრი ვიფიქრე, რა შეიძლება იყოს ამის საფუძველი და მხოლოდ ერთს მივაგენი: სავარაუდოა, ხელისუფლებაში ვიღაც ფიქრობს, რომ "ასლანოვიჩი" "იბრაგიმოვიჩზე" უკეთესად ჟღერს.

ჩვენ კი იმას ვიტყვით, რომ ასეთი სტატიაში არც ერთი თეოლოგიური ტერმინი არაა გამოყენებული, არც ერთი წმინდა მამა არაა ციტირებული, არც ერთი საეკლესიო კრების დადგენილება თუ კანონი არაა დამოწმებული. და მაინც ეს ტექსტი ღრმა რელიგიურობითა და, თუ გნებავთ ღვთისმოსაობითაა განმსჭვალული. აქ უშუალოდ და მარტივად, თანაც, უნაკლო ქრისტიანული გემოვნებითაა გადებული ხიდი ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ რეალიებსა და სარწმუნოების ულრმეს შინაარსს შორის.

თუ სტატიის სარწმუნოებრივი მხარე მართლაც ასკეტური თავშეკავებულობით გამოირჩევა, ამის საწინააღმდეგოდ, ჩვენი სოციალური რეალობის აღწერა მართლაც დეტალურ ინფორმირებულობაზეა დამყარებული, როგორც ნამდვილ საგაზეთო მასალას შეჰფერის. ავტორს მართლაც შეუსწავლია საკითხი: აქ პატიაშვილის სამარხვო მაიონეზსაც შეხვდებით და მაკდონალდსის მართლმადიდებლურ კომპრომისებსაც, "სამარშრუტკო" ღვთისმოსაობასაც და კრიმინალურ ქტიტორობასაც.

ვინც რაც უნდა თქვას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მე არ მეგულება არც ერთი მღვდელი ან ეპისკოპოსი, რომლის სამოძღვრო ღირსებას დაბლა დასცემდეს ამ ტექსტის ამბიონიდან წაკითხვა ქადაგების სახით. მივიჩნიოთ, რომ ეს პუბლიკაცია ნიშანია: მალე სალი ქრისტიანული აზრი ჩვენს ერშიც იხარებს და გაძლიერებულ სახელმწიფოს აღარ დასჭირდება ეკლესიით "საპიარო" მანიპულაცია. თორემ აქამდე ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს შავი ვოლგებიდან გადმომხტარი პარტნომენკლატურა შავკაბიანთა მხედრობას მოახტა მხრებზე.

არჩევნები გუშინ დასრულდა. წილი ნაყარია. ასეა თუ ისე, ახალი ცხოვრება მაინც დაიწყება და სჯობს ეს ადრე მოხდეს, ვიდრე გვიან.



# საგადასახადო ინსპექცია

## საგადასახადო შემოსავლები

**საშემოსავლო გადასახადი**

***დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი***

1001 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1002 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1003 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან

***საშემოსავლო გადასახადი ინდივიდუალური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან***

1004 საშემოსავლო გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან ფიზიკური პირის შემთხვევაში
1005 საშემოსავლო გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან ფიზიკური პირის შემთხვევაში
1006 სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი ინდივიდუალური საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან

***საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან და***

1007 საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან
1008 საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტებიდან
1009 არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი
1010 სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი

### მოგების გადასახადი

*მოგების გადასახადი*

1011 მოგების გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან
1012 მოგების გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან
1013 არაკლასიფიცირებული მოგების გადასახადი

***მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული დივიდენდებიდან და პროცენტებიდან***

1014 მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული დივიდენდებიდან
1015 მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული პროცენტებიდან

**დამატებული ღირებულების გადასახადი**

***საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან***

1016 დამატებული ღირებულების გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან
1017 დამატებული ღირებულების გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან
1018 დღგ ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
1019 დღგ შემაგრებულ ღვინოებზე
1020 დღგ ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
1021 დღგ ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
1022 დღგ სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევზე და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევზე.
1023 დღგ ეთილის სპირტზე
1024 დღგ-სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
1025 დღგ ვისკიზე
1026 დღგ რომზე და ტაფიაზე
1027 დღგ ჯინზე და ღვინის ნაყენზე
1028 დღგ ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
1029 დღგ სხვა სპირტიან სასმელებზე
1030 დღგ ლუდზე
1031 დღგ- სიგარილაზე და სხვა ფილტრიან სიგარეტზე
1032 დღგ თამბაქოს სხვა ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
1033 დღგ მსუბუქ ავტომობილებზე
1034 დღგ ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
1035 დღგ ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
1036 დღგ საავტომობილო ბენზინზე
1037 დღგ ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
1038 დღგ ნავთზე
1039 დღგ ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
1040 დღგ დიზელის საწვავზე
1041 დღგ ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
1042 დღგ ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრი ნახშირწყალბადებზე
1043 დღგ ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
1044 დღგ პიროლიზის თხევად პროდუქტზე
1045 დღგ მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
1046 დღგ სხვა აქციზურ პროდუქციაზე
1047 სხვა არაკლასიფიცირებული დღგ-ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან

### აქციზი

***საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციიდან***

1048 აქციზის გადასახადი ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
1049 აქციზის გადასახადი შემაგრებულ ღვინოებზე
1050 აქციზის გადასახადი ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
1051 აქციზის გადასახადი ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
1052 აქციზის გადასახადი სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევზე და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევზე.
1053 აქციზის გადასახადი ეთილის სპირტზე
1054 აქციზის გადასახადი სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
1055 აქციზის გადასახადი ვისკიზე
1056 აქციზის გადასახადი რომზე და ტაფიაზე
1057 აქციზის გადასახადი ჯინზე და ღვინის ნაყენზე
1058 აქციზის გადასახადი ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
1059 აქციზის გადასახადი სხვა სპირტიან სასმელებზე
1060 აქციზის გადასახადი ლუდზე
1061 აქციზის გადასახადი სიგარილაზე და ფილტრიან სიგარეტზე
1062 აქციზის გადასახადი თამბაქოს სხვა ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
1063 აქციზის გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
1064 აქციზის გადასახადი ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
1065 აქციზის გადასახადი ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
1066 აქციზის გადასახადი საავტომობილო ბენზინზე
1067 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
1068 აქციზის გადასახადი ნავთზე
